საერთო გაზეთი

№23 (335) ● 24 ივნისი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი

„ახალგაზრდებო, ან კი თქვენ, გამოდით, თქვენი ჭირიმე“

„მთავარმა პროკურორმა“ — სტიქიამ საბრალდებო დასკვნა უკვე დადო — სიკვდილი ვერეს ხეობაში „ნაციონალებმა“ შეუკვეთეს!

„თუ ვინმეა დამნაშავე ამ ტრაგედიაში, ეს უგულავაა...“

არა, არ მოვმკვდარვარ! კაცისმკვლელ „ნაციონალებს“ კიდევ ბევრჯერ მოველანდები!

შესაძლებელია დადგეს ვერეს ხეობაში განთავსებული შენობების დემონტაჟის აუცილებლობა

მეწყრის ჩამოწოლამდე ორი საათით ადრე ვერეს ხეობაში ადამიანები უკვე იხრჩობოდნენ

რატომ არის საბერძნეთის კრახი ევროკავშირის კრახიც?

ერისთვის სახიფათო ზონები

„ამ ქვეყანას მაინც ბიძინა ივანიშვილის გონიერება და აურა აჩერებს, როგორც წარღვნაგადავლილ ზიკურატს, თორემ ხუხულასავით დაიშლებოდა... ეს კაცთა უმადურობის, უღირსობის და ღალატის სახიფათო ზონაა და ჩვენს მიერ დაცულობას საჭიროებს...“

ვინ ხულიგნობს ფეისბუკში შალვა ნათელაშვილის სახელით?!

რატომ ურევს ჩვენებებს ზოოპარკის დირექტორი ზურაბ გურიელიძე და რამდენად სწორია ინფორმაცია, რომ ზოოპარკში კონტრაბანდული გზით შემოყვანილი ცხოველებით ვაჭრობდნენ?

მდინარეები და ურჩხულები

ომისთვის და სტიქიური უბედურებებისთვის მშვიდობიანობისას ემზადებიან!

სტალინი – მაგია, ოკულტიზმი და ლურჯი ზეცა

„მთავარმა პროკურორმა“ – სტიქიამ საბრალდებო დასკვნა უკვე დადო – სიკვდილი ვერეს ხეობაში „ნაციონალებმა“ შეუკვეთეს!

ვახტანგ ხარჩილავა

– 13 ივნისს ვერეს ხეობაში მომხდარი ტრაგედიის გარშემო დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს კვალიფიციური და ობიექტური გამოძიება, – აცხადებს ხელისუფლება.

აუცილებელი ფორმალობა რომ არა, ამ გამოძიების ჩატარება არც არის საჭირო – **სტიქიამ ისეთი მაღალკვალიფიციური და მიუკერძოებელი „გამოძიება“ ჩაატარა ამ ხეობაში, რომ ყველა მტკიცებულება სააშკარაოზე გამოფინა და ყველა დამნაშავე გამოაშკარავა, ახლა, უბრალოდ, ამ დამნაშავეებისთვის ბრალის წაყენება და იქ მიბრძანებაა საჭირო, სადაც მათი ადგილია.**

ერთი-ორი უკვე მიბრძანებულია დანიშნულების ადგილას, ახლა სხვების ჯერია...

და, აი, აქ მივადექით მთავარს: ეყოფა კი ჩვენს ხელისუფლებას სიმტკიცე და პრინციპულობა, რომ დამნაშავეებს, რომელთა დანაშაულებრივ ქმედებას ამდენი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და, ამასთან ერთად, უზარმაზარი მასშტაბების მატერიალური ზიანი მოჰყვა, კანონის მთელი სიმკაცრით აგებინოს პასუხი თუ ახლაც საერთაშორისო თანამეგობრობის აზრს მოვერიდებით და ვერეს ხეობაში სიკვდილის მთესველებს ამ უბედურებასაც შევარჩენთ?

დარწმუნებული ვარ, „ნაციონალები“ და მათი მფარველები კვლავ ატეხენ განგაშს პოლიტიკური ნიშნით დევნაზე და საკაშვილს, უგულავას და ადამიანთა იმ ჯგუფს, რომლებმაც „მზიურისა“ და ვერეს ხეობის რეკონსტრუქციის დანაშაულებრივი პროექტი განახორციელეს და ვერეს ხეობაში სასაკლაო მოაწყვეს, პოლიტიკურ დევნილებად გამოაცხადებენ.

ქართველი ხალხის შეურაცხმყოფელი და აბუჩად ამგდები ეს ფარისევლობა და დემაგოგია დიდი ხანია ქართველი ხალხისგან, ხაზგასმით ვამბობ, ქართველი ხალხისგან და არა მხოლოდ ხელისუფლებისგან, საკადრის პასუხს და საკადრის რეაქციას ითხოვს.

სხვაგვარად უსამართლობის, ბოროტების, ცინიზმის, სადიზმის, ფაშიზმის ზეიმი საქართველოში არ დამთავრდება.

უფრო მეტიც, ჩვენი დუმილის შედეგად ეს ყველაფერი შეიძლება კვლავ უკან მოგვიბრუნდეს და საბოლოოდ დაუსვას წერტილი ქართული სახელმწიფოს არსებობას.

„ნაციონალების“ გებელსი – გიგა ბოკერია ამასწინათ ჩვეულ სტილში ბობოქრობდა „ნაციონალების“ საინფორმაციო ბოსელის – „რუსთავი-2“-ის ეკრანიდან: დასკვნების გარეშე როგორ იშვერთ ხელს ვიღაც-ვიღაცებისკენო?

კიდევ რა დასკვნები გინდათ, ბატონო ბოკერია – „მთავარმა პროკურორმა“, სტიქიამ, 19 ცხედარი დაგილაგათ წინ და თქვენ ეს დასკვნა მაინც გეცოტავებათ?

„მთავარმა პროკურორმა“, – სტიქიამ, თქვენ უკვე გამოგიტანათ განაჩენი, რომელიც ახლა კანონმდებლობამ უნდა აღასრულოს და ყველა დამნაშავეს, დამსახურებისამებრ, თავისი წილი უნდა მიუზღას.

– მეწყრის ბრალია ყველაფერი, მეწყერი რომ არ ჩამოწოლილიყო, ეს არ მოხდებოდაო, – 13 ივნისიდან, აი, ამის დამტკიცებას ცდილობს „რუსთავი-2“, რომლის ხელმძღვანელობაც უსინდისოდ იყენებს და მისთვის სასურველ, აშკარად პოლიტიკური შეფერილობის ინტერპრეტაციას უკეთებს მისი ჟურნალისტების მიერ მართლაც თავდადების და თავგანწირვის ფასად მოპოვებულ მასალებს.

„საერთო გაზეთის“ ამ ნომერში იბეჭდება წერილი, სადაც

დასაბუთებულად არის ნაჩვენები, რომ ვერეს ხეობასა და „მზიურში“ კატასტროფა მეწყრის ჩამოწოლამდე გაცილებით ადრე დაიწყო.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, მეწყერი არ ყოფილა 4 ივნისს, როცა თამაზ ელიზბარაშვილის ძაღლების თავშესაფარი წყალმა სანახევროდ გაანადგურა.

ყველა კეთილსინდისიერი სპეციალისტი და ექსპერტი უყოყმანოდ თანმხდება იმაში, რომ 13 ივნისს დატრიალებული ტრაგედიის მასშტაბები გაცილებით ნაკლები იქნებოდა, რომ არა „ნაციონალების“ მიერ ვერეს ხეობაში განხორციელებული ავანტურისტული პროექტი, რომელშიც საერთოდ არ იყო გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომები.

მალე მავანნი და მავანნი ენის მოჩლექით დაიწყებენ (უკვე დაიწყეს) საუბარს იმის შესახებ, რომ პროექტს გარკვეული ხარვეზები გააჩნდა, რომ დაპროექტებისას დაშვებული იქნა ტექნიკური უზუსტობები და ა.შ.

უტიფარი დემაგოგიაა ეს ყველაფერი – მდინარე ვერეს ხასიათიდან და იმ დრამატული ისტორიებიდან გამომდინარე, რომელიც ვერეს სახელს უკავშირდება, **„ნაციონალების“ ხელისუფლებამ შესანიშნავად იცოდა, რომ იმის გაკეთება, რაც მათ ვერეს ხეობაში გააკეთეს, ადრე თუ გვიან აუცილებლად დამთავრდებოდა დიდი უბედურებით, იცოდნენ და მაინც არ დაიხიეს უკან, რადგან ამ კრიმინალური ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა დიდ ფულთან, ძალიან დიდ ფულთან იყო დაკავშირებული.**

ამიტომაც არ შეიძლება ამ შემზარავი ფაქტის შეცდომად მონათვლა, ეს წინასწარ განზრახული დანაშაულებრივი ქმედებაა, კრიმინალია და არა შეცდომა.

გახსოვთ, ალბათ, „ნაციონალები“ კიდევ 30 წელი აპირებდნენ ხელისუფლებაში ყოფნას და, ალბათ, ფიქრობდნენ, თუ რაიმე მოხდება, ჩვენებურად ჩავფარცხავთ და მივაფუჩეჩებთ ყველაფერს, როგორც ეს არაერთხელ გაგვიკეთებიაო, მაგრამ განგებამ სხვაგვარად ინება და „ნაციონალებს“ წინ წყალი და უკან მეწყერი ძალიან მალე წამოეწიათ.



„ვინ შეუკვეთა სასაკლაო ვერეს ხეობაში?“ – ასე ჰქვია ჟურნალისტურ გამოძიებას, რომელიც ორშაბათს I არხის ეკრანზე გავიდა.

როგორც ვთქვით, „მთავარმა პროკურორმა“ სტიქიამ, ამ კითხვას პასუხი უკვე გასცა: – სიკვდილი ვერეს ხეობაში „ნაციონალებმა შეუკვეთეს!

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა საბჭოებლოში“; ტელ.: 599 95 31 90

ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ერისთვის სახიფათო ზონები

კობა არაბული

უნდა ვთქვა, რომ ჩვენ ვიმკით კოაბიტაციის ფატალურ შედეგს...

სადისტი ნაცების თავგასული, უტიფარი მოქმედება, ახლაც, ამ ვითარებაში, ყოველგვარ ზღვარს სცდება და დიდი ხიფათის პირისპირ აყენებს ქვეყანას... ვაფრთხილებ და მივმართავ ქართველ საზოგადოებას: ესენი გაწირავენ ქვეყანას საკუთარი ბნელი ინტერესებისთვის/ინსტინქტებისთვის... ქვეყნისთვის საზიფათო ზონად ყალიბდებიან ნაცებთან კოაბიტირებულ-კლონირებული დემოკრატები: ალასანია-აბაშიძე-პეტრიაშვილების „კვინტეტი“, შალიკო-პალიკოები, არასამთავრობოები, დივერსიული ტელევიზიები და სხვ. ეს მეტად სახიფათო ზონაა ერისთვის!

მარგველაშვილი ზოოპარკიდან გარიყული დათვივით საზიფათოა საკუთარი გუნდისთვის. არავინ იცის, როდის გაიღვიძებს და როდესაც იღვიძებს: თითო „ბეგშოპით“ აფუჭებს „ქართული ოცნების“ თითო საქმეს...

მან გახლიჩა „ქართული ოცნება“ და ალასანიას „სიბრტყეზე“ დადგა...

„სახიფათო ზონაში“ შესვლას ცდილობს უსუფაშვილი და დაცვაში აყენებს ქალს, რომელიც მისი მეორე ნახევარია...

რჩება შეგრძნება, არასამთავრობოებისგან და მათთან გარიგებული ბოსებისგან, რომ ჩვენ სახელმწიფო არ გვინდა და ის ვილაც სხვამ უნდა მართოს,,, აბსტრაქციულმა ვინმემ: ყველამ და არავინ...

მე ვთვლი: ვინც ერთხელ გადაარჩინა ქვეყანა, კვლავ მან უნდა გადაარჩინოს! თუ ის არ მობრუნდა, არაფერი მოხდება, ან მოხდება ის, რაც არ უნდა მოხდეს...

ღარიბაშვილი თანდათან ხვდება, ვის უნდა ელაპარაკოს: ის თანდათან უახლოვდება და კიდევ უფრო ახლოს უნდა მივიდეს ხალხთან!.. მან უნდა შეიცნოს საკუთარი ერი! და გადადგას რამდენიმე რადიკალური, სრულიად არაორდინარული ნაბიჯი... როგორც შინაურისთვის, ასევე — მტრებისთვისაც მოულოდნელი...

ერთხელ პატრიარქმა ბრძანა: კარგი იქნებოდა სასაზღვრო ზონაში, თემებში, მცირე მონასტრები და უხუცესთა მოხმობა...

მართლაც კარგი იქნებოდა სასაზღვრო საკრალური სივრციდან მოხმობილი სარანგების დასხმა ერისთვის „სახიფათო ზონებში“... თუ როგორ, ეს საიდუმლო-საკრალური ცოდნის ნაწილია და ღიად არ ითქმის... ამაზე მზადდება ცალკე ეპისტოლე.

მითი რამდენიმე საკრალური-სათემო საიდუმლო ცოდნათა დაფარვასაც ითხოვს და ეს ცოდნა უნდა გამჟღავნდეს გარკვეულ ჟამზე (უფლის ნიშნით) გარკვეულ კაცთა შორის, არა უმეტეს შვიდისა... შვიდი ბევრიც არის და ცოტაც: ბევრია, ანუ კმარა ცოდნისთვის და მცირეა — ომისთვის...

ნუ მოუხმობთ იმას, ვინც არაფერი იცის, ან აქვს უსარგებლო ცოდნა, მოიხმეთ ის, ვინც იცის სამი სიბრძნე მაინც: სამშობლოში დაბრუნების და მიწის მოვლის მტრის მოყვარედ ქცევის და არხილულის ხედვის და შეცნობის...

რა არის იმის მიზეზი, რომ ქვეყანას, ერის საარსებო სივრცეს, ისევ და ისევ ლიბერასტები, ანტიქრისტეები, მედროვე და ფსევდო-პატრიოტთა კლანები ავსებენ და აბნელებენ... სხვები — სხვის ადგილზე სხედან...

სად არის ამის სათავე? ხელისუფლების სისუსტეში თუ სააკაშვილის ნარჩენების იეზუიტურ უტიფრობაში, მათი ძალადობის უნარში?

ისევ ის მატლიჭამიები: დეისაძეები, ბურჭულაძეები, დეფები... პარპაშობენ მსოფლიო კულტურათა ბიენალებზე — ქართველთა ნიჭის გამომხატველად...

ისევ ისინი, „გუგულის კვერცხები“ და „მეზობლის ბაღის ყვავები“ სხედან ქართველ ხელოვანთა და მწერალთა სახლებში...

ხოლო ბორდიურებსა და გადასასვლელ გვირაბებში საკუთარი წიგნებით ჩამომჯდარ მწერლებს ზოგჯერ კაჭკაჭი თუ დაასკინტლავს...

მწერლებს რუსთაველის ქვეყანაში არა აქვთ სახლიხანდაკი... მეძავებს, მემორინეებს და ძაღლებსაც კი აქვთ თავისი ოფისები... ამ წარღვნის დროს უფრო გამოიკვეთა ეს...

ახლა ადამიანებს კი არა, ცხოველებს უფრო უფრთხილდებიან და დასტირიან: ზოოპარკში დამხრჩვალ ცხოველზე: „გარდაცვლილი ძაღლი გამოასვენესო“, — ამბობენ ნაცები და პედოფილი ლიბერასტები...

ასეთია ბედის ირონია და ცინიზმი ამ ქვეყანაში... როდესაც დედაქალაქს ამ წარღვნამ ჩაუარა, ვერავინ ახსნა, რა და რატომ მოხდა...

სად არის მიზეზი და მიზეზთა მიზეზი: იქნებ რწმენაზე და უფლის ნებაზე ძალადობას, უღმერთოთა და ლიბერასტთა ზეობას ზეიმობს სატანა და ამიტომ უფალი აპოკალიფსს გვიცხადებს — გვაშენებინებს გვირაბს ნაციონალების ხელით, საიდანაც ვეღარ გავდივართ...

ადამიანთა ხვთიური მისია, ანდრეზული ცოდნის მოტივაცია: კაცის კაცად ქცევა, გმირის გმირად ქცევა, ქალის ქალად ქცევა, მისი ხვთიური ბუნების გამოსახვა — დაიკარგა...

როცა ერი და სახელმწიფო დგება მორალის, ტრადიციული ზნეობისა და ცნობიერების გარეთ, იგი იღუპება: აღმოჩნდება პედოფილთა და ჰომოსექსუალთა „ნოეს კიდობანში“ და შეწყვეტს გენეტიკურ არსებობას...

ქართველი ერის გონიერ სივრცეში არ ჩანს (არ აჭაჭანებენ!) ქართველი კაცი — ერის სული და გონი — გენეტიკური კოდით მოქმედი...

დაგვისვამენ ეკრანზე გრიგოლია-გაბუნიები ბოკერია-დარჩიაშვილებს, გოკა გაბაშვილებს, კოჟორიძეებს... ჰომო-სექსებს...

სულაც ეკა გიგაურს და ნადირაძეს — მოდი და უყურე ამ „ფუნეთა“ ფუნაგორიობას.

არ გათავდება ეს მარაზმი, ყველა ტელევიზია ამ ყვავების და ჭილყვავებისაა, ესენი დაგვჩხავიან!!!

„ამ ქვეყანას მაინც ბიძინა ივანიშვილის გონიერება და აურა აჩერებს, როგორც წარღვნაგადავლილ ზიკურატს, თორემ ხუხულასავით დაიშლებოდა... ეს კაცთა უმადურობის, ულირსობის და ღალატის სახიფათო ზონაა და ჩვენს მიერ დაცულობას საჭიროებს...“

ეს არხები იმდენად თავხედობენ, რომ შეუძლიათ შუაზე გაუწყვიტონ სიტყვა ქვეყნნის პრემიერ-მინისტრსაც კი და მიაწერონ რაც უნდა და, როგორც უნდა: გნევბავთ, ვერეს ხეობაზე წარღვნის გამოწვევა... და ვარსკვლავთა ჩაშლაც კი...

ტელევიზიებიც სახიფათო ზონად იქცნენ ერისთვის.

მაგრამ მაინც გასაკვირია:

როგორ ახერხებს გამარჯვებული ხერლისუფლება („ოცნება“), რომ დამარცხებული ნაცების (და მათი ტელევიზიების“ მძევლად ქცეულიყო...

ნაპოლეონმა ჯერ კიდევ როდის ბრძანა: 10 გაზეთი მირჩევნიაო 100 გენერალს!!! — ეს მართლაც ასეა და „ქართულმა ოცნებამ“ რადიკალურად უნდა შეცვალოს საინფორმაციო პოლიტიკა...!

პატრიარქის ქადაგება „ზოოპარკის“ ცოდვათა წარმომავლობის თაობაზე ჭეშმარიტების შემცველია... ეკლესიათა დამანგრევლებმა აქ თავის დროზე ცხოველთა სამყარო შექმნეს, უფლის სახლების ნგრევის ნიადაგზე! ეს ცოდვა უფლის სასჯელის შემცველია, რომელიც ადრე თუ გვიან აღესრულებოდა და აღესრულა კიდევაც... „ნაცებმა“ ახალი „ძაბრი გვირაბები“ დაუმატეს, რამაც ვერეს ხეობა ჯოჯოხეთად აქცია...

სასჯელი იმდენად შემაძრწუნებელი და სასტიკი აღმოჩნდა, რომ ადამიანები და ცხოველები ერთად „ჩახარშა“ წყალთა წარღვნაში და ტალახში ისევე, როგორც გომორის ქალაქი... და ვფიქრობ, რომ იგი საკმასრისი უნდა იყოს ურწმუნოთა გონზე მოსაყვანად და „მონანულთა“ (მორწმუნეთა) ასალი სინანულის და ლოცვათა გაძლიერებისათვის...

მაგრამ სატანებისთვის ეს არ იქნება გაკვეთილი, მათთვის შვების და ირონიის მომგვრელია...

რატომ ხდება ასე, სად არის ცოდვათა დასაბამი?!

— როდესაც პატრიარქის ქადაგებებზე იქედნურად ქირქილებს, მაგალითად: ბოკერიას ცოლი — დედაკაცი, რომელმაც სატანისტური ტელევიზია დაამკვიდრა და მას წინ ვერავინ აღუდგა, აქ არის ცოდვათა დასაბამი!..

— როდესაც ჰომოსექსუალები, პედოფილები, სხვადასხვა ჯურის სექტები დაუსჯელად დაპარპაშობენ და მიტინგებს გვიწყობენ გორგასლის ქალაქში, აქ არის ჩვენი ცოდვების „ძაღლის თავი“!

— როდესაც ქრისტიანი ერი სატანისტების მფარველად და შემწყნარებლად გვაქციეს, აქ არის ზნეობრივი რღვევის დასაბამი!

— როდესაც რუსთაველის და ვაჟა-ფშაველას ქვეყანა „კოაბიტაციური“ რეჟიმით ცხოვრებას იწყებს და „ბილწთან ზავის შეკვრით“ წინაპართა მორალს უპირისპირდება, აქ იწყება მისი „აპოკალიფსი“!

ანუ:

ირონიულად ეცინებათ რწმენაზე, ეზიზღებათ და ეცინებათ ტრადიციებზე, მორალზე, ერის სულიერ მენტალობაზე, ისტორიულ თვისებებსა და ღირსებებზე — ეცინებათ ნაცებს, ლიბერასტებს, „დემოკრატებს“, პედოფილებს, არასამთავრობოთა ბოზებს და ბოსებს — მათ ქმრებსა და ცოლებს! — მათი მოვლენილია ეს სასჯელი ჩვენზე და ერზე!.. რამეთუ ჩვენ მორჩილად ვიღებთ ამ უზნეობებს და ზნეობრივ ძალადობებს!.. — ჩვენ სათანადოდ ვერ ვპასუხობთ მათ!..

ეს ასეა: ჯერ შენ ისჯები და მერე ისინი... ვინაიდან შენ იქეცი სატანის ვნებათა აღმასრულებლად, სატანის მოციქულთა ნებით...

ამდენად: ვერის ხეობაში დაისაჯა უგნურთა და ბოროტთა საქციელის გამო უდანაშაულო, ალალ-მართალი, პატიოსანი ადამიანები: „არამთ ალალნი შეეწირნენ“... — ფოლკლორული სიბრძნის მიხედვით...

სტიქიამ ცოდვის კიდობანში ადამიანები გიენების, მგლების, დათვების გვერდით, მათ სამყოფელში შეათრია და იქ დაფლა — ეს სასჯელია, რომელშიც თავისი დიდი წვლილი ამ ურწმუნო უვიც „ნაცებსაც“ მიუძღვით... ეს ასეა! და ჩვენ, ქართველნი, ვიდრე არ გავაცნობიერებთ ჩვენს ურწმუნობას, ვიდრე არ ჩამოვიშორებთ ნაციონალების ბოროტებას, ვიდრე დავრჩებით სულიერ მერყეობაში, ჩვენ ვერ ავირიდებთ მსგავს და უფრო უარეს სასჯელებს...

დაბოლოს, იმასაც მოგახსენებთ, რომ ამ ქვეყანას მაინც ბიძინა ივანიშვილის გონიერება და აურა აჩერებს, როგორც წარღვნაგადავლილ ზიკურატს, თორემ ხუხულასავით დაიშლებოდა... ეს კაცთა უმადურობის, ულირსობის და ღალატის სახიფათო ზონაა და ჩვენს მიერ დაცულობას საჭიროებს...

ქვეყნის მტრები, ნაცები და ათასი ჯურის კლანები ცდილობენ, ამოაგდონ ეს ფიგურა „საჭადრაკო დაფიდან“ — სახელმწიფოს დამცავი სისტემიდან, რასაც ჩვენდა საბედნიეროდ, უფლის ნებით ვერ ახერხებენ და ქვეყანა ინარჩუნებს წონასწორობას.

ფელეტონი

მეწყრის ჩამოწოლამდე ორი საათით ადრე ვერეს ხეობაში ადამიანები უკვე იხრჩობოდნენ

ამხელა ტრაგედია, ამხელა ზარალი და ხალხი ადვოკატად უდგება ბუნების მოვლენებს და არა ადამიანებს; უფრო საკვირველი – მეწყერს, რომელიც პირთა ერთი ჯგუფის „ბრალდებით“ უმთავრესი და ძირითადი დამნაშავეა „თანამზრახველ“ წვიმასთან ერთად. სურათი მოკლედ ასე იხატება – მაღლა, წყნეთი-ბეთანიის მონაკვეთზე ჩამოწვა მეწყერი – ჩახერგა პატარა მდინარის კალაპოტი – დაგუბდა მდინარე, გადმოხეთქა – დაიტბორა კონკრეტული მონაკვეთები და ამას მოჰყვა მსხვერპლი.

ერთი შეხედვით, მართლაცდა მეწყერია 13 ივნისის საშინელი ტრაგედიის მთავარი „შემოქმედი“, მაგრამ მანამდე, რამდენიმე დღით ადრე რომ იმავე ადგილზე (სვანიძის ქუჩაზე), სადაც თამაზ ელიზბარაშვილის ძაღლების თავშესაფარი მდებარეობდა და ათეულობით ცხოველი დაიღრჩო სწორედ იმავე მდინარე ვერეს მოვარდნის გამო, მაშინ ხომ მეწყერი არ ჩამოწოლილა? მაშასადამე, კოკისპირული წვიმის გამო მდინარე მნიშვნელოვნად ადიდდა და ტერიტორია დატბორა.

დროში უკან გადავინაცვლოთ და ახლა ის ვიკითხოთ, მას შემდეგ, რაც ამ ქვაბულში ე.წ ვაკის სოსისების ქარხანამ დაიწყო ფუნქციონირება (1959 წელს აშენდა, 1961 წლის 12 სექტემბერს გამოუშვა პირველი პროდუქცია) და ოჯახები დასახლდნენ, კოკისპირული წვიმა არასდროს მოსულა?

დაკლაკნილი კალაპოტის მქონე ვერე უხვი ნალექის შემთხვევაში ყოველთვის დიდდებოდა, მაგრამ წყალგამტარი გვირაბი, რომელიც აღნიშნულ მონაკვეთზე კომუნისტების დროს არის გაყვანილი 1959 წელს, ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი გზის გაჭრის გამო, მაინც ატარებდა წყლის ნაკადს, მაგრამ ახლა „რაღაც“ მოხდა. აი, ეს „რაღაც“ ბრალდება მეწყერს! – მაღლა, წყნეთი-ბეთანიის მონაკვეთში ჩამოწოლილმა მეწყერმა წამოიღო ნაშალი, ხეები და ჩახერგა წყლის გასასვლელი. კვლავ გავიმეოროთ, როდესაც ძაღლების თავშესაფარი წალეკა მდინარემ, მაშინ ხომ არ იყო მეწყერი, რატომ დაიტბორა იგივე ადგილი, რატომ ვერ გაატარა წყალი? ამ ადგილისა და ახლო-მახლოდ მცხოვრებლები, გარდა ამისა, ისინი, ვინც მეტ-ნაკლებად ერკვევიან თუ ვერ ერკვევიან ამგვარ საკითხებში, ერთხმად ამტკიცებენ, რომ მეწყერი არაფერ შუაშია, დანაშაულის სიმძიმე მასზეა, ვინც „კომუნისტების მილის“ შემდგომი გაგრძელება დააავიწროვა და მდინარე დააპატიმრა.

დიასპორის ყოფილი მინისტრი, ტრაპაიძე გვეუბნებოდა, ჩვენს მიერ დამატებული გოფრირებული მილი 2-ჯერ მეტი დიამეტრის არისო და ახლა ირკვევა, რომ გოფრირებული გვირაბების ფართობი 50 მეტრით არის შემცირებული, ანუ კომუნისტების დროს აშენებული გვირაბების წაყალგამტარიანობა 2-ჯერ მეტია ვიდრე ე.წ გოფრირებული გვირაბებისა. (ნინო კილაძეს რომ ვკითხოთ, თურმე ამ მილებს შეუკავებია წყლის ნაკადი, თორემ თავისუფლების მოედნამდე ჩავიდოდა... – ვერაფერს იტყვი, მძიმე შემთხვევაა)

მცირე ხნით წარმოვიდგინოთ, რომ არ დამდგარა 13 ივნისი; არ ჩამოწოლილა მეწყერი, მხოლოდ ისევე გადაუღებლად და მრისხანედ წვიმს სამი საატის განმავლობაში, როგორც ამ დღეს წვიმდა, მაგრამ დღეებით უკან, როცა ძაღლების თავშესაფარი დაიტბორა და ცხოველები დაიხოცნენ – წვიმას რომ არ გადაეღო, მოხდებოდა თუ არა იგივე პროცესები?

პასუხი ცალსახაა, მოხდებოდა, რადგან მდინარე ვერეზე წყალდიდობის გამომწვევი ძირითადი მიზეზი არის ის, რომ კალაპოტის წყალგამტარუნარიანობამ ვერ უზრუნველჰყო ნიაღვრის სწრაფი გატარება, რამაც სათავე დაუდო კალაპოტისპირა ტერიტორიების დატბორვას.

დაანებეთ მეწყერს თავი! მერე რა, რომ ცხოველები არიან ძაღლები, ამოსავალი ამ დღიდან დაიწყეთ, მათი დიდი მსხვერპლით, როცა მეწყერი არ გამოდგება „განტევების ვაცად“ და აქედან ეძიეთ უკვე მომდევნო კვირას იგივე სახის სტიქიის ადამიანთა მსხვერპლით დასრულება!

საქართველოში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში მგზავრობისას ბევრგან გადაივლის სამანქანო გზა საკმაოდ განიერ უწყლო ხევებზე. რატომ არის ხიდები ასე გრძელი – იმიტომ, რომ ეს ის უპროგნოზო მდინარეებია, რომლებიც დიდდებიან და თავიანთივე გაჭრილ კალაპოტში უნდა იდინონ, მათი დაპატიმრება ვიღაცების სურვილის მასშტაბებში არ შეიძლება!

სრულებით არ არის საჭირო კონკრეტული პირების ხსენება, ყველაფერი დღესავით ნათელია, მაგრამ აბა, როგორ არ უნდა ახსენო მიხეილ „სააკაშვილი და კამპანია“, როცა კიდევ ბევრ რამეს არის ხალხი გადარჩენილი, რადგან მტკვრის გათბობა და მტირალას მთის მოთხრა ვერ მოასწრო...

მდინარე ვერე რომ არ დაეპატიმრებინათ, „პერანგში“ არ ჩაესვათ და „ქონება“ – კალაპოტი არ წაერთმიათ საკუთარი ქონების შესამატებლად, არც ვერე გადაირეოდა და ცხადია, არც კალაპოტის გასწვრივ და კალაპოტში არსებული განაშენიანება განადგურდებოდა ასე კატასტროფულად...

დეტალური გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური გამოკვლევებითა და აეროგადაღების მასალებით ეჭვმიუტანელი დასკვნა დაიდო, რომ ბეთანიაახალდაბის არეალში წარმოქმნილმა მეწყერმა მდინარე ვერეს კალაპოტის ძირამდე ვერ ჩაიტანა ისეთი მოცულობის მეწყერული მასალა, რასაც შეეძლო კალაპოტის ჩახერგვა და ნიაღვრების ხანგრძლივი დროით შეკავება!

ალბათ, საინტერესოა, მეწყერი, რომელიც არაფერ შუაშია, მაგრამ მაინც, რომ არ ჩამოწვეს, თუმცა ისეთივე კოკისპირული და გადაუღებელი წვიმა წამოვიდეს კიდევ ერთხელ, განმეორდება თუ არა იგივე? – როგორც სხვადასხვა დარგის სპეციალისტები ამბობენ, განმეორდება.

ამიტომ, უმსგავსობაა ის დემაგოგია, რასაც ზოგიერთი მედია-საშუალება დაუსრულებლად ეწევა შეფარული ფორმით თუ ღიად, საუბარი აღარაა ჭორებზე; და კიდევ, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან უმწიფარობაა, როდესაც ამგვარ დემაგოგიაში უნებლიედ ერთვება მხარედ.

აუტანელი მოსასმენ-დასანახი იყო ტელეკომპანია „რუსთავი-2-ის“ ტელეწამყვანი გიორგი გაბუნია მამტკიცებელი ტონითა და გამომეტყველებით კითხვას რომ უსვამდა ქალაქის მერ დავით ნარმანიას – ღამის ათ საათზე უკვე ცნობილი იყო მეწყერი რომ იყო ჩამოწოლილი და მხოლოდ სამი საათის შემდეგ დაიწყო კატასტროფა, რატომ არ მიიღეთ ზომებიო?

ამხანაგო გაბუნია! ნატა ამაღლობელი, რომელსაც სწორედ „რუსთავი-2-იდან“ იცნობს ფართო საზოგადოება, ის მოწმეა, რომელმაც საკუთარ თავზე გადაიტანა იმ ღამისა და მომდევნო დღის დილის შიშიც და ბუნებრივია, ყველა სხვაზე მეტად მიახლოებულად იცის „მეწყერის ამბავი“.

რა ჭორებს ავრცელებს გაბუნიას პირით „რუსთავი-2“ და რატომ, დიდი სამკითხაო არ არის, მაგრამ ის მეჯოგე მაინც მოეძებნათ, რომელიც ნატა ამაღლობელის სავარაუდო დროზე გვიან დროს აფიქსირებდა მეწყერის ჩამოწოლის დროდ, დაახლოებით ღამის სამ საათს ასახელებდა. ყველა შემთხვევაში, მეწყერის ჩამოწოლამდე დაიტბორა დატბორვისთვის განწირული ადგილები, 20 წუთში 4 მეტრით აიწია წყლის დონემ და გადაყლაპა ხალხიც...

სხვათაშორის, მეწყერი რომ ჩამოწოლილა, მხოლოდ 2. 43 წუთზე, პირდაპირი სპეცრეპორტაჟის დროს დააფიქსირა დავით იაკობაშვილმა და ისიც სხვათაშორის, ჩამონათვალში, რომ ჩაინგრა ჯავახეთის ქუჩა, წყალი შევარდა საცხოვრებელ სახლებში ისანში, ჩიქოვანზე და ა.შ

მომღერალი ზაზა ხუციშვილი, რომელსაც აგარაკი აქვს ახალდაბაში, მეწყერიდან უმოკლეს მანძილზე, ადგილობრივი მცხოვრებლების ნაამბობით დადასტურებულად აცახდებს მეწყერის ჩამოწოლის დროს, ისევე, როგორ მეჯოგე – მეწყერი მოწყდა წვიმის გადაღების შემდეგ, დაახლოებით ღამის სამ საათზე!

სხვა საკითხია, რომ პირთა ჯგუფს არ სურს პასუხგება საკუთარ ნამოქმედარზე, რომელსაც ადამიანთა მსხვერპლი და ისედაც შეჭირვებული ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მოჰყვა, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ამ კატასტროფის შემოქმედები კონკრეტული ადამიანები არიან (მათი ვინაობა ყველასთვის ცნობილია!) და არა მეწყერი!

რა არის საჭირო იმისათვის, რომ მსგავსი კატასტროფა აღარ განმეორდეს? – მდინარის ხეობას უნდა დაუბრუნდეს წართმეული ქონება, ბუნებრივი მორფოლოგიური იერი (მდინარეს რომ მეტყველება შეძლებოდა ხომ იგივეს იტყოდა რასაც ადამიანები ამბობენ, აღადგინეთ სამართლიანობა თორემ გადავირევიო).

ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი გზის პროექტი, რომელიც, როგორც ამბობენ, არცკი იძებნება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არც არასოდეს არსებობდა, ესტაკადა სპონტანურად შენდებოდა, ვერაფრით იქნებოდა შესწავლილი და დასკვნადადებული... თუნდაც ყოფილიყო პროექტი, თუ სხვა არაფერი ერთვოდა, ის ხომ მხოლოდ მასალა-ფურცელი იქნებოდა? კვლავ იძულებული ვარ პიროვნებას შევეხო – სულ მცირე, მორალური პასუხისმგებლობა მაინც არ არის გიგი უგულავას წილად? თუმცა, რატომ მხოლოდ „მორალური“? უგულავა ჯერ მხოლოდ იმ ტყუილისთვისაა დასასჯელი, რომ კანონი შეუცვლიათ და შიდა გზების სტატუსში გადაუყვანიათ ამხელა ესტაკადა. რატომ? იმიტომ, რომ შიდა გზებს არ სჭირდებოდა ეკოლოგებისა და სპეციალისტების დასკვნები... ახლა, როცა აუნაზღაურებელი მსხვერპლი და ამხელა ზარალი სახეზეა, გნებავთ, „ნაციონალების ციკლური დანაშაული“ ვუწოდოთ, გნებავთ, „ნაციონალების სისტემური დანაშაული“...

გიორგი ჩხეიძე

ნაირა გელაშვილი:

მდინარეები და ურჩხულები

შუაღამისას, საშინელი ხმაურით გაღვიძებული, გადავყურებ ვერეს ხეობას ჩემი მეოთხე სართულის ფანჯრიდან და ვცდილობ გავერკვე, რა ხდება: რადგან ჩანს წყალი, რომელიც, მას შემდეგ რაც მ. სააკაშვილმა მდინარე ვერე ბეტონის სარკოფაგში მოაქცია, აქ აღარ ჩანდა. მთელი ნახევარი კილომეტრის მანძილზე ხეობა დამშრალი იყო. ახლა კი ღამეულ ხეებში ჩამალული ლამპიონების რყევად შუქებზე ლაპლაპებს წყალი, თუ ღვარცოფი და სულ უფრო ზემოთ იწევს: წყნეთის ქუჩის პატარა სოფლური დასახლება, ფერდებზე შეფენილი ეზო-კარიანი სახლუკები, რომელთა ახალი ნაწილი აქ აღარარსებული მდინარის ადგილას გაჩნდა, - თანდათან წყალში იძირება, ქვედა კორპუსების ავტოფარეხები, იგულისხმება, რომ უკვე წყალმა წაიღო. ახალ გზაზე, მდინარე ვერეს დაბეტონების ფასად რომ წარმოიქმნა, სამოთხი სახანძრო, პოლიციის, სასწრაფო დახმარების თუ რაღაც მაშველი მანქანა დგას აწივლებულ-აკივლებული სირენებითა და ლილისფერი შუქების ისტერიით.

ვხედავ მეზობელი კორპუსებიდან როგორ გამორბიან ბიჭები და როგორ ჩარბიან ქვემოთ, იქ სადაც წყალია. უნდათ ვინმეს მიეხმარონ. დიდი ხნის დავიწყებულმა სიამაყის განცდამ ამავსო. (ხომ ხედავთ, ადამიანობა ადვილი დასაშრეტი არ არის თვით იმ ქვეყანაშიც კი, ამისთვის საგანგებოდ რომ გამეცადინებულა). ისმის იმ წყლის ყურთწამღები ღრიალი, რომელმაც გაფთრებით გამოარღვია ბეტონის გვირაბი, უზარმაზარი ძალით გადმოსკდა და ახლა თითქოს შურისგების წუთებს ზეიმობს... (აპოკალიპსის პატარა რეპეტიცია...)... კიდევ გაისმის დიდი ჩამონგრევის ხმა... ვიცვამ და სასწრაფოდ ჩავრბივარ ქვემოთ. ლიფტში არ ვჯდები, რადგან წუთის წინ შუქი გამორთული იყო და ალბათ კიდევ გამოირთვება... ქალები და კაცები კითხულობენ ქვემოთა მეზობლების - პატარა სოფლის ბინადართა ამბავს... ვისი სახლი წაიღო წყალმა, ვინ დაიღუპა, ვინ გადარჩა... ქვემოდან მოქოშინებენ წელზემოთ შიშველი ხნიერი კაცები, ტალახში ამოსვრილი ქალები... ხალხი მატულობს. ისმის წყევლა და გინება უპირველესად ექსპრეზიდენტის და თბილისის ძველი და ახლანდელი მერების მისამართით. აგრეთვე: ხელისუფლებას, როგორც ასეთს, ეყრება თავს ქოქოლა, იმ ქვაღორღის სიმძიმის, ახლა ვერეს ხეობიდან ქალაქის ცენტრისკენ რომ მიინთხევა. იცის ხალხმა, რასაც გულისხმობს: საკუთარი თვალით ნახეს გვირაბის გამონგრევა; და ისედაც: ქალაქში სანიაღვრეები არ არსებობს, მიწისქვეშა წყალგაყვანილობა საერთოდ მომსპარია და მიხედავად ამისა, შენდება და შენდება უხარისხო, გიგანტური საცხოვრებელი სახლები - სულ ადვილი ნადავლი მიწისძვრებისთვის.

ფეხშიშველი, ტალახში ამოსვრილი, შუახნის ქალი უმწეოდ ატრიალებს ლამაზ სახეს აქეთ-იქით. ტირის. ის ერთერთი „წყალწაღებულია“, ახლა არ იცის, სად წავიდეს. კიდევ ისმის ჩამონგრევის ხმა. ისევ მოგლიჯა რაღაც მდინარემ. ავტოფარეხი ან სახლი, ან მიწა. პატარა ბიჭები მობილურების ეკრანებზე ქალაქის სხვა უბნებში დატრიალებულ ამბებს ჩასჩერებიან და ხმამაღლა ახმოვანებენ: „კაცი იძირება!“ „ძაღლები და დათვები დაიხრჩვნენ!“ „ზოოპარკი დაიტბორა!“ „ლომი ქუჩაში!“ „კაცი ფანჯრიდან გადმოხტა!“

ქვემოთ ჩავრბივარ ბეტონის კიბეებით მდინარისპირა კორპუსებისაკენ. მობილურით ვინათებ საფეხურებს. ახალგაზრდა ქალბატონი მემგზავრება, მოკლეკაბიანი და თმაგაშლილი, შიშველ ფეხებზე თეთრი ბოტასებით. სიბნელის მიუხედავად მასში ამოვიცანი ჩემი კარის მეზობელი, რომელზედაც სულ გაბრაზებული ვარ, რადგან არასოდეს არ გვის სართულის ბაქანს და კიბეებს, და კარის წინ ფეხების გასაწმენდი ტილოც კი არ უფენია(რასაც მე საქართველოში არსად, არც ქალაქში და არც სოფელში არ შევსწრებივარ და რაც ჩვენი დღევანდელი ცივილიზაციის გამაოგნებელ სიმპტომად მიმაჩნია). ახლა კი ეს ტანკენარი ქალიშვილი ამბობს: „კარგი ცურვა ვიცი. ეგებ გადავარჩინო ვინმე. ნერვები მაწყდება, რომ აქა ვარ და ხალხს ვერ ვშველი!“ და ჩემზე წინ გარბის. ამ დროს ყველა ლამპიონი ქრება. და მე იძულებული ვარ უკან ავიდე კიბეებზე. ჩემი მეზობელი კი უკვე ქვემოთაა... იქ სადაც ისმის ღრიალი მეგაფონში: „დასტოვეთ ეს ადგილები! გაანთავისუფლეთ ეს კორპუსები!“ როგორ უნდა გაათავისუფლონ?! წყნეთის ქუჩის მე-13 და მე-14 კორპუსები გიგანტური კორპუსებია. როცა მაგათ აშენებდნენ ასე, 1974-5 წლებში, და მთელ ხედს გვიხშობდნენ და გვიმახინჯებდნენ მე-4 ზედა კორპუსის მცხოვრებლებს, ჭკუიდან გადავდიოდი: როგორ შეიძლება მდინარის პირას, ნესტიან ადგილას, ლამის ჭანჭრობში, საცხოვრებელი სახლების, თან ამხელების აშენება მეთქი. ეს შეუპოვარი უაზრობა სიცოცხლეს მიწამლავდა. გეოლოგებისგანაც მესმოდა, რომ იქ სახლების ჩადგმა არ შეიძლებოდა. და აი, ახლა თავზარდაცემული ყვირილი მეგაფონიდან: „გაათავისუფლეთ კორპუსები!“

ყველაზე აქტიური (ძალზე ხშირად ვითომ იმპოზანტური) რობოტებისთვის, რომლებსაც ნასახი შემოქმედებითობისა არ გააჩნიათ და ეკონომიკური (თანაც უპირატესად საკუთარი) პრობლემების გადაჭრა ღმერთის მიერ შექმნილი, მზამზარეულად არსებული ბუნების განადგურებით, მისი რესურსების გაუმაძღარი ხარჯვით უნდათ. მათ არ გააჩნიათ იმდენი ნიჭი, ფანტაზია და სინდისი, რომ თავად მოიფიქრონ რაღაც ახალი და ჩვენთვის, კაცთათვის ნაჩუქარი უთვალავფერიანი სამყარო კი არ მოსპონ და დაამახინჯონ, არამედ კიდევ უფრო გაამდიდრონ და გაამშვენიერონ, დილით ამ კორპუსებთან ჩავდივარ და ვხედავ: მათ წინ ზონარია გაბმული და პატრულის ახალგაზრდა მუშაკები უმწეოდ დაწრიალებენ: წინ არავინ არ უნდა გაუშვან, რადგან ქვემოთ მდინარე მიჰქუხს და ზემოთ მიწა იმეწყრება, ნაწილი უკვე ჩაქცეულია...

ნელნელა წყლის ღმუილი იკლებს, ნგრევის ხმაც აღარ მეორდება... შინ ტელეეკრანზე ისევ წყლის ბორგვა და ტრიალია ხიდებქვეშ, გვირაბებში, მაღაზიებში, ბინებში... დაზარალებულები და დაშავებულები, პატრული, თავდაცვის სამინისტრო, მოხალისე მშველელები, საგანგებო საავდროსამოსში გამოწყობილ ხელისუფალთა მჭმუნვარე სახეები და ხალხთან ერთად საერთო ტალახსა და მორევში მათი სვლა...

დილა განსაკუთრებით დამშვიდებულ-დაწმენდილი და განათებულია, როგორც უმეტესად უბედურების შემდეგ... თითქოს სამყარო საკუთარი, შეუვალი სამართლით ტკბება...

ისევ ჩავდივარ ქვემოთ მდინარის ნაპირებისაკენ, მდინარისა, რომელიც აღარ იყო, რომელიც დამარხეს და რომელმაც ძალით გაითავისუფლა თავი: წალეკა ადამიანები, სახლები და ბაღები, გაიტაცა საგნები, ავტომობილები, შინაური ცხოველები და ფრინველები, და მიჩქეფდა ახლა: მღვრიე და ლაღი.

იქითა ნაპირზე ორიოდე პატარა, საცოდავი სახლი კი დარჩა, მაგრამ წყალმა მთლიანად გამორეცხა და ქვაშით აავსო. მიწა მთ წინ უზარმაზარი, ცისკენ აყრავებული ფესვებით მოფენილა, ფესვებით, თავიანთი ხეები რომ დაუკარგავთ (ყოველთვის მიკვირდა, როგორ ახერხებდა მდინარე ამას) ... თითოოროლა ტალახში ამოსვრილი, წელში მოხრილი კაცი დაბორიალებს დანაპრალებულ მიწაზე, რაც საშიშია... მაგრამ მათ უკვე ხელი აქვთ ჩაქნეული: ქვიშაში თავიანთ ნივთებს ეძებენ. ეგებ რაღაც მაინც დაიბრუნონ იქიდან, რაც ჯერ კიდევ გუშინ მათი ცხოვრება იყო... ერთი მათგანი იხრება და რაღაცას იღებს ტალახიდან და შიშველი ხელით წმენდს. მგონი, ბავშვის სათამაშო მანქანაა...

ფეხი ჩამეფლო ტალახში. გადავქანდი და ხელით დავაწყდი ტალახიან ქვას მკვდარი, სველი კნუტის გვერდით: ზურგზე იწვა მუცელგაბერილი და თვალებღია და ოთხივე პატარა თათი უცნაურად ჰქონდა ცისკენ აფშეკილი. თითქოს ლოცულობდა. თითქოს დასაქოქი სათამაშო იყო...

და სათამაშოდ იქცა მთელი სამყარო, მთელი ცოცხალი ბუნება, კოსმოსი და დედამიწა, მდინარეები და ზღვები, მთები და ტყეები და თავად ადამიანი ტექნოკრატიული ცივილიზიციის ნაშიერებისთვის - უხარბესი ადამიან-მანქანებისთვის, პარაზიტულ-მტაცებლური ცნობიერების მქონე

ლები, სხვა პროფესიონალები და ჩვეულებრივი საღი ადამიანები. ნახევარ-კილომეტრიან ბეტონის გვირაბში რომ შეტენი მდინარეს, ხომ ცხადია, რომ უბედურება მხოლოდ დროის ფაქტორი ხდება.

„კავკასიურმა სახლმა“ მაშინ დაწყებული ნგრევის პროცესი გადაიღო და ალარმისტული ვიდეოკლიპის სახით გაავრცელა სოციალურ ქსელებში... განგაში ავტეხეთ, როგორც ყოველთვის ვტეხთ ეკოლოგიური ბოროტმოქმედების დროს, მაგრამ, როგორც ყოველთვის ბოლო ხანებში,- ამაოდ: მზარდი სიღატაკე და მზარდი გაუნათლებლობა ბუნების მტერია. ამიტომ არა მხოლოდ მოძველებული: „გათიშე და იბატონე!“, არამედ უფრო ეფექტური: „გააღატაკე, გამოათაყვანე და იბატონე!“ და ხომ ვერაფერი შეედრება ამ მხრივ ქართულ ტელევიზიას, პლუტოკრატიის ბოროტი სულის ესოდენ ეფექტურ ინსტრუმენტს.

ფანჯრიდან ვხედავ, როგორ დაიჩოქა მდინარის იქითა, დამეწყრილ ნაპირზე უხეებო ფესვებ შორის ერთმა კაცმა, წელან რაღაცეებს რომ ეძებდა შლამში, და სახეზე ხელები აიფარა. ეს არის ვაება.

გერმანიიდან შეწუხებული მეგობარი მირეკავს: „ფოკუს. ონლაინს“ ვუყურებ და ცუდადა ვარ. ეს რა მოხდა, ეს რა გემართებათ? მართლა მდინარე იყო დაბეტონებული? დაღუპულთა რიცხვმა მართლა თხუთმეტს მიაღწია? თბილისის ქუჩებში მართლა მტაცებელი ცხოველები და დიდი გველები გაიფანტნენ? მართლა ხოცავენ ცხოველებს? “ დიახ. მართლა.

თავსხმები და წყალდიდობები ყოფილა და იქნება. მაგრამ შე დალოცვილო, რა უნდა მდინარეს ბეტონის კუბოში, სახლებს ლამის მდინარის კალაპოტში და ზოოპარკს, ბოდიში: სამხეცეს მდინარის პირას? და საერთოდ რა უნდა სამხეცეს სამხეცეში? რამდენჯერ უნდა დაახრჩოთ დამწყვდეული ცხოველები და რამდენჯერ უნდა ხოცოთ მერე ქალაქის ქუჩებში: 1972 წლის 8 ივნისსაც ხომ შევარდა წყალი ცხოველებთან და იგივე ამბავი დატრიალდა! აღარავისა აქვს ცოცხალი მეხსიერება, საერთოდ, სიცოცხლის ელემენტარული პატივისცემა და ქალაქის შეგრძნება ამ ე.წ. მერიაში, ერთი ორი ახალგაზრდის გარდა? რატომ აივსო ბოროტი ნულებით მთელი იერარქიები?

ამასაც ჩაფარცხავ ჩემო ატროფირებულო თბილისო და საქართველოვ? კიდევ რამდენი ხანი აპირებ მიუყვებოდე გზას უბედურებიდან უბედურებამდე, პანაშვიდიდან პანაშვიდამდე? ადამიანობისა და თავდადების წამიერი ამოფრქვევები ნუთუ ისევ და ისევ უნდა შთანთქას მომაკვდავი მოდგმის შერიგებულობამ ყველაფერთან?

ჩვენი საუკუნე უპირველეს ყოვლისა, მზარდი სტიქიური უბედურებების საუკუნე იქნება, რადგან ამისათვის ყველაფერი გააკეთეს ღმერთისა და ბუნების მოძულე მსოფლიოს ტექნოკრატიულმა ლეგიონებმა, საქართველოში ტყეების გაჩეხვით და მდინარეების დაგუბებით რომ იქმნიან ფინანსურ ციხესიმაგრეებს. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამინისტროები სწორედ გარემოს დაცვისა და საგანგებო საქმეთა სამინისტროები უნდა იყოს (ახლა დეკორაციებს რომ წარმოადგენენ).

ერთი დიდი ევროპელი პოეტი და მოაზროვნე ბუნებას გიგანტურ ხეს ადარებს, რომელზედაც მიცოცავენ ცივილიზაციები. და როცა ძალიან შეაწუხებენ ამ დიად სამყაროს ხეს, იგი შეირხევა და ჭიანჭველებივით ჩამოიბერტყავს ტანიდან ამ ე.წ. ცივილიზაციებს, თავიანთი მედიდური მეგაპოლისებითა და ცათამჯენებით, თვითმფრინავებითა და ხომალდებით, გიგანტური კაშხლებითა და ზღვა სისულელით...

ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულნი ვართ, გამოვიყენოთ დარჩენილი დრო და ჯერ კიდევ არსებული შანსი: ყველა წინა შეცდომების გათვალისწინებით თავიდან დავიწყოთ ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო სამოქალაქო მოძრაობა. რადგან ვის, ვის და ჩვენ უნდა მოგვეხსენებოდეს, რომ „მოძრაობა და მოძრაობა“ არის სიცოცხლის საწინდარი. მართალია, თერგი, რომელსაც მიმართავდა „ჩვენი საწყლობის მოზარე“ და რომლის მქუხარე რბოლაშიც იგი ერის სასიცოცხლო ენერგიის წყაროს ხედავდა, დაგვიგუბეს, მაგრამ დადგება დრო, როცა მდინარეები ან ისე დასწყვეტენ რკინა-ბეტონის არტახებს, როგორც მდინარე ვერემ გაგლიჯა თავისი ბნელი გვირაბი, და მაშინ ვაი, ჩვენს თავს! ან მათ ახალი თაობა გაათავისუფლებს, როგორც აკეთებს ამას ამერიკის ახალი თაობა: კაშხლებს რომ ანგრევს და მდინარეებს ათავისუფლებს. დანარჩენზე შემდეგ.

ნაირა გელაშვილი,
14 ივნისი, 2015 წელი

ნიკუშა შენგელაია:

„ახალგაზრდებო, ან კი თქვენ, გამოდით, თქვენი ჭირიმე“

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი და საზოგადო მოღვაწე ნიკუშა შენგელაია:

— პირველ რიგში, მინდა იმ ოჯახებს მივუსამძიმრო, რომლებიც სტიქიას შეეწირნენ, ასევე, დაზარალებულებსაც. სამწუხაროდ, ბუნების სტიქიას ვერავინ დაგეგმავს. მთავარი ისაა, თუ რაოდენ ადეკვატურად იმოქმედა ამ დროს ხელისუფლებამ, ქართველმა ხალხმა და გვირგვინმა — ჩვენმა ახალგაზრდობამ. დიდი ტრაგედია დატრიალდა, მაგრამ ამან ის თაობა გამოაჩინა, რომელმაც ქვეყანის გადარჩენის იმედი გაგვიჩინა და გვაგრძნობინა, რომ ჩვენს სამშობლოს პატრონი და მომვლელი ჰყავს. მერწმუნეთ, ხალხის არნახული ერთობა, ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემს თაობას იმედი, სტიმული მიეცა. როცა დავინახე რას შეერკინა ჩვენი შვილების თაობა, მეც მეტის კეთების სურვილი გამიჩნდა. რაც შეეხება მდინარის ჩაკეტვისა და ახალი გზის მშენებლობაში „ნაცმოძრაობის“ ბრალეულობას, ასე ვიტყოდი — ეს უვიცობის ბრალი იყო, რაც ბოროტების ტოლფასია. ახალი გზის გაჭრის საჭიროება, ალბათ, იყო, მაგრამ აბსოლუტურად არ გაუთვლიათ, როგორ იქცევა მდინარე, რამაც საბოლოოდ, ეს უბედურება მოიტანა. სტიქიის გამძვინვარება ჩამოშლილმა მეწყერმა განაპირობა, წყალი დაგროვდა და ხეებიანად წამოიღო, ცუნამის მსგავსი დიდი ტალღები წამოვიდა და ყველაფერი დატბორა. ამის გათვლა ძალიან ძნელია. „ნაცმოძრაობის“ კალაპოტში მოქცევის საჭიროებას ვერ ვხედავ, რადგან ჭაობს კალაპოტში ვერ მოაქცევ, იქ კამეშები თავისით წამოვა და დაშრება. ამაზე, არ ვნერვიულობ. მათ მიერ გამომჟღავნებული რეაქციები, საზოგადოებამ სათანადოდ შეაფასა, ხალხი ყველაფერს ხედავს. ამ დღეს ერი ერთიანი იყო — დაწყებული მინისტრთა კაბინეტის წევრებიდან, მერიით, სამაშველო სამსახურებით, პოლიციითა და ჯარით დამთავრებული, ყველა ერთმანეთის გვერდით იდგა. და, რაც მთავარია, ამ ყველაფრის გვირგვინია ახალგაზრდები — თავისი ქვეყნის, ქალაქის ნამდვილი მოქალაქეები, რამაც დაგვანახა, რომ გასაჭირში ერთად დგომა შეგვიძლია. მათ, ტალახში ამოთხვრილი ანგელოზები დავარქვი. ამ ულამაზესმა ადამიანებმა საოცარი თავმდაბლობა გამოიჩინეს, დაუზოგავად იმუშავეს, დედაქალაქს გასაჭირში გვერდით დაუდგნენ. ამით ძალიან დიდი რამ მოხდა. ვიმეორებ, ჩემს თაობას იმედი ჩაესახა. ხალხი განცვიფრებული უყურებდა ახალგაზრდობის თავდაუზოგავ მუშაობას. სურვილი გამიჩნდა ამ ტალახიან ბავშვებს მოვფერებოდი, ჩავხუტებოდი. ყველას შვილები იქ იყვნენ. რა თქმა უნდა, ჩემი შვილიც თავის მეგობრებთან ერთად პირველივე დღიდან იქ იყო. ასეთი შესაშური თანადგომა, ერთმანეთში ურთიერთობაა სწორედ ის, რასაც ამდენი ხანია ვნატრულობთ და რაც ჩვენს ქვეყანას ბედნიერ მომავალს უქადის.

— ხშირად გვისაუბრია იმაზე, რომ სამოქალაქო საზოგადოებად ვერა და ვერ ჩამოვყალიბდით. როგორ ფიქრობთ, ეს ტრაგედია ხომ არ გახდა საზოგადოების გამოღვიძების დასაბამი?



— გეტყვი. გარკვეული პროცესის დროს გამოვლინდება-ხოლმე ის, რასაც საერთოდ არ ელი. ამ შემთხვევაში, გაჭირვებამ, გამოუვალმა მდგომარეობამ „გაგვახსენა“ რომ ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ. სხვათა შორის, შინაგანად ქართველები ყოველთვის ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები ვიყავით. ახლა, უბრალოდ, ამის რეალურ ცხოვრებაში გადმოტანა მოხდა. პრობლემა გვაქვს შემდეგი კუთხით — გვიჭირს იმის გაცნობიერება, რომ სახელმწიფოში მოქალაქეა მთავარი, რადგან ქვეყანას სწორედ იგი პატრონობს და უვლის. ამას ხელშეწყობა სჭირდება. ბიძინა ივანიშვილი სწორედ ამას ცდილობს — აამაღლოს მოქალაქეობრივი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა და მოვალეობა, რათა თითოეულმა მოქალაქემ გაიგოს, რომ სწორედ იგია მთავარი ამ ქვეყანაში და არა ვინმე სხვა. ჩემი თაობა წუხდა იმაზე თუ როგორი მომავალი გვექნებოდა. დღეს კი, ამ თაობამ დაგვანახა, რომ მომავალში ძალიან მყარად იქნება, გამოჩნდა, რომ მათ თავიანთი ქვეყანა ძალიან უყვართ და სურვილი აქვთ მას ისე ემსახურონ როგორც შეუძლიათ. ამიტომ, ვფიქრობ, საქართველოში საზოგადოებრივი აზროვნება გადარჩა და აუცილებლად გაძლიერდება. ხალხმა გააცნობიერა, რომ ძალა ერთობაშია და უკლებლივ ყველა — საზოგადოება, მოქალაქეები ერთად დადგნენ, რაც მშვენიერების ტოლფასია.

— ახლა ახსენეთ, გამოჩნდა რომ მომავალ თაობას სამშობლო ძალიან უყვარსო. ამან, ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი წერილი გამახსენა, სადაც იგი გონებით პატრიოტების აღზრდაზე ამახვილებდა ყურადღებას.

— გონიერება, სიბრძნე აუცილებლად გვჭირდება, რადგან გარკვეულ დროსა და სივრცეში ვარსებობთ. საკმაოდ მცირე ზომის ქვეყანა ვართ და თანაც ურთულესი ეკონომიური ვითარება გვაქვს, პრობლემებია სამეზობლოსთანაც. ამის მოგვარებას ზუსტადაც რომ გონიერება სჭირდება — როგორ გადარჩე და განავითარო ქვეყანა. ისტორიულად, ძალიან რთული პერიოდები გავიარეთ, იყო პერიოდი როცა ჩვენი წინაპრები იძულებულნი იყვნენ დამპყრობლისთვის ანგარიში გაეწიათ, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღევანდელ დღემდე მოვედით. დღეს, განსხვავებულ სამყაროში გვიწევს ცხოვრება, ახლა, ინფორმაციის საუკუნეა და თამამად შეიძლება საკუთარი პოზიციები დაიცვა. რა თქმა უნდა, ეს გზა ჩვენი ევროპული ოჯახია. ოღონდ, ევროპულ ოჯახამდე სრულყოფილად რომ მიხვიდე, გზაში არ დაიკარგო, არ გაიფანტო და არ დაიღუპო, ამას გონიერება და სიბრძნე სჭირდება. საზოგადოება თავისი ქვეყნის ბედს, მომავალს, აწმყოს სწორედ გონიერებით საზღვრავს. მხოლოდ სიყვარული საკმარისი არაა, არამედ უნდა იცოდე როგორ გადაარჩინო შენი ქვეყანა. სიყვარულს დაცვა, გატანა, გადარჩენა, მოფერება უნდა. ეს რომ შეძლო ძლიერი უნდა იყო. სიძლიერე კი იმ ერთიანობაში გამოიხატება, რაც დავინახეთ. ჩვენმა წინაპრებმა ტყუილად როდი დაგვიწერეს, ძალა ერთობაშიაო. ამის რეალობად ქცევა, ქართველებისთვის, ყოველთვის პრობლემა იყო, ეს სიტყვები მხოლოდ ლოზუნგად გვეწერა, მაგრამ სინამდვილეში, ხშირად, ასე არ ხდებოდა. ამიტომ იყო მნიშვნელოვანი ამ თაობის საოცარი ერთობა. ღირსებით, სიამაყით აღსავსე ვართ, რომ ჩვენმა შვილებმა ამ რთულ მომენტში დაგვანახეს რომ ძალა ერთობაშია.

— ბატონო ნიკუშა, სპეციალისტები თავიდანვე საუბრობდნენ, რომ აქ ავტობანის გაჭრა უსაფრთხო არ იყო, „ნაციონალებმა“ კი ეს რჩევა ყურად არ იღეს.

— დიახ, ინჟინრები, არქიტექტორები ყოფილ ხელისუფლებას აფრთხილებდნენ, რომ ამ გზის ამ ფორმით გაკეთება დაუშვებელი იყო. პირადად მაქვს ნანახი ალტერნატიული პროექტიც. არ ვიცი რატომ არ აირჩიეს ის პროექტი, რომელიც გაცილებით უსაფრთხო იყო — ფასის თუ სხვა რამის გამო. ჩემს მიერ ნანახი პროექტის მიხედვით, ეს ესტაკადა ხიმინჯებზე იდგა, მის ქვეშ მდინარე თავისუფლად გადიოდა და გვირაბები საერთოდ არ იყო გათვალისწინებული. ვფიქრობ, ეს ბევრად უფრო სარფიანი პროექტი იყო. აღნიშნული გზა ქალაქს სჭირდება, მაგრამ შეეძლოთ ესტაკადით ისე გაეკეთებინათ, რომ ბუნებისთვის, აბსოლუტურად, არ ეხლოთ ხელი და მხოლოდ მცირე ჯებირები გამოეყენებინათ. ამავე პროექტის მიხედვით, როგორც მახსოვს, იქ, დაახლოებით, 50-50 მეტრი ჭალები უნდა დაეტოვებინათ, რადგან მდინარე ბუნებრივად რომ ადიდდებოდა, ჭალებში გასულიყო. ვფიქრობ, გვირაბების გაკეთება შეცდომა იყო. ყოველთვის უნდა გაითვალოს მდინარის სათავე — რა არის მეწყერსაშიში, რა შეიძლება მოხდეს, როგორი სათავეა და ყველაფერი ამის შემდგომ სწორად დაგეგმო. ყოფილი ხელისუფლება კი, როგორც ყოველთვის, ყველაფერს ნაჩქარევად აკეთებდა, ასევე, მოიქცნენ ამ მშენებლობის შემთხვევაშიც. სამწუხაროდ, ამ საინჟინრო ნაგებობებმა, მდინარის ჯებირმა სტიქიას ვერ გაუძლო და მოხდა ის, რაც მოხდა.

— როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა აგოს პასუხი მომხდარზე?

— ხალხმა მშვენივრად იცის ვინ რას წარმოადგენს. „ნაციონალებისთვის“ უკვე ესეც თავისებური დასჯა, პასუხისმგებლობაა — როცა შენი ქვეყნისთვის, ხალხისთვის მიულებელი ხდები ეს უარესია, ვიდრე ნებისმიერი კონკრეტული სასჯელი.

— „რუსთავი-2“-მა კი ამ დროს „არჩევანის“ სპეციალური გამოშვება დაგეგმა და სახელმწიფო კანცელარიასთან გამართული პროტესტიც გვაჩვენეს. რას ნიშნავს ეს, „ნაციონალების“ მიერ კონტროლირებადმა მედია-საშუალებამ მოვლენების საპროტესტო ტალღაში გადატანა სცადა?

— ხალხი, ვინც ამ ყველაფერს თვალი ადევნა, აღშფოთებული, განრისხებულია. მათი თქმით, ეს საშინელი საყურებელი იყო. „რუსთავი-2“ ცდილობს ყველაფერი სათავისოდ გამოიყენოს, მათ შორის, ეს ტრაგედიაც, რაც ამაზრზენია. ერთი მხრივ, ეს კარგად აჩენს რასაც წარმოადგენენ, მათ რეალურ სახეს. ისინი თავადვე გამოუტანენ წერას თავის თავს. ამ გადაცემის მერე, ხალხის დიდ არმიას, ალბათ, კიდევ შეემატა ის ადამიანები, ვინც ნათლად მიხვდა, თუ რას წარმოადგენს ეს ტელევიზია. ხალხი მეკითხებოდა, ბატონო ნიკუშა თუ უყურეთ გაბუნიას თოქ-შოუს, სამარცხვინო ოყოო. ხალხის მოტყუებას ველარ შეძლებენ, ისინი არარაობები არიან და ეს ქართველმა ხალხმა მშვენივრად იცის.

— ადრე მითხარით, „რუსთავი-2“ საერთოდ უნდა ამოვრთოთო.

— რა თქმა უნდა, გამორთე და ამით მორჩება ყველაფერი. არ მესმის, რატომ იშლის ხალხი ნერვებს მათი თოქ-შოუების ყურებით?! ყველა მეუბნება, „რუსთავი-2“-ს ვუყურე და ნერვები მომეშალაო. რა მაზოხიზმია, შენც გამორთე და სხვა რამეს უყურე, რაღას იშლი ნერვებს?!

ყველა იმას დაიმსახურებს, რაც თავისი ქცევით, ყოფით ეკუთვნის. ჩვენს ტელევიზიებში სივრცე ნაკლებია, ანალიტიკური გადაცემები გვაკლია. ყველგან ასეა, სკანდალური შოუებია ყურებადი. ჩვენს ტელე-არხებს სიმართლე აკლია. თქვენ გგონიათ ადამიანები ამ ტყუილებს იჯერებენ? უბრალოდ, იმ მომენტში, ერთობიან რაღაცით, მერე ავიწყდებათ. ყვითელ პრესას, თოქ-შოუს ყოველთვის თავის ადგილი უჭირავს. ადამიანს სანახაობა უნდა. ეს არაა ტრაგედია. უბრალოდ, ტელევიზიები სერიოზულ

8 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

„თუ ვინმეა დამნაშავე ამ ტრაგედიაში, ეს უგულავაა...“

რამ გამოიწვია 13 ივნისის სტიქიის დამანგრეველი შედეგები, რომელმაც მართლაც სასაფლაოდ აქცია მდინარე ვერეს ხეობა, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები აქტიურად მსჯელობენ, თუმცა ეს ყველაფერი უკან მიდევნებული ლამპარის შთაბეჭდილებას ტოვებს. უმჯობესი იყო ამ ხალხისთვის მაშინ მოესმინა ხელისუფლებას, როცა ე.წ. ჩქაროსნული ავტომაგისტრალის აშენებას გეგმავდა და მას ყოველგვარი ექსპერტული დასკვნებისა და პროექტირების გარეშე, ასევე დაჩქარებული წესით აშენებდა. მავანნი თავს იმართლებენ, ტრაგიკული შედეგები ახალდაბის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოწოლილმა მეწყერმა გამოიწვია, ასე რომ არც ნაცხელისუფლება და არც დამპროექტებლები არაფერ შუაში ვართო. ბოლო ინფორმაციით, მეწყერი მას შემდეგ ჩამოწოლილა, როცა ადიდებულ ვერეს უკვე წალეკილი ჰქონდა სვანიძის ქუჩა, „მზიურის“ ტერიტორია, ზოოპარკი და გმირთა მოედანი. მაშინ რასთან გვაქვს საქმე, ამის განსჯა პროფესიონალებისთვის მიგვინდვია. ავტომაგისტრალის მშენებლობა საკაშვილსა და მის გუნდს, რომ დიდი დულის საკეთებლად ჭირდებოდა, „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში სპეციალისტთა მოსაზრებებზე დაყრდნობით ვწერდით, რომ ვერეს ხეობა დიდი რისკის შემცველი ზონაა და საერთოდ მდინარეების ხეობებში რაიმე მშენებლობა კატეგორიულად დაუშვებელია, რაც ნაცხელისუფლებამაც კარგად იცოდა, თუმცა, როცა საქმე მათ პირად ინტერესს ეხებოდა, როგორც წესი თავს იყრუებდნენ. მაშინ ნაციონალები „ფანტაზია“ იქამდეც კი მივიდა, რომ „მზიურის“ ტერიტორიიდან ნოდარ დუმბაძის საფლავის გადატანასაც გეგმავდნენ, რომლის ინიციატივითაც დაიწყო სბავშვო ქალაქის მშენებლობა და სურვილი ჰქონდა ამ ტერიტორიაზე დაეკრძალათ. ნაციონალებმა თავიანთი ზრახვა „კეთილშობილური“ მიზნებით ახსნეს, ყველასთვის საყვარელი მწერალი მთაწმინდის პანთეონში გადავასვენოთ და იქ დავკრძალოთო. როცა საქმე დიდ ფულს პიარს ეხებოდა პროფესიონალების აზრს ნაციონალებისთვის არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მეცნიერებს ბრძოლა ხსენებულ ავადსახსენებელ პროექტამდე გაცილებით ადრე გამოუცხადეს, თავიანთი პოზიციის გასამართლებლად „წითელ ინტელიგენციად“ გამოაცხადეს და „ჩარეცხეს“. **ექსპერტ სოსო ციხკარიშვილის** განცხადებით, პროფესიონალების „ჩამრეცხავებმა“ პასუხი უნდა აგონ, რადგან მათ არ მოუსმინეს სპეციალისტებს, ამ ტრაგედიამაც გვაჩვენა, რას ნიშნავს უმეცრება ამა თუ იმ პროექტის რეალიზაციისას. როგორც ირკვევა, ხსენებული პროექტი მაშინდელი საკრებულოსა და სახელმწიფო კომისიის წევრებსაც კი არ უნახავთ, ყველა ექსპერტული დასკვნა, რომელთა საფუძველზეც თითქოსდა გაიცა მშენებლობის ნებართვა, ყალბი ყოფილა, რაც სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს (დოკუმენტის გაყალბება). არქიტექტორ ირაკლი მასხარაშვილის აზრით, რომელმაც დააპროექტა თავის დროზე „მზიური“, ხსენებული ავტომაგისტრალის აღდგენაზე საუბარი, რომელსაც გიგი უგულავასა და მიხეილ სააკაშვილის კაპრიზად მიიჩნევს, საერთოდ არ შეიძლება. „თუ გიგი უგულავას გამართლება გვინდა, აღვადგინოთ, პირველ რიგში ყოფილი მერის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, თუ ვინმეა დამნაშავე ამ ტრაგედიაში, ეს უგულავაა, რადგან, როცა ვემუდარებოდით ეს არ გაეკეთებინა, უგულავამ კარისკენ მიგვითითა“, აცხადებს **ირაკლი მასხარაშვილი**.

ჩვენ „საერთო გაზეთის“ წინა ნომერშივე ვწერდით, რომ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადების შემდეგ, რომ 13 ივნისის ტრაგედიით შეიძლება პროკურატურაც დაინტერესდეს, ამასთან ერთად სტიქიის გამომწვევი მიზეზების შესასწავლად პროფესიონალი სპეციალისტებისმონაწილეობით სამუშაო ჯგუფი შეიქმნება, ერთ ამბავს ატეხავდნენ, როგორც ნაციონალები და მათი სატელიტები, ისე მათი კონტროლირებადი მედიასაშუალებები. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენი პროგნოზი გამართლდა. ხსენებულ მედიასაშუალებებში „დასაქმებულმა“ ჟურნალისტებმა მასობრივი შეტევა მიიტანეს მთავრობაზე და გაღმა შედავების პრინციპით ლამის 13 ივნისს მოსულ კოკისპირულ წვიმაშიც დასდონ ბრალი ხელისუფლებას. ერთი ტელევიზია თუ საერთოდ არ იწვევს მათგან განსხვავებული პოზიციის მქონე ექსპერტებს, მეორე მოწვეულებს საუბრის საშუალებას

ა რ აძლევს. ისე გაერთვნენ ნაცხელისუფლების დაცვაში ეს „ობიექტური“ და „პოპულარული“ ჟურნალისტები, რომ ველარ ხვდებიან მხარედ რომ გამოდიან ამ სატელევიზიო პაექრობაში. არავის ჭკუის სწავლებას არ ვაპირებთ, თუმცა ჩვენს ე.წ. კოლეგებს შევახსენებთ, რომ ქართველი ხალხი ბრძენია და ყველაფერს საღად განსჯის. რამდენიც არ უნდა იყვირონ ამ „პოპულარულ-ობიექტურებმა“, ავტორიტეტული პროფესიონალების აზრს მაინც ვერ გადაწონიან, მათ გარდა სხვა მედიასაშუალებებიც არსებობენ, რომლებიც ამ პატივსაცემ ადამიანებს მოსაზრების გამოთქმის საშუალებას მისცემენ. ალბათ ტყუილი არ უთქვამს თბილისის საკრებულის დეპუტატს სოსო მანჯავიძეს, რომ საქართველოს არაფერი ეშველება, სანამ „რუსთავი-2“ და „ნაციონალურ-პროვოკაციული მოძრაობა“ არსებობს, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ ვერეს ხეობაში მომხდარი ტრაგედიის პოლიტიზირებას და ისედაც მძიმე ფსიქოლოგიური ფონის ისტერიაში გადაყვანას.

ჟურნალისტის კითხვაზე, რატომ შეუცვალეს ვერეს კალაპოტი, **ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ანზორ საკანდელიძე** პასუხობს, მაშინდელმა ხელისუფლებამ ამდენი ხალხი პირადი მოგების გამო გაწირა, ნებართვების გაცემა და ფულის შოვნა დაიწყეს. ხსენებული ავტომაგისტრალის დამპროექტებელი თამაზ შილაკაძე „საკაშვილსა და მის რაზმს“ დამონებული ყავდა, ბატონმა თამაზმა თვითონ მითხრა, რა ვქნა, მუშაობას არ მაცლიანო, აცხადებს ანზორ საკანდელიძე. თუ ეს სიმართლეა, მაშინ ახლა მაინც რატომ არ ამბობს ამას ბატონი შილაკაძე, რომელიც ისევ პირველ ჩვენებას „აწვება“, რომ ძალიან კარგი პროექტი გააკეთა და ტრაგედიის მიზეზი ხეობაში ჩამოწოლილი მეწყერია, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოგვიანებით ჩამოწვა. უგულავასა და სააკაშვილს რომ ლენტის გაჭრა ეჩქარებოდათ, ეს აშკარაა, მერის არჩევნებამდე უნდა მოესწროთ ყველაფერი. გემახსოვრებათ, როგორ „გახედნა“ სპეცკომბინეზონში გამოწყობილმა ამ დუეტმა ახლადგახსნილი ტრასა სპორტული ავტომობილებით. ნაციონალების მმართველობა რომ გრანდიოზული „ატკატების“ პერიოდი იყო, ამას ანზორ საკანდელიძეც ადასტურებს, ჩვენ „ატკატის“ ოდენობა უფრო ნაკლები გვეგონა, მაგრამ 30%-იანი (შეიძლება მეტიც) ყოფილა. თურმე ახალ მთავრობას უნდა გამოეწორებინა ნაციონალების უვიცობისა და ხუშტურების შედეგი, დაებრუნებინა მდინარე ვერე ძველ კალაპოტში. ამ შემთხვევაში ავტომაგისტრალის და ხელოვნური კალაპოტის დემონტაჟი უნდა მომხდარიყო, ხომ წარმოგიდგენიათ რა ალიაქოთს ატეხავდნენ ნაცები და მათ მხარდამჭერები, ჩვენს აშენებულს პოლიტიკური მოტივებით ანგრევენო.

„სტიქიას თავიდან სრულად ვერ ავირიდებთ, მით უფრო ცალკე აღებული საქართველო ამას ვერ მოახერხებს, რადგან სახეზეა გლობალური დათბობა, რაც მსოფლიო პრობლემაა. გლობალური დათბობის რეალურობას ამტკიცებს არამარტო საქართველოში, არამედ თბილისში განხორციელებული კვლევებიც კი. ბოლო ოცი წლის მანძილზე თბილისში 25%-ით არის გაზრდილი ნალექების ოდენობა, რასაც ადასტურებს 13 ივნისის მოსული უხვი ნალექი, რომელმაც მდინარე ვერეს ადიდება გამოიწვია, მაგრამ ხელისუფლების როლი იმაშია, რომ შეამციროს სტიქიის შედეგად გამოწვეული მსხვერპლი და ზარალი“, აცხადებს „საერთო გაზეთთან ინტერვიუში ცნობილი უფლებადამცველი, **ეკოლოგი ლაშა ჩხარტიშვილი**, რომელიც თავის დროზეც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ვერეს ხეობაში ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობას. მან სარჩელითაც კი მიმართა სასამართლოს, რაც ბუნებრივია, არ განუხილავთ.

ლაშა ჩხარტიშვილი: „მიხეილ სააკაშვილმა გარემოს დაცვა მეასე ხარისხოვან ასპექტში გადაიყვანა. ეს იყო შეგნებული პოლიტიკა, როგორც გარემოს, ისე შრომის უსაფრთხოების დაცვის და სხვა კუთხითაც, რადგან ნაციონალებისთვის ამოსავალი წერტილი პირადი მოგება და ბიუჯეტის შევსება იყო, რის ხარჯზე და რა მეთოდით, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. სამწუხაროდ ეს მიდგომები მაინც და მაინც არც დღეს შეცვლილა, ინვესტორის ინტერესებს უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე საკუთარ მოსახლეობას. გავიხსენოთ 2012 წლის გაზაფხულის სტიქია, როცა ორთაჭალაში ხუთი ადამიანი დაიხრჩო (ამ ტრაგედიის მეორე დღეს სააკაშვილი იტალიაში წაბრძანდა საშოპინგოდ – მ.ს.). სხვათა შორის, მე მაშინ საჩივარიც შევიტანე პროკურატურაში, ხელისუფლებას მოვუწოდეთ, რომ მომხდარიყო ტრაგედიის მიზეზების არამარტო შესწავლა, არამედ სამართლებრივი გამოძიებაც, რადგან დანაშაულებრივი გულგრილობიდან დაწყებული, უფრო მძიმე დანაშაულის ნიშნებიც ჩანდა, რაც სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, აღარაფერს ვამბობ პოლიტიკურ და მორალურ პასუხისმგებლობაზე. დარწმუნებული ვარ სს-ის საქმე არც აღუძრავთ. გამოუძიებელია რამდენიმე წლის წინ რიკოთის გვირაბთან მომხდარი და სულ ახლახანს დარიალის (თერგის) ხეობაში მომხდარი ტრაგედიების. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ახლა განაცხადა (რაც თავისთავად ძალზე კარგია), რომ მოხდეს ტრაგედიის გამომწვევი მიზეზების დადგენა-გამოძიება, იქნებ ახლა მაინც მოახდინონ რეაგირება ადრე მომხდარი კატასტროფების გამომწვევ მიზეზებზეც და დადგეს ცალკეული მოხელეების, მაღალი თუ უმაღლესი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი.

- ვერეს ხეობაში მომხდარ ტრაგედიაში რა როლი მიუძღვის ავადსახსენებელ ავტომაგისტრალს, რომლის მშენებლობასაც თქვენ თავიდანვე აპროტესტებდით?

8 gv.

„ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ გამოდით, თქვენი ჭირიმე“

6 gv.

თემატიკებში უნდა განვითარდნენ, ამ სივრცეში სერიოზული ჟურნალისტები უნდა გაჩდნენ, რომლებიც მნიშვნელოვან თემებს დაუთმობენ ყურადღებას როგორიცაა ეკონომიკა, განათლება, უსაფრთხოება და ა.შ. ხალხს სიმართლე უნდა ელაპარაკო, ტყუილით ვერაფერს გახდები, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.

— განათლების ნაცვლად, ტელევიზიებიდან დედის გინება ისმის და ამას გვაჩვევენ კიდეც. საზღვარგარეთ ამის გამო მაყურებელი ჩივის და სოლიდურ კომპენსაციასაც ღებულობს.

— დიახ, ფასეულობები, ღირებულებები ირყევა, მაგრამ მერწმუნეთ, მაინც ვერაფერს გახდებიან. ეს ყველაფერი სულ სხვა ფუნდამენტზე დგას. რაც ახლა ხდება დროებითი მოვლენაა, ბუნებრივ განვითარებას ვერ შეაჩერებენ. ის რაც გენეტიკურად შეძენილი გვაქვს — ტრადიციები და ა.შ., სწორად უნდა განვავითაროთ. არც ერთ ადგილზე გაჩერება და ჩარჩენა ივარგებს, უნდა განვითარდე, ეს ბუნებრივი პროცესია.

იმედია, ნაბიჯ-ნაბიჯ ყველაფერი გამოსწორდება. ვიცი, რომ ბატონი ბიძინა, თავისი რესურსებით, ძალიან ძლიერი ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გაკეთებას გეგმავს, რომელიც აღჭურვილი იქნება ლაბორატორიებით, კვლევითი ცენტრებით. ის, ვინც მას უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებს, უმადური და უნამუსოა.

— განათლების სამი ძირითადი წყაროდან — ოჯახი, სკოლა, ტელევიზია, დღეს ეფექტს ვერცერთი ვერ იძლევა.

— თქვენ, ზუსტად ახსენეთ ეს ჯაჭვი, სკოლა და უმაღლესი განათლება მნიშვნელოვანია. ოჯახი ერთ-ერთი უმთავრესია, მაგრამ სოციალური ფონიდან გამომდინარე, ყველა ოჯახს სათანადო განათლების მიცემის საშუალება არ აქვს, სწორედ ამ დროს სკოლა უნდა იყოს შესაბამის დონეზე. ეს აპრობირებული სქემაა, ოღონდ როგორი სასწავლო პროცესი უნდა იყოს, განათლების როგორი სტილი, ეს საფიქრალია. სისუსტეები გამოსასწორებელია და, რა თქმა უნდა, რესურსები უნდა გაიზარდოს. რეგიონალური განათლების ხარისხი გასაზრდელია, რეგიონებში კვალიფიციური პედაგოგებია გასაგზავნი და ა.შ. როგორც კი ეკონომიკა საშუალებას მოგვცემს, რესურსები, პირველ რიგში, განათლებაში მობილიზდება. იმიტომ, რომ ეს ყველაზე სწორი ინვესტიციაა. ჩვენისთანა ქვეყანაში, რომელსაც გასაყიდი რესურსები არ აქვს, ყველაზე სწორი ინვესტიცია, განათლებაში განხორციელებაა. ეს სახელმწიფოს პრეროგატივა და მოვალეობაა.

— დავუბრუნდეთ სტიქიას. მსოფლიოში ბევრი პრეცენდენტია, როცა სტიქიით გაუბედურებულ ქალაქსა და მის მოქალაქეებს მხარდაჭერას ხელოვანები უცხადებენ. ქართველი ხელოვანების მხრიდან ხომ არ იგეგმება მსგავსი ღონიძიება?

— სწორედ ახლა, თქვენც ხედავთ, შეკრებილი ვართ ხელოვანი ხალხი და ამ საკითხზე ვმსჯელობთ. ვფიქრობთ, საერთაშორისო ფართომასშტაბიანი საქველმოქმედო კონცერტის ჩატარებას, რაშიც ქართველების გარდა უცხოელი მუსიკოსები, პოეტები, მხატვრები მიიღებენ მონაწილეობას. ტელე-მარათონი სპორტის სასახლეში გაიმართება და შემოსული თანხა მთლიანად დაზარალებულებს და დედაქალაქს მოხმარდება.

ასეთ დროს გვერდში დგომა მარტო მოვალეობა კი არა, არამედ გულწრფელი სურვილი უნდა იყოს, დხმარება საკუთარ ინტერესებზე არ უნდა ავაგოთ. სწორედ ასეთი საზოგადოება ხდება წარმატებული, ბედნიერი, როცა ყველა ერთმანეთის გასაჭირს იზიარებს.

— ჩვენი საზოგადოება თუ არის ამ კუთხით წარმატებული?

— მგონი, ნაბიჯ-ნაბიჯ წარმატებისკენ მივდივართ. ურთულესი პერიოდები გამოვიარეთ. ამ დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ერის სულიერ მდგომარეობას იმიტომ, რომ იესო ამბობს: არამხოლოდ პურით არს ადამიანიო. ესაა მთავარი. შეიძლება ადამიანმა შიმშილი გადაიტანო, მაგრამ სულიერ გამოფიტვას არაფერი შველის. პური შეიძლება დღეს თუ ვერა, ხვალ ჭამო, მაგრამ სულიერად გამოფიტული თუ ხარ, ერთ დღეში ვერ შეივსები. საბედნიეროდ, ჩემს ხალხში, სულიერებას ვხედავ. ამიტომ, მაქვს იმედი, რომ ნელ-ნელა ის რაც სასწავლია, რა ფორმაციებიც გამოვტოვეთ, იმისთვის რომ წარმატებულ ქვეყნებს შევუერთდეთ, დაძლეული იქნება. ეს სწავლებადია. ხოლო ის რაც სწავლებადი არაა და მენტალურად თან უნდა მოგსდევდეს, რასაც ათასწლეულები სჭირდება, ჩემს ერს აქვს. მინდა რომ მთავარი ცნებებიდან — ერთმანეთის გვერდზე დგომა, სიყვარულის უნარი, სამშობლოს განცდის უნარი, სიამაყის გრძნობა, რომ ქართველი ხარ, არ დავკარგოთ, დანარჩენი დროის საკითხია.

თამარ შველიძე
555 24 28 23

„თუ ვინმეა დამნაშავე ამ ტრაგედიაში, ეს უგულავაა...“

7 gv.

- თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობაზე როცა ვსაუბრობ, ცხადია, ამ მაგისტრალის მშენებლობასაც ვგულისხმობ, რომელიც დაპროექტებულიც კი არ ყოფილა, ისე ააშენეს. ჩემი აზრით, პასუხისმგებლობა მოქმედ ხელისუფლებასაც ეკისრება, რომელმაც არ ააწყო წინამორბედისგან მოშლილი, დანგრეული განგაშისა და სწრაფი რეაგირების სისტემა, განგაშის სისტემა დღემდე პრაქტიკულად არ გაგვაჩნია, რამაც მსხვერპლის მატება გამოიწვია. ბევრი უწყება შეიძლება კარგად მუშაობდა, მაგრამ მათ მაინც არ აქვთ სათანადო გამოცდილება და სახელმძღვანელო პრინციპები. რაც შეეხება ტრაგედიის გამომწვევ მიზეზებს, ის შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ, ერთის მხრივ ეს არის გარემოზე მონიტორინგის მოშლილი სისტემა (კომუნისტების დროსაც კი გაცილებით უკეთესი სისტემა გვქონდა), მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი კი იმ გეოლოგიური და ჰიდროლოგიური რუკების იგნორირებაა, რაც უკავშირდებოდა წყალდიდობის საფრთხეებს. ხსენებული ავტომაგისტრალის მშენებლობის დაწყებამდე ჩვენ ყველა შესაძლო რესურსი გამოვიყენეთ, თუმცა ექსპერტული საზოგადოების და მოქალაქეთა დაბალი აქტიურობის გამო ჩვენმა პროტესტმა შედეგი არ გამოიღო, მით უფრო ისეთი მძიმე ხელისუფლების პირობებში, რომელიც ძალიან რბილად რომ ვთქვათ, უგულვებელყოფდა საზოგადოების საღ აზრს. დარღვევები უამრავი იყო, დაწყებული დამახინჯებული კანონმდებლობით, რაც შეიძლება იურიდიული პასუხისმგებლობის თემა არ იყოს, მაგრამ მორალური და პოლიტიკური თვალსაზრისით, დანაშაულია. ახლა რომ იმართლებს თავს გოგა ხაჩიძე, რომელიც იმ პერიოდში გარემოს დაცვის მინისტრი გახლდათ, არ მქონდა ვალდებულება, გარემოს ზემოქმედების შეფასების პროცედურა ჩამეტარებინაო, შეიძლება ის ამ ნაწილში ფორმალურად არც იყოს დამნაშავე, სამაგიეროდ მისი ხელისუფლება და პოლიტიკური გუნდია დამნაშავე იმაში, რომ ხსენებული პროცედურა სავალდებულო აღარ იყო. რა მნიშვნელობა აქვს ამ ავტომაგისტრალს საერთაშორისო მნიშვნელობის გზა ერქმეოდა თუ ადგილობრივი მნიშვნელობის, როცა ასეთ სახიფათო ზონაში შენდებოდა. ნაციონალები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ მაქსიმალურად მინიმალური მოთხოვნები დაეწესებინათ ინვესტორებისთვის, რომლებიც, როგორც წესი თვითონ იყვნენ, საკუთარი პოლიტიკური და პიარპროექტების განსახორციელებლად ნაკლები იურიდიული ბარიერი რომ ჰქონოდათ, არაფრად დაგიდევდნენ იმ მნიშვნელოვან სავალდებულო და პრინციპულ მოთხოვნებს, რომელიც ეხებოდა თუნდაც გარემოს დაცვას, რაც პირდაპირ კავშირშია ადამიანის სიცოცხლესთან, ხომ დადასტურდა, რომ კავშირში ყოფილა. ხსენებული ავტომაგისტრალის მშენებლობისას გარდა იმისა, რომ არ ჩატარებულა გარემოს ზემოქმედების შეფასება, არ განხორციელებულა ავტომაგისტრალის პროექტირებაც, რაც უკვე იურიდიული დანაშაულია. კარგად მახსოვს მაშინდელი საჯარო განცხადებები, პროექტირება მშენებლობის პარალელურად განხორციელდებაო, რასაც კანონმდებლობა არც მაშინ ითვალისწინებდა და არც დღეს. მართალია პროფესიით ეკოლოგი ვარ, მაგრამ იურისტებთან კონსულტაციით მე თვითონ მოვამზადე შესაბამისი სარჩელი და სააკაშვილის სასამართლოსაც კი მივაღებინე წარმოებაში, თუმცა დღემდე არ განუხილავთ. ავტომაგისტრალი და მასთან დაკავშირებული გვირაბები იყო სულ მცირე, „მზიურში“ და ზოოპარკში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების წინაპირობა და ამ გზაზე ადამიანების დაღუპვის მიზეზი. ჩემი აზრით, ხსენებულ ტერიტორიებზე დაღუპულ ადამიანებზე ზეპასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმ ადამიანებსაც, რომლებმაც ასე ხელაღებით, ყოველგვარი დასკვნის გარეშე დააპროექტეს ავტომაგისტრალი. აქ ჩვეულებრივი გზის მაგივრად ესტაკადა რომ აეშენებინათ, მაღალი ალბათობით, ასეთი ტრაგედია არ დატრიალდებოდა.



რაც შეეხება ვერეს ზედა წელში მომხდარ ტრაგედიას, ვგულისხმობ სვანიძის ქუჩას და თამაზ ელიზბარაშვილის ცხოველების თავშესაფრის მიმდებარე ტერიტორიას, ამ შემთხვევაში მხოლოდ ავტომაგისტრალის „ბრალეულობაზე“ საუბარი, ალბათ ძნელია. ეს ტრაგედია ალბათ პირველ რიგში იმ ფაქტორს უკავშირდება, რომ წლების განმავლობაში არ მომხდარა ვერეს ხეობის სრულფასოვანი შესწავლა, ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზირება, რადგან ჰიდრომეტეოროლოგიურ სამსახურს დღემდე არ გააჩნია სათანადო აპარატურიდან მიღებული მონაცემები. ამას გარდა, ფაქტობრივად არ ხორციელდება გეოლოგიური მონიტორინგი, მეწყერულ პროცესებზე დაკვირვება ზედაპირულად, პრაქტიკულად თვალით დაკვირვების დონეზეა, რაც გასაგებია, რომ შედეგს ვერ მოიტანდა.

- ვერეს ხეობის ზედა წელშიც ხელოვნურად ყოფილა შემცირებული მდინარის კალაპოტი. საერთოდ რამდენად დასაშვებია მდინარესთან ასე ახლოს საცხოვრებელი სახლების, მით უმეტეს მაღალსართულიანი ნაგებობების და თუნდაც ცხოველების თავშესაფრის განთავსება? აქვე არც ის უნდა დაგვავიწყდეს, დედაქალაქის ტერიტორიაზე ვერეს ხეობა მეწყრული ზონაა.

- დარწმუნებული ვარ, რომ იქ მცხოვრები ხალხი ნამდვილად არ არიან თვითმკვლელები. თუ ვინმეს პასუხი უნდა დადგეს, ეს ისევ სახელმწიფო სტრუქტურებია, რადგან ჯერ კიდევ კომუნისტების პერიოდიდან არის გაცემული მშენებლობის ნებართვები, რამდენადაც ვიცი იმ პერიოდში ასათვისებელი სამშენებლო ფონდების პრობლემა იდგა, სამშენებლო საქმიანობაში და საცხოვრებელი ფონდის შექმნაში აუცილებლად უნდა დახარჯულიყო ფული, ადგილს რომ ვერ პოულობდნენ ასეთ უაზრო და მიუდგომელ ადგილებში აშენებდნენ. შემდგომი ხელისუფლებების დროს ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა, რისი მიზეზიც მარტო კორუფციის მასშტაბების ზრდა არ ყოფილა, პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად და გარკვეული პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტადაც ხდებოდა სამშენებლო ნებართვების გაცემა. სასწრაფოდ არის მოსამზადებელი განაშენიანებისა და რეგულირების გეგმა, მანამდე კი კატეგორიულად უნდა აიკრძალოს დედაქალაქის და არამარტო მის ფარგლებში მდინარეების, მით უმეტეს მთის მდინარეების ხეობებში მშენებლობა, რადგან არ ვიცით ხვალ კიდევ რა ბუნებრივ კატაკლიზმას უნდა ველოდოთ.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24



გურამ პეტრიაშვილი:

არა, არ მოვმკვდარვარ! კაცისმკვლელ „ნაციონალებს“ კიდევ ბევრჯერ მოველანდები!

გვესაუბრება ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მწერალი **გურამ პეტრიაშვილი**.

— ბატონო გურამ, რას იტყვით იმაზე, ეროვნული მოძრაობის ძველი წარმომადგენელი ირაკლი წერეთელი მიხეილ საakაშვილის საქართველოში ჩამოსვლას რომ ითხოვს. შიმშილობა რომ გამოაცხადა, ხომ იცით ამის შესახებ?

— წერეთელი და სარიშვილი ლაპარაკობენ რაღაც უმსგავსობებს. მაგათნაირებზე ქართლში იტყვიან: ჩაქრით თქვენაო. ეს ადამიანები, ეროვნული მოძრაობის წევრები ერთ ხანს იყვნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ტყვიები დაგვიშინეს, ეროვნული მოძრაობის წევრებად მათ აღარ ვთვლი. მე მოვუტან მაგათ დოკუმენტს, ჩვენ რომ დაგვამხეს და შევარდნენ მთავრობის სახლში, რუსი ჟურნალისტი შეეკითხა იმ პერიოდში ირინა სარიშვილს: სწორ ქმედებად მიგაჩნიათ, სისხლი რომ დაღვარეთო? დიახო, — პასუხობს სარიშვილი. — როცა საჭიროა, სისხლიც უნდა დაიღვაროსო. გავიდა დრო და მერე თქვა: სისხლი არ უნდა დაიღვაროსო. როგორც უნდა, ისე ჭრის და ისე კერავს. თან ძალიან საეჭვოა, რომ ამ ჩაძირულებმა — სარიშვილმა და წერეთელმა — მიშა გვინდაო. იმიტომ, რომ მიშას მოქმედების მთავარი გეგმა არის ხალხის მოქრთამვით თავის სასარგებლო საქმის კეთება.

მთელი ევროპა და ამერიკა მოქრთამული ჰყავს.

ესენიც აუცილებლად მოქრთამული იქნებიან.

ამას წინათ ერთი ტელევიზიის ჟურნალისტი მოვიდა: რას იტყვით, წერეთელი რომ შიმშილობს, მიშა უნდა ჩამოვიყვანოთო.

პასუხად მე მივმართე ირაკლი წერეთელს; ირაკლი, შენ არ იყავი, რომ ამბობდი — ზვიად გამსახურდია უნდა დავამხოთ, რომც მოგვკლან, მაინცო. ახლა სხვას ეხვეწები, სანამ არ ჩამოვა სააკაშვილი, შიმშილობას არ შევწყვეტო. ეს რა არის? უკვე ჩასვრილი ხარ, ირაკლი.

მაშინ ვითომდა სიკვდილს იმიტომ ეთამაშებოდი, რომ შენთან იყო რუსეთი, ამერიკა, კოლი — გერმანიის კანცლერი, ნახევარი მსოფლიო შენს მხარეს იყო, ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ და ამიტომ იდექი მაგრად. ახლა მარტო ხარ...

— თქვენ რას ფიქრობთ, სააკაშვილი დაბრუნდება საქართველოში? მან თქვა: საქართველოს როგორც კი დავეჭირდები, მაშინვე ჩამოვალო.

— არა, სააკაშვილი აქ ვეღარ ჩამოვა, მან უკვე უკრაინის მოქალაქეობა მიიღო და აწი, საქართველოს მოქალაქეობას ვეღარ ელირსება.

სანამ ბიძინა ივანიშვილი საქართველოშია, მაგას მოქალაქეობას აღარავინ აღარ მისცემს.

სხვა რომ არაფერი ექნა, ერთადერთი, რაც გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა, ის არის, რომ სააკაშვილი მოგვაშორა.

ძალიან მაკვირვებს, კიდევ ვინ შეიძლება იყოს დღეს მიშას მომხრე. მისი პრეზიდენტობის მართლაც ავადსახსენებელ დროს 150-მდე უდანაშაულო ახალგაზრდა მოკლეს ქუჩაში. პირდაპირ კლავდნენ, კაცო, ქუჩაში, პირდაპირ.

რატომ მოკალითო, ერთ ახალგაზრდაზე რომ ჰკითხეს, ბანკის გაძარცვას აპირებდაო. საქმე იმაშია, რომ იურისპრუდენციაში მთავარი ამოსავალი წერტილია უდანაშაულობის პრეზუმპცია. ვიდრე ეჭვმიტანილს დანაშაულს არ დაუმტკიცებ, ის უდანაშაულოდ ითვლება. მაგალითად, ბანკში რომ დაიჭირო ადამიანი, წინ მოკლული რომ ესვენოს და ამას ხელში იარაღი ეჭიროს, სანამ არ დაამტკიცებ, რომ ნამდვილად ის იარაღიანია მკვლელი, მანამდე ვერ დაადებ ხელს.

რა იცოდნენ, რომ ბანკის გაძარცვა უნდოდათ?! მაგრამ ყველაფერი რომ გაერკვიათ, მაშინ ხომ ვერ მოკლავდნენ?!.

დანამდვილებით გეტყვით, ვერც მიშა დაბრუნდება და ვერც ნაციონალები დაბრუნდებიან.

ხალხს არაფერი არ დავიწყებია. არ არიან ამ მთავრობის მადლიერი, მაგრამ არავინ ამბობს, ნაციონალები დავაბრუნოთო.

სააკაშვილის გახსენებაც აღარ უნდა ხალხს.

ვინ იყვნენ ნაციონალები. ვინ იყო თვითონ სააკაშვილი?! „დედიკოს ბიჭი“, რომელსაც ფეხბურთსაც კი არ ათამაშებდნენ. ფეხბურთს არ თამაშობენ „დედიკოს ბიჭები“, მაგრამ ბურთი ყოველთვის მათია. თუ დასჭირდათ, ბურთს წაიღებენ და ეხვეწე მერე, რამდენიც გინდა.

ხე მოაჭრევინა, კაცო, სააკაშვილმა პრეზიდენტად გახდომისთანავე. ხე, რომელზეც ყველა ბიჭი ადიოდა თურმე, მის გარდა. ხეს რას ერჩოდა ეს ოხერ-ტიალი?!

— ბატონო გურამ, თქვენი აზრით, 13 ივნისის ტრაგედია არასწორად დამონტაჟებული გზის და გვირაბების ბრალი იყო?

— რა თქმა უნდა?! ხალხი დაიღუპა. ეს დიდი უბედურებაა. ჩემი მოსახელეც დაიხრჩო. სარდაფში უცხოვრია საწყალს, ზედა სართულებზე ვინ დაასახლებდა გაჭირვებულ ადამიანს?!

ყოველთვის, როცა ასეთი სტიქიური უბედურებები ხდება, ყველაზე მეტად ზარალდება ღარიბი ხალხი.

ამერიკაში ქარიშხალი „კატრინა“ რომ იყო, ზანგების დასახლებაში, ახალ ორლეანში, უამრავი შავკანიანი დაიხოცა. თეთრებმა საკუთარი მანქანებით გაასწრეს ქარიშხალს.

ევროპისკენ და ამერიკისკენ რომ მივისწრაფვით, ეს კარგია, მაგრამ მე მახენდება მარლენ დიტრიხი, რომელმაც ცხოვრების ბოლო წლებში დაწერა წიგნი „ჩემი ცხოვრების ანბანი“, სადაც წერდა: ჩვენ, ევროპელებს გვეშინია ღმერთის, ხოლო ამერიკელებს იმის დარდი აქვთ, დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაიცავთ თუ არა ადვოკატიო.

მსოფლიო ძალიან შეიცვალა.

სოციალური უსამართლობა და უთანასწორობა მძვინვარებს.

საქართველოში ვინ არის დღეს მაძღარი?

მე, მაგალითად, მაძღარი არ ვარ. ნახევრად მშიერი ვარ.

ვთქვათ, ვიყიდე მარწყვი. ეს მარწყვი მხოლოდ ჩემი შვილიშვილისთვის კი არ უნდა მინდოდეს, მეც უნდა შემეძლოს ვჭამო. ხილი ახალგაზრდასაც სჭირდება და ასაკოვანსაც. მაგრამ ვერ ვყიდულობთ ჩვენთვის. ასე ვცხოვრობთ ჩვენ და ასე ცხოვრობს მოსახლეობის ალბათ 80 პროცენტი.

ამისთვის ვიბრძოდით?

ჩემი წიგნი გამოვიდა. 17 ლარი ღირს. როგორ უყიდოს მშობელმა ეს წიგნი თავის შვილს, როცა სამსახურები არ არის და მომუშავესაც მცირედი ანაზღაურება აქვს?!

— თქვენი ფოტო რომ დადეს და მკვდრად გამოგაცხადეს, მაშინ მითხარით, ჩემი სიკვდილი უნდათო. ვის უნდა, რომ თქვენ აღარ იყოთ?

— გახსოვთ, ვის ვუთხარი მოგელანდებით-მეთქი?

— ??

— იმათ ვუთხარი, ვინაც პუტჩი მოაწყო. ეს ვუთხარი კობა იმედაშვილსაც, რომელმაც გადატრიალების შემდეგ დაწერა: თუ საქმე კარგად არ წაიყვანა სამხედრო საბჭომ, მე იარაღს ავიღებო.

ყველა ესენი: სარიშვილი, წერეთელი, გვარდიელები, ყარყარაშვილი არიან მოღალატეები.

კარგად მახსოვს, ყარყარაშვილმა თქვა: მზად ვარ 100 000 ქართველი შევწირო 70 000 აფხაზსო. ე. ი. აფხაზების განადგურება უნდოდა და თავისთავად ცხადია, ქართველების მოსპობაც.

იცით, რაშია საქმე? ადიღეველები აფხაზეთის ტერიტორიაზე, იგივე ოსებიც რომ შემოვუშვით, დავასახლეთ და სუფრაზე დავისვით, მერე მათთან ომი სირცხვილია, ეს როგორ შეიძლება?!

ჰოდა, მე ნაწყენი ვარ ძალიან. ჩემი ფოტო რომ დადეს და გარდაიცვალა გურამიო, მიაწერეს. დაერეკათ ჩემთვის. აგერ, თქვენ დამირეკეთ, სხვებმაც დამირეკეს. ჯერ გაარკვიე, შე ოჯახაშენებულო და მერე გამომაცხადე გარდაცვლილად.

ვიცი, ეს არის ნაციონალების ხელწერა, მოქკავშირელების, მაგათ უნდათ ჩემი სიკვდილი, თორემ ხალხი რას მერჩის?!

— ნაცმოძრაობის ლიდერი სააკაშვილი ოდესის გუბერნატორად დანიშნეს...

— ოდესა იცით, თქვენ როგორი ქალაქია? უკრაინა ვიცი, რაც არის და მაგ ქალაქსაც კარგად ვიცნობ. ეს ქალაქი არასდროს ყოფილა არც უკრაინის, არც რუსეთის. ოდესა ყოველთვის იყო ისრაელის ქალაქი.

კგბ-ს ერთ პოლკოვნიკთან იყო საუბარი. რუსი ჟურნალისტი ეკითხება მას: მსოფლიოში ყველაზე კარგი ადგილი სად არის ისრაელის რეზიდენტებისა და აგენტურისთვისო? ყველაზე კარგი ადგილი აგენტურისთვის ოდესაა, რადგან ის სავსეა ებრაელებითო, უპასუხა. „მოსადს“ ყველაზე დასაყრდენად ეს ადგილი ჰქონდა.

— ბატონო გურამ, ქართულ ლიტერატურაში რა ხდება?

— ოო, ეს სხვა თემაა.

ძალიან რთული კითხვაა.

მე რა ვიცი, რომელიმე კარგი მწერალი რას ინახავს თავის უჯრაში?!

ბარათაშვილმა იცხოვრა 27 წელიწადი. წავიდა ეს კაცი და მერე გავიგეთ, თურმე „მერანი“ დაუწერია.

ასე რომ, ლიტერატურაში რა ხდება, ჩვენ ეს არ ვიცით. ჩვენ ვხედავთ აისბერგის მხოლოდ ზედა ნაწილს და ვერ ვამჩნევთ სიღრმეებს.

ლავრენტი არდაზიანმა რომ დაწერა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, გამოქვეყნებულიც იყო და მერე აღმოჩნდა, თურმე ეს იყო ეპოქალური რომანი.

ვინ იცის, რა ხდება ლიტერატურაში, ეს ისეთივე გამოცანაა, როგორიც თვით ცხოვრება.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ვინ ხულიგნობს ფეისბუკში შალვა ნათელაშვილის სახელით და ვინ ლანძღავს ჟურნალისტებს უბილწესი სიტყვებით — ბატონი შალვას მოდერატორი, ფეისბუკის ადმინი თუ თვითონ ბატონი შალვა?

ამ დღეებში პოლიტიკა და პოლიტიკოსები ვიღას ახსოვდა. სტიქიურმა უბედურებამ მთელი ქალაქი შოკში ჩააგდო და დაზაფრა. ამას დაემატა ზოოპარკიდან გაქცეული გარეული ცხოველების თავდასხმების პანიკური შიში და როცა მე მაგრად ჩავრაზე კარი, ფანჯრები და დაძინება დავაპირე, ლომი და ვეფხვი არა, მაგრამ მათზე არანაკლებ მძვინვარე შალვა ნათელაშვილი შემომივარდა ფეისბუკ-სივრცეში.

საქმე ის გახლავთ, რომ „საერთო გაზეთის“ გასულ ნომერში სტატიის — **„შალვა ნათელაშვილი — პოლიტიკური შულერი, პოლიტიკური კლოუნი თუ ჩვეულებრივი თაღლითი, რომელმაც ქართველი ხალხის გაცუცურაკებით მილიონები იშოვა?“** გამოქვეყნების მერე ბატონი შალვა ჟურნალისტებს დაერია, უკაცრავად გამოთქმისთვის და, ზოგს პედერასტი ეძახა და ზოგს „მინეტჩიცა“.

სტატია „მემარცხენე ალიანსელების“ ინტერვიუებზე იყო აგებული — შალვა ნათელაშვილს ამხელდნენ ძველი თანამებრძოლები თაღლითობასა და „ნაცმოძრაობასთან“ გარიგებაში.

სავარაუდოდ, ამის საპასუხოდ შემომეჭრა შალვა ნათელაშვილი „ჩატში“ და ბილწსიტყვაობის „შედევრებით“ შემამკო.

როგორც მერე გავიგე, ბატონ შალვას წინა ღამეს ერთ-ერთი ინტერნეტ-საიტის ჟურნალისტისთვისაც, რომელმაც „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებული ინტერვიუ საიტზე განათავსა, ფეისბუკის ჩატში სულ პედერასტი უძახებია. ბატონ შალვას ასე აქვს განაწილებული ეპითეტები: მამრობითი სქესის ჟურნალისტებს პედერასტებს ეძახის, მდედრობითი სქესის ჟურნალისტებს — „მინეტჩიცებს“, ან „მინეტის დამფუძნებლებს“. იმ ჟურნალისტმა დაურეკა შემდეგ მესიჯის გამომგზავნს, რომელიც ნამდვილად შალვა ნათელაშვილი აღმოჩნდა, მაგრამ მან ყველაფერი მოდერატორს დააბრალა.

შესაძლოა, ჩემს „ჩატში“ შემოვარდნაც ბატონმა შალვამ მოდერატორს ან ფეისბუკის ადმინისტრატორს დააბრალოს, მაგრამ ადმინისტრატორმა საიდან იცის **კახა ძაგანიას, სოსო შატბერაშვილ**ის პოლიტიკური წარსული, ანდა ჩემი ჟურნალისტური საქმიანობის დასაწყისი და გაგრძელება?

ახლაც, არ ვიცი, შუადამეს, 12 სთ-დან ორ საათამდე, მომიკაკუნებს თუ არა „კარზე“ შალვა ნათელაშვილის „ადმინი“ — შე ასეთო და ისეთოო, მეტყვის, „გაიჯახუნებს“ კარს და ჭინკასავით გაქრება.

გასაკვირი ის არის, ეს სოლიდური ასაკის ადამიანი, რომელსაც პრეზიდენტობაზე აქვს პრეტენზია, ქუჩის ბიჭივით იგინება და დედის სახელს, რომელსაც, რამდენადაც ვიცი, მთის ხალხი სათაყვანოდ მიიჩნევს, შვიდ ბრუნვაში ატრიალებს უბილწესი ლექსიკით. ვინ გაარკვევს ახლა იმას, ეს მყრალპირიანი „არსება“ ბატონი შალვაა თუ მისი მოდერატორი?..

ამ დღეებში ჩემი ამერიკელი მეგობარი დამიკავშირდა და მითხრა: ვაშინგტონში შევხვდით ნათელაშვილს და საქართველოს პრობლემებზე ჩამოვუგდეთ სიტყვა. გადაწვა სავარძელში, თვალები მოჭუტა და თქვა: ამირჩიეთ პრეზიდენტად და მოვაგვარებ ყველა საკითხსო.

მერე მისი მეუღლე მოვიკითხეთ და სასტუმროშია, ისვენებს, შეუძლოდაა. პრეტენზია რომ გამოვთქვით შალვა ნათელაშვილის სიცრუეზე, მაშინ, ჩემი მისამართით, უწმაწური ლანძღვისა და გინების შემცველი ტექსტები გადმოაგზავნა სოცქსელში შალვა ნათელაშვილმა და მეც უშვერი სიტყვებით მაგინა და მაფურთხაო...

სხვათა შორის და სამწუხაროდ, სოციალურ ქსელში ლეიბორისტების ლიდერს გაცილებით მეტი მლანძველი ჰყავს, ვიდრე მაქებარი.

როგორც ზემოთ ვთქვით, მიუხედავად იმისა, რომ პროფილი, რომლითაც ფეისბუკში ჟურნალისტების მისამართით უწმაწური ლანძღვა-გინებები და მუქარები ვრცელდება, შალვა ნათელაშვილის სახელზეა. ბატონი შალვა ამ „შედევრების“ ავტორობას უარყოფს და ყველაფერს ადმინისტრატორს თუ მოდერატორს აბრალებს.

თუ ეს მართლაც ასეა, (რაშიც ეჭვი მეპარება) წაავლეთ ჟურში ხელი ამ თქვენს ადმინისტრატორს თუ „მოდერატორს“, ბატონო შალვა და საზოგადოებას წარუდგინეთ: აი, ეს არამზადა ავრცელებდა ჩემი სახელით ამ საზიზღრობებს. პროვოკატორია ეს მამაძაღლი და სპეციალურად აკეთებს ამას, რომ სახელი გამიტეხოს.

თუ ასე არ იზამთ, მაშინ სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ არავითარი მოდერატორი არ არსებობს და, უკაცრავად გამოთქმაზე და, ამ ბაცური ბილწსიტყვაობის ნამდვილი ავტორი თქვენ ხართ.

თუ ამაში დავრწმუნდები, მაშინ აუცილებლად გამოვაქვეყნებთ იმ სქრინებს, რომ მთელმა საქართველომ დაინახოს თქვენი ნამდვილი სახე, ბატონო შალვა!

კახა ძაგანია ამბობს: 2012 წელს ბიძინა ივანიშვილს ვლანძღავდით უმოწყალოდ, რადგან შალვა გვარწმუნებდა: ბიძინა ივანიშვილი იმიტომ მოდის, მიშას რომ პოლიტიკური ცხოვრება გაუხანგრძლივოსო. ივანიშვილი ჩაერთვება არჩევნებში ფორმალურად, დამარცხდება და ისევ მიშა იზეიმებსო. წლების განმავლობაში საკაშვილს ვებრძოდით და მისი მხარდამჭერის მიმართ რა აგრესია გვექნებოდა, თავად წარმოიდგინეთ. ის ასრულებდა საკაშვილის დავალებას მართული ოპოზიციური ძალის ფუნქციით. შალვა ნათელაშვილი კი ამით ივანიშვილს უხდიდა სამაგიეროს, ახლოს რომ არ გაიკარა.

მე დამნაშავე ვარ ბიძინა ივანიშვილთან, დაუმსახურებლად ვლანძღავდით იმ ხანებშიო!“

„ექსპრესივით ჩაიქროლა „ქართულმა ოცნებამ“, — ამბობდა მაშინ შალვა ნათელაშვილი.

ექსპრესზე გამახსენდა და ექსპრესიული ხასიათი აქვს შალვა ნათელაშვილს, ვერ ჩერდება, ვერა!

და წარმოიდგინეთ, „კავკასიის“ ეთერში ყოფილი თანამებრძოლების საუბრისთვის რომ მოესმინა, რა ამბავს დაატრიალებდა. აქუბარდიამაც დაიჩივლა ეთერში „მემარცხენე ალიანსთან“ საუბრისას, მომივარდება ნათელაშვილიო.

„კავკასიის“ ეთერში ნათელაშვილის „მხილება“ „საერთო გაზეთის“ ინტერვიუმდე რამდენიმე დღით ადრე გავიდა.

მაშინ ნათელაშვილის ოპონენტების დოკუმენტაციით დავინტერესდი და ასე ჩავწერე ინტერვიუ, რომელიც თითქმის იდენტურია „კავკასიაზე“ გასული საუბრისა.

სოსო შატბერაშვილი: *წამების გზა გაიარა არჩილმა (ბენიძე — ი.კ.), იყო პოლიტიკური დევნილი და იტალიამ მას მიანიჭა ეს სტატუსი.*

დავით აქუბარდია: *მოდი, არჩილ. მოყევი, ჩემო ძმაო.*

არჩილ ბენიძე: *ყველაფერი დაიწყო 2007 წლიდან... ჩემი ისტორიაც აქედან იწყება...*

... 2008 წელს შალვა ნათელაშვილმა არჩევნებს გამოუცხადა ბოიკოტი და ამ ბოიკოტის შემდეგ დაიწყო ჩემზე დევნა.

მაშინდელი კულ-ის უფროსი იყო ***სოსო თოფურიძე****, რომელიც, როგორც შემდეგ გაირკვა, მოდიოდა პარტიაში შალვა ნათელაშვილთან და ეუბნებოდა: თუ პარლამენტში არ შევიდოდა და მანდატებს, რომლებიც მან გარიგების შედეგად მოიპოვა ვანო მერაბიშვილთან. ვალდებულებები, რაც ჰქონდა* ***მერაბიშვილთან****, რომ მოხდებოდა მისი პარტიის წევრების დაპატიმრება-დისკრედიტაცია და ა.შ.*

დავით აქუბარდია: *ნამდვილი ამბავია, ეს, კაცო?!*

არჩილ ბენიძე: *2008 წელს მან იმხელა გარანტიები ჰქონდა, რომ მისი მეუღლე* ***ბელა ალანიაც*** *კი სიაში ჩაწერა, გამსვლელში. როდესაც ვანო მერაბიშვილმა გადააგდო, იმიტომ, რომ, თვითონაც პრობლემები ჰქონდა „ნაცმოძრაობას“ და შალვამაც გაიყვანა 6 კაცი, პარლამენტის წინ დაჭრა მანდატები. მაშინ მოხდა არეულობა და შური იძიეს ჩემზე.*

დავით აქუბარდია: *არჩილი ხომ ენათესავება რაღაცით შალვას?*

...ახლა, რა არის, იცით? თქვენი დავა თვითონ გადაწყვიტეთ.

არჩილ ბენიძე: *ბატონო დავით, მე გამოვედი პოლიტიკური მსხვერპლი.*

კახა ძაგანია: *მაპატიეთ, საჯარო პირები ვართ შალვა ნათელაშვილიც, არჩილ ბენიძეც, შატბერაშვილიც და მეც, თქვენი მონა-მორჩილიც და ვალდებულნი ვართ, საზოგადოებამ ჩვენი, თმიდან დაწყებული ფეხის ფრჩხილებამდე, იცოდეს ყველაფერი.*

კაცი, რომელიც ***ვლადიმირ ვოლფოვიჩ ჟირინოვსკის*** *მისწერს, შემხვდი და დამაფინანსეო (აჩვენებს დოკუმენტს — ი. კ.).*

დავით აქუბარდია: *ასე წერს ყველა პოლიტიკური პარტია.*

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

სოსო შატბერაშვილი: *ჟირინოვსკის, კაცო?*

კახა ძაგანია: *კაცი, რომელიც წერილს მისწერს ლუჟკოვს, კაცი, რომელიც წერილს მისწერს ვიღაცა მჟავანაძეს, სასტუმროს დირექტორს რუსეთში, ახლა ხომ არის პროამერიკელი. კაცი არის გადართული ფულის შოვნაზე. წარმოიდგინე, ჟირინოვსკის რომ მისწერ...*

დავით აქუბარდია: *კარგით, მე ნუ დამაცვევინებთ შალვას, თუ ძმა ხარ.*

კახა ძაგანია: *სოსო შატბერაშვილმა პირდაპირ ეთერში დებატში გამოიწვია შალვა ნათელაშვილი.*

არჩილ ბენიძე: ბატონო დავით, შეგიძლიათ ნახოთ, ცსკო-ში დევს ეს ინფორმაციები, რა სიებიც ჰქონდა შალვა ნათელაშვილს წარდგენილი. ვანო მერაბიშვილის ნათესავი პირდაპირ ხელდასმული ჰყავდა მეოთხე ნომრად სიაში.

დავით აქუბარდია: ვიცი, ვიცი.

არჩილ ბენიძე: *მაშინ ეს რა გამოდის. თვალში ვაყრით ნაცარს ხალხს. ვეუბნებით, რომ ხელისუფლების ოპოზიციაში ვართ და ამ დროს მათთან გარიგებაში შევდივართ.*

კახა ძაგანია: *რომელიმე სხვა პარტიიდან თუ ფინანსდებიან ასეთი ფორმით, მაშინ ბოდიშს მოვიხდით* (ხელებს წევს მაღლა – ი.კ.).

დავით აქუბარდია: *...რა ვქნა ახლა, კაცო, ჩემი ცოლის ნათესავია, რა გავაკეთო?!*

კახა ძაგანია: *ნეპოტიზმი ტელევიზიაში დაუშვებელია (იცინის).*

დავით აქუბარდია: *...მაპატიეთ და უნდა გითხრათ: თქვენთან ყველა დეპუტატი ბოზდებოდა.*

...მაინც პოზიტიურები იყავით, როგორც იყავით, რა მამაძაღლობაც გყავდათ იქ და რა ბინძური ტიპებიც გყავდათ, მემარცხენე ძალა ყოველთვის არის პოზიტიური.

რა გინდათ თქვენ, ახლაც მემარცხენეები ხართ...

კახა ძაგანია: *...სანამ იმ მილიონებს არ დაუბრუნებს უკან ხალხს, რომელიც უკანონოდ*

დავით აქუბარდია: *ეს ჩვეულებრივი ამბავია, ყველა პარტია წერს ასე.*

კახა ძაგანია: *ვლადიმირ ვოლფოვიჩს?*

დავით აქუბარდია: *კაცო, სულ არ მეგონა, თუ ამ თემებზე დაიწყებდით საუბარს.*

არჩილ ბენიძე: *2000 ლარის სანაცვლოდ, გირაო გადავიხადე და გამომიშვეს – საზოგადოებისთვის საშიში აღარ ხარო.*

დავით აქუბარდია: *მოგიკვდეს ჩემი თავი. ყველაზე წამებული შენ ხარ.*

...მე უხერხულ მდგომარეობაში ვარ, გულწრფელად გეუბნებით, ასეთი დოკუმენტები რომ წაიკითხეთ. არჩილი, მესმის, ნაწყენია და ცხოვრების საუკეთესო პერიოდი, ბავშვის გაჩენისა, დისტანცირებული იყავი. საშინელებაა, მაგრამ, მე, მაგალითად, ოფიციალურად გირჩევდით, არ ვარ ახლა მე პროფესიონალი იურისტი, მაგრამ... იურიდიულად მოსთხოვე პროკურატურას.

...ლეიბორისტული პარტია რომ ყალიბდებოდა, მე მახსოვს, თქვენთან არ იყო დემოკრატიული ცენტრალიზმი. გებრძოლათ მაშინ... შიდაპარტიული დემოკრატია რომ გაგეძლიერებინათ, ასეთი კონფლიქტი არ მოხდებოდა.

სოსო შატბერაშვილი: *გეთანხმებით, მაგრამ ჩვენთვის ხომ მანამდე ცნობილი არ იყო რაღაცები. აი, მაგალითად, ავსტრიის ბანკში 98 000 ევრო ჰქონია შეტანილი. 2011 წელს 118 000 ევრო. ა, ბატონო, ავსტრიის ბანკის ანგარიშები (აჩვენებს დოკუმენტს – ი.კ.).*

დავით აქუბარდია: *დედა, დედა.*

სოსო შატბერაშვილი: *2012 წელს 117 000 ევრო ჰქონდა შეტანილი. აბა, ახლა, დააჯამეთ, რა თანხებზეა ლაპარაკი და ვინ მისცა ეს თანხები.*

დავით აქუბარდია: *კაი, ახლა, ნუ ალანძღინებ ჩემს თავს (იცინის).*

სოსო შატბერაშვილი: *ფაქტებზე გელაპარაკებით.*

დავით აქუბარდია: *ვინც ოფიციალურად შეისწავლის არჩილ ბენიძის საქმეს, იმან გაარკვიოს შენი ურთიერთობა შალვასთან, შალვას ურთიერთობა მერაბიშვილთან თუ ჯანდაბასთან და ოხრობასთან.*

...კახა ძაგანია: *21-ე საუკუნის ყვარყვარიზმი ნახეთ, ჟირინოვსკის რომ უგზავნის წერილს.*

დავით აქუბარდია: *ახლა რომ აგინებთ, აქამდე ვერ იცანით? პოლიტსაბჭოს წევრები იყავით. აუუ.*

კახა ძაგანია: *ჟირინოვსკის წერს და ინგლისურად აწერს ხელს ბოლოში.*

ჩაიდო მერაბიშვილისგან და საკაშვილისგან ჯიბეში, პარტიისგან გვერდის ავლით. ქვითარი მანახოს, რომ დააბრუნა.

დავით აქუბარდია: *კახა, მატარებელი ჩავლილია.* (არ ისმის. ერთდროულად ლაპარაკობენ – ი. კ.).

კახა, რატომ უნდა ჩარიცხოს საპატრიარქოში.

შენ თუ ძველი პარტიის ანგარიშების დევნას დაიწყებ, ენერგია დაიხარჯება ტყუილად, მომავლისკენ გაიხედეთ, შეჭირვებულთა პრობლემები გაქვთ მოსაგვარებელი. დაანებეთ თავი წარსულს. ჩათვალეთ, რომ მეწყერი დაეცა თქვენს ხაზინას და დაიკარგა, რა მოხდა, კაცო, ვის არ დაუკარგია.

...სოსო შატბერაშვილი: *მე ერთ რამეში ვერ დაგეთანხმებით.*

... დავით აქუბარდია: *აბა, ვერ დამეთანხმეთ (იცინის).*

სოსო შატბერაშვილი: *წარსულს ნუ ვქექავთო. უნდა გასამართლდეს, შევარდნაძე, მერე რა, რომ გარდაცვლილია, ასევე უნდა გასამართლდეს საკაშვილი და ყველა ის ადამიანი, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს.*

დავით აქუბარდია: *ზნეობრივი სასამართლო შექმენით და იქ გამოუცხადეთ განაჩენი. მაგრამ ახლა სასამართლოებზე დავას* (ხელებს წევს მაღლა – ი.კ.), *მოცდებით. დაანებეთ თავი, კაცო. წასული საქმეა".*

ეს არ ვიცი და იმ კაცის საქმე კი მართლა წასულია, ქალებს ინტერნეტმიმოწერით რომ დედებს აგინებს და ბოზებს უწოდებს!..

ჟურნალისტებთან და ამომრჩეველთან საუბარი ვერ გისწავლიათ და პრეზიდენტად ივარგებთ თქვენ, ბატონო შალვა? მეტი არაა ჩემი მტერი.

რაც ეხება ცხელ საარჩევნო ბატალიებს, წინასაარჩევნოდ შალვა ნათელაშვილი თავისივე შეთხზულ ასეთ ლექსს ამბობდა:

„იყო ნაცი, არის ქოცი,
შემოხაზეთ ყველამ ოცი"...

მე კი ამ ლექსის ჩემებურ ინტერპრეტაციას შემოგთავაზებთ:

„არ ვარ ქოცი და არც ნაცი,
შალვა, არ ხართ კაი კაცი"...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

გაძვირდება თუ არა პური?

მიმდინარე წლის თებერვლის თვეში პურის ქარხნები გაკოტრების საფრთხის ქვეშ დადგნენ, რადგან დოლარი წინ მიიწევდა, გაძვირდა თითქმის ყველა პროდუქტი. „სოკარის" გადაწყვეტილებით, კომერციულ ორგანიზაციებს გაეზარდათ გაზის ტარიფიც.

ლარის გაუფასურების გამო ყველაფერი გაძვირდა, ფქვილი, საფუარი, მარილი.

თითქმის ყველა დისტრიბუტორის ავტომობილი გაზზე მუშაობს. გაზიც გაძვირდა...

ხელისუფლების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ პურის ქარხნებს გაზი არ გაუძვირა. თუმცა ფასმომატებული პროდუქტების ღირებულება ლარის გამყარების შემდეგ არავის გაუიაფებია.

თებერვალში ერთი ტომარა – 50კილოგრამი ფქვილი მომატებული ფასით 38-39 ლარად შეეძლოთ შეეძინათ პურის ქარხნებს. ეს იმ დროს, როცა დოლართან მიმართებაში ლარი 2,35 და მეტიც იყო. საგულისხმოა ის ფაქტიც, როცა პურის მწარმოებლები ლარის გამყარების შემდეგ ფქვილის გაიაფებასაც ელოდნენ, მაგრამ მოხდა უცნაური რამ: ჯერ 12 ივნისს გააძვირეს პურის ფქვილი ერთი ლარით და შემდეგ გლოვის დღედ გამოცხადებულ 15 ივნისსაც, რა „სიმბოლურია", არა?..

მოკლედ, ეს ამბავი ერთი „გაბრაზებული მეწისქვილისაგან" შევიტყვე.



ინფორმაცია, რა თქმა უნდა, გადავამოწმე. რამდენიმე პურის ქარხანაში დავრეკე. ინფორმაცია დამიდასტურეს, თუმცა კითხვაზე, გაიაფების ნაცვლად, რატომ გაძვირდა ერთი ტომარა ფქვილის ფასი 3-4 ლარით, პასუხის გაცემისგან ყველამ თავი შეიკავა. ამიტომ ისევ პირველწყაროს მივმართე.

აი, რა მიამბო მან: საქმე გვაქვს საეჭვო გარიგებასთან, დაიბარეს ყველა მეპატრონე და აიძულეს მათი წესებით ემოქმედათ. გადანაწილებული აქვთ კვოტები – რომელმა წისქვილკომბინატმა რამდენი ტონა უნდა გაყიდოს, ზოგს 8 ათასი ტონის გაყიდვის უფლება აქვს, ზოგს 13000, 1500 ტონის და ა.შ. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ რუსეთიდან შემოტანილი ხორბალიც და ფქვილიც უფრო იაფი და ხარისხიანია. შემოტანაც მხოლოდ მათ შეუძლიათ. პურის მწარმოებელს არა აქვს უფლება, უფრო ხარისხიანი და იაფი ფქვილი შემოიტანოს. ვინც აღნიშნულ „კარტელში"არ მოიაზრება, ხელოვნურ ბარიერებს უქმნიან. ორი კვირაა საბაჟოზე გაჩერებული ჰყავდათ რუსეთიდან შემოტანილი ფქვილით დატვირთული ტრაილერები, ჯერ ლაბორატორიული შემოწმება მოიმიზეზეს, შემდეგ მიზეზები არ დაელიათ, არადა, თითო დღეზე სოლიდურ გადასახადს იხდიან. ბოლოს შეიძლება იქით გადაუხადონ თანხა და აღარც გაუჩნდეთ სურვილი, ოდესმე ფქვილი ან ხორბალი შემოიტანონ. მარტო პურის გამოსაცხობად ჩვენს ქვეყანას თვეში 45000 ტონა ფქვილი სჭირდება, ანუ მომატებული 3 ლარი ტონაზე იძლევა 60 ლარს, ხოლო 45000 ტონაზე სამ მილიონ ლარამდე მოგებას. კითხვაზე, ვინ არიან ეს ადამიანები და როგორი წესებით იბრძვიან, მიპასუხა, რომ ამ ეტაპზე ჯობია არ ვიცოდე მათი ვინაობა, ხოლო ბრძოლა წესების გარეშე მიმდინარეობს. საუბარი „მეწისქვილესთან" დაუკმაყოფილებლობის გრძნობით დავასრულე და ჩემი „ხაზებით" განვაგრძე ინფორმაციების მოძიება. არც ვიცოდი, თუ ამდენი წისქვილკომბინატი არსებობდა, თან როგორი სახელწოდებებით: „ჯეომილი", „გლობალმილინგი", „პროგრესი", „ბევრილი" და კიდევ უამრავი.

პირველად „ჯეომილს" დავუკავშირდი. ინფორმაცია ფქვილის გაძვირების შესახებ „ჯეომილში" დამიდასტურეს. კითხვაზე, რატომ არ არის წისქვილკომბინატებს შორის ჯანსაღი კონკურენცია, რატომ აქვთ ერთნაირი ფასები და ვის გარშემო გაერთიანდნენ, კითხვის ადრესატი გაღიზიანდა და არც ის მითხრა, ვინ იყო მათი დამფუძნებელი, არც დირექტორის სახელი გამიმხილა და არც თავისი ვინაობა. შეკითხვებით უკმაყოფილომ მხოლოდ ის მითხრა: როცა დოლარი 1, 75-ზე იყო, ერთი ტომარა ფქვილის ფასი 36–38 ლარში მერყეობდა, თუ დოლარი აღნიშნულ ნიშნულს დაუბრუნდება, შესაძლებელი იქნება ფქვილის გაიაფებაცო. ბოლოს დასძინა, მე არა ვარ პასუხისმგებელი პირიო. საინტერესოა, „ჯეომილში" რატომ პასუხობს ტელეფონს არაპასუხისმგებელი და ინკოგნიტო პირი, რომელიც არც სახელს გვიმხელს და არც თანამდებობას? იმავე კითხვებით მივმართე რუსთავში მდებარე წისქვილკომბინატ "პროგრესს". აქ, ამჯერად, დამიდასტურეს, რომ ფქვილი გააძვირეს, ერთი ტომარა ფქვილის ფასი 42 ლარია, ხოლო შეკითხვაზე, ლარის გამყარების ფონზე რატომ მოხდა გაძვირება, პასუხი „პროგრესში" ვერ გამცეს.

პურის ქარხნებიც, სავარაუდოდ, გააძვირებენ პროდუქციას, რაც, რაღა თქმა უნდა, ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას უფრო დაამძიმებს. საინტერესოა, ვინ დგას ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანებული წისქვილკომბინატების უკან, ვის წისქვილზე ასხამს წყალს, ვის ხორბალს ფქვავს და იციან თუ არა, რამდენი აჯანყება მოხდა მარილის გაძვირების გამო, ან ისეთი მაძღარები როგორ არიან, რომ არ იციან ჩვენს ქვეყანაში რამდენი ადამიანია, პურსაც რომ ვეღარ მიირთმევს უსახსრობის გამო?!

„პურს ჩვენი არსობისას" ვინც გვართმევს, ვფიქრობ, ფინანსურ პოლიციასთან თუ არა, ღმერთთან ექნება საქმე. რას ფქვავთ და რის ფასად, იქნებ დაფიქრებად ღირდეს? პური, ფაქიზი თემაა, რომელმაც ხალხი არაპროგნოზირებად აბობოქრებულ ტალღად შეიძლება აქციოს. ნუ გამოსცდით მათ მოთმინებას, „ცეცხლთან" თამაში საშიშია.

ქეთევან ზარნაძე
ტელ.: 599526030

რატომ ურევს ჩვენებებს ზოოპარკის დირექტორი ზურაბ გურიელიძე და რამდენად სწორია ინფორმაცია, რომ ზოოპარკში კონტრაბანდული გზით შემოყვანილი ცხოველებით ვაჭრობდნენ?

რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთი ტრაგედია მოხდა – ზოოპარკის ვეფხვმა ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ამ საქმესთან დაკავშირებით წაიყვანეს დაკითხვაზე ზოოპარკის დირექტორი **ზურაბ გურიელიძე** და იმავე დღესვე, დაკითხვის შემდეგ გამოუშვეს, თუმცა ნაციონალებმა პოსტფაქტუმ აქცია მოაწყვეს – არ დაიჭიროთ, გურიელიძეო.

იმ მომენტშივე სოციალურ ქსელში ეჭვები გამოითქვა, რატომ გადაეფარნენ „ნაცმოძრაობა“ და მისი მხარდამჭერები ზურაბ გურიელიძეს, როცა 9 წლის მანძილზე თუნდაც უდანაშაულოდ დახოცილ ადამიანებზე მაგათი აქცია არავის ახსოვს და არც 14 ივნისის სტიქიის დროს გარდაცვლილების გამო უღვრიათ ცრემლიო.

სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ზურაბ გურიელიძე „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელიაო.

გურიელიძის „ნაცმოძრაობის“ დამფუძნებლობასთან დაკავშირებით ზუსტ ინფორმაციებს დოკუმენტურად არ ვფლობთ, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, ზურაბ გურიელიძე ნაციონალებმა დანიშნეს ზოოპარკის დირექტორად მას შემდეგ, რაც ზოოპარკის დირექტორს **ბადრი ნარსიას** ქონება წაართვეს და იმ დონეზე მიიყვანეს კაცი, რაფაზე ავიდა, ფანჯრიდან რომ გადმომხტარიყო და თავი მოეკლაო.

მოკლედ, მოიშორეს ბადრი ნარსია და დანიშნეს „თავისი“ კაცი – ზურაბ გურიელიძე.

მაგრამ ისეთი რა მნიშვნელობა ჰქონდა ზოოპარკის დირექტორის თანამდებობას და რატომ იყო აუცილებელი, ნაცებს იქაც „თავისი“ კაცი ჰყოლოდათ?!

ამ დღეებში რამდენიმე ვერსიას განიხილავდა საზოგადოება, რადგან ინფორმაციები ამ ფაქტის შესახებ იმდენად ბუნდოვანი იყო, რომ უამრავი მოსაზრება გაჩნდა.

ლოგიკურად კი ასეა: ზურაბ გურიელიძე თუ ნაციონალების მიერ დანიშნული იყო ამ სამსახურის უფროსად, იგი დიდად იქნება დავალებული ნაციონალებისგან და, სავარაუდოდ, ნაციონალები, როგორც ყოველთვის, ხალხის გაჭირვებაზე ითბობდნენ ხელს და არც ახლა გაუჭირდებოდათ ამის გაკეთება.

არსებობს ვარაუდი, რომ ზურაბ გურიელიძე ნაციონალების პირდაპირ ბრძანებებს ასრულებდა თბილისის ღვარცოფის დღეებში და ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფს მიცემული დირექტივების შესრულება უფრო გაუჭირდაო.

ეჭვები ჩნდება ზოოპარკის სამი თანამშრომლის დაღუპვასთან დაკავშირებითაც. როგორც ამბობენ, მათ დირექციამ უბრძანა, გაეღოთ გალიები და ვოლიერები და ცხოველები გარეთ გამოეშვათ.

ცურვის ინსტინქტის მქონე ცხოველებს, რომელთა გალიები ზემოდან არ იყო დახურული, დინებას ამოყვნენ და გადარჩნენ. ზებრაც კი გადარჩა და დათვის ბელებიც.

მაგრამ სანამ ბელებს მივუბრუნდებოდეთ, რომლებიც მერე ვაზისუბანში ნახეს, სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ერთ საეჭვო და სენსაციურ ფაქტზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას: იმ საშინელ წვიმასა და დელგმაში, სანამ მეწყერი ჩამოწვებოდა, ძლიერი გასროლის ხმა გაისმაო...

შეთქმულების თეორიების მჯერა, მაგრამ უარგუმენტოდ არა. ამიტომ არ დავიწყებ მტკიცებას, სპეციალურად გაისროლა თუ არა ვინმემ იმ ღამეს მეწყერის სიახლოვეს... რასაც ადამიანთა მსხვერპლი, მატერიალური ზარალი, მოსახლეობაში პანიკა, არეულობა და მასობრივი შიში მოჰყვა.

მაგრამ საიდან გაჩნდა ქუჩებში ვეფხვების, ავაზების და სხვა მტაცებლების გამოჩენის საშიშროება, ესაა საკითხავი.

თბილისის ზოოპარკის ადმინისტრაციის ცნობით, მტაცებელი ბინადრების სია სტიქიამდე ასე გამოიყურება (13.06.2015).

მტაცებლების განყოფილება:

თეთრი ლომი - 6
ლომი - 8
ვეფხვი - 7
სერვალი - 1
მგელი - 13
ტურა - 2
ცივეტა - 1
დათვი - 13
ლეოპარდი - 2
იაგუარი - 3
აფთრისებრი ძაღლი - 1
აფთარი - 4
მელა - 3
დიდყურა მელა - 2
მილკბილა - 1

ოფიციალურად არ გამოცხადებულა, ამ მტაცებლებიდან რომელი არის დაკარგული, რომელი დამხრჩვალი, რომელი დაძინებული, რომელი გაქცეული.

არც ეს ზემოთმოყვანილი მონაცემია, მგონი, ზუსტი, რადგან ზოოპარკის ადმინისტრაცია ხან სხვას ლაპარაკობს, ხან – სხვას.

ვაზისუბანში ნანახ ორ ბელზე ზოოპარკის თანამშრომელმა თქვა: ჩვენ ბელები საერთოდ არ გვყოლიაო...

თეთრ ვეფხვ „შუმბაზე“ ცხარე ცრემლისღვრა რომ იყო ატეხილი, რატომ მოკლესო, „შუმბა“, ვინ იცის, რამდენ მილიონად უნდა გაეყიდათ. იტყოდნენ, მოკვდაო და გაყიდდნენ.

ადრეც ბოკვერები იხოცებოდნენ თუ იყიდებოდნენ, არავინ იცის. როგორც სოციალურ ქსელში ამბობენ, ცხოველთა არალეგალური ბიზნესი იყო გაშლილი ზოოპარკში.

მოგეხსენებათ, ვეფხვის და ლომის ფასი ბაზარზე ძალიან დიდია.

კომპეტენტური პირების ინფორმაციით, თეთრი ვეფხვის და ლომის ღირებულება 150000 დოლარიდან იწყება, მათი ბეწვი – 4000 დოლარია, იყიდება ძვლებიც, რომლის ფასი, სავარაუდოდ, უფრო მეტია, ვიდრე ბეწვი. ძვლის ფასი 5000 დოლარიაო, ამბობენ.

ხომ არ უწყობდა ხელს „ნაცმოძრაობა“ ზურაბ გურიელიძეს არალეგალურ ბიზნესში, მისგან წილები ხომ არ მისდიოდათ და იმიტომ ხომ არ ტირის გურიელიძე, ასე მწარედ რომ გაეჩხირა ამ შავ საქმეში?!

იმიტომაც ხომ ვერ ასახელებს ცხოველების ზუსტ რაოდენობას ზოოპარკის ადმინისტრაცია და ამიტომაცაა, რომ არ იციან, რამდენი მტაცებელი ცხოველი დაძრწის დღეს ქალაქში?!

როგორც ცნობილია, 35 000 თეთრი ვეფხვია მსოფლიოში აღრიცხული. საინტერესოა, რა გზით და როგორ ჩამოიყვანეს თბილისის ზოოპარკში ეს ზოოლოგიური იშვიათობა?!

ინკოგნიტო წყაროს ინფორმაციით, დედალ-მამალი თეთრი ვეფხვი გიგი თევზაძემ საკუთარი აარხებით შემოაყვანინა. თუ ეს სიმართლეა, რა მიზნით და რატომ შეიძლებოდა ამაზე „ეწვალა“ გიგი თევზაძეს, თავად განსაჯეთ...

ქალაქში იმაზეც ლაპარაკობენ, სააკაშვილს სპირიტიზმის სჯეროდა და მტაცებლების ბეწვით და ქონით ძალაუფლების შესანარჩუნებელ თილისმებს აკეთებინებდა და ამაში ზოოპარკის ხელმძღვანელობაც უწყობდა ხელსო...

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ და საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, ზურაბ გურიელიძე გახლავთ შპს „პოსეიდონის სამყარო“-ს მეწილე-პარტნიორი

„პოსეიდონის სამყაროს“ საიტის ცნობით, მოცემული საწარმო დაკავებულია წყალქვეშა ნადირობის ტურების გამართვითა და წყალქვეშა ნადირობისათვის განკუთვნილი იარაღით ვაჭრობით.

(https://enreg.reestri.gov.ge/main.php?m=new_index#)

საიტის ინფორმაციით, ნადირობის ტურების მოწყობა მათი ორგანიზებით შესაძლებელი არის ასევე თბილის წყალსაცავზე (ზღვაზე), სადაც ზოოპარკის გადატანას აპირებენ...

ჩნდება კითხვა: ზოოპარკის დირექტორს გურიელიძეს, რომელიც მუდმივად ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ სხვა არაფერი აინტერესებს ცხოველთა გადარჩენის გარდა, აქვს მორალური უფლება ეკავოს ზოოლოგიური პარკის დირექტორის პოსტი, როდესაც პარტნიორისა და მეწილის სახით არის ჩართული ბიზნესში? ასეა თუ ისე, კითხვის ნიშნები თბილისის ზოოპარკში მომხდარ მოვლენებთან, მის ხელმძღვანელობასა და აღურიცხავ ცხოველებთან დაკავშირებით, ბევრია.



მოეფინება ყველაფერს ნათელი, გაირკვევა თუ არა სიმართლე, როგორ, რა ვითარებაში და რატომ დაიღუპნენ ზოოპარკის თანამშრომლები, რომლებმაც, თურმე, ბრძანება მიიღეს, ვოლიერები გახსენით და წარღვნაში გაუშვით ნადირებიო, გაირკვევა თუ არა, ბოლოს და ბოლოს, რამდენი მტაცებელი იყო ზოოპარკში და გაქარწყლდება თუ არა ის ეჭვები, რაც ზოოპარკის გარშემო გაჩნდა?

ამას დრო და გარემოებები გვიჩვენებს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ნოდარ ელიზბარაშვილი:

საქართველოში გეოგრაფიის სწავლება უგულებელყოფილია, ამიტომაც ხდება ქვეყანაში ტრაგედიები

ვესაუბრებით ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს გეოგრაფიის კათედრის გამგეს, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცეპრეზიდენტს, პროფესორ ნოდარ ელიზბარაშვილს.

— ბატონო ნოდარ, როგორ შეაფასებდით 13 ივნისის მოვლენებს, იყო თუ არა რაიმე საშუალება, რაც სტიქიურ უბედურებას თავიდან აგვაცილებდა?

— პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ეს იყო ანომალიური მოვლენა, რაც იშვიათად ხდება, იმ ღამეს მეწყერი, ზვავი, ღვარცოფი, წვიმა, ხე-ტყის მოწყვეტა ყველაფერი ერთად მოხდა. სამწუხაროდ, იქ ხალხს არ უნდა ეცხოვრა, **როგორც გეგმაში იყო ათწლეულების წინ, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ქვემოთ, სადაც მდინარე ვერე ჩამოედინება, იქ უნდა აშენებულიყო კაშხალი, რომლის გარშემო იქნებოდა რეკრეაციული ზონა**. კაშხალი შექმნიდა წყალსაცავს, სადაც საწყლოსნო სპორტი განვითარდებოდა, ასევე ბაგების სტუდქალაქი და მაღლივი კორპუსი დაუკავშირდებოდა ხიდით ერთმანეთს. ეს ხიდი ააშენეს და მეტი არაფერი დანარჩენი გეგმა ვერ განხორციელდა. **ამ გეგმის მაკეტი გამოკრული იყო უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტის გასწვრივ კედელზე პირველი კორპუსის შენობაში,** ის ბევრს უნახავს. **ის იყო უნიკალური, რომელიც მთელ ამ სივრცეს ერთ მთლიანობაში აქცევდა**. სამწუხაროდ, ეს გეგმა არ განხორციელდა, რომელიც ამ მიდამოს მართლაც სტუდენტურ ქალაქად გადააქცევდა.

ყველაზე ნალექიანი დრო აღმოსავლეთ საქართველოში არის მაისი. ეს გახლავთ მშრალი სუბტროპიკული ზონისთვის დამახასიათებელი ჰავა. იმ დღეს, როცა ეს ანომალიური მოვლენა მოხდა, ამბობენ, რომ მოვიდა 80 მმ რაოდენობის ნალექი, რაც არასწორია, ჯერ ერთი, არ არის ამის გაზომვის საშუალება, იმიტომ, რომ 1700 მეტრამდეა ხეობა სიმაღლეში და მეორეც, იმ დღეს კი არ მოვიდა ეს ნალექი, არამედ იმ კვირის განმავლობაში, რომელმაც შექმნა ისეთი სიტუაცია, რომ დაამძიმა ნიადაგი წყლით და გაზარდა მიწისქვეშა წყლების რაოდენობა, რამაც წარმოშვა მიწის მოწყვეტის შანსი. **ეს მეწყერი განვითარდა ახალდაბასთან და წამოიღო 200-300 კუბომეტრი რაოდენობის ცოცხალი ხე-ტყე,** ასევე დაახლოებით 200 000 კუბომეტრი ნაშალი მასალა და მოხდა წყლის შეგუბება ამ ყველაფრის გამო. თუ მეწყერი არ განვითარდებოდა, მასშტაბები იქნებოდა სხვა. წყალი იქნებოდა დიდი, მაგრამ გავლიდა იმ გვირაბებს და ჩავიდოდა მტკვარში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 3 ივნისს უფრო მეტი ნალექი მოვიდა, მაგრამ იმ დროს მეწყერი არ განვითარდა, გაიარა ამ გვირაბებში, მაშინ სვანიძის ქუჩაზე მდებარე ჩვენი უნივერსიტეტის ლაბორატორიასთან მოხდა ამ წყლის შეგუბება, რომელმაც დატბორა იგი, მე იქ ვიყავი 4 ივნისს და ვნახე, რომ წყლის დონემ დაიწია, თუმცა, მთელი ის ტერიტორიები გაჯერებული იყო წყლით. თვითონ

ლაბორატორიაში გადაადგილება ჭირდა, სულ წყალი იდგა. პრაქტიკულად 13 ივნისამდე ამ წყალმა ვერ მოასწრო დაშრობა, გარდა ამისა, იმ დეკადაში მოსულმა ნალექებმა საკმაოდ დიდი რაოდენობის ნაშალი მასალა ჩამოიტანა ღორღისა და ტალახის სახით ხეობაში, რომელიც იქ დარჩა იმ ავადსახსენებელ ღამემდე და დაემატა იმ ჩამოსულ ხე-ტყეს. მეწყერი გადაიქცა ღვარცოფად და წყლის შეგუბება მოხდა სწორედ უნივერსიტეტის ლაბორატორიასთან, ყველაზე დაბალი წერტილი იყო ის, იქ წყლის დონემ აიწია 13 მეტრით, ეს სამსართულიანი სახლის სიმაღლეა.

— გვირაბი რომ არ ყოფილიყო წყლის გამტარად, არ მოხდებოდა ეს კატასტროფა?

— ამხელა ხე-ტყის მასა წყალდიდობას მაინც გამოიწვევდა, თუმცა ეს მოხდებოდა ქვედა ნაწილში **ანუ ორთაჭალის მხარეს და ვფიქრობ, გაცილებით დიდი იქნებოდა კატაასტროფის შედეგები, თუ ეს მოვარდნილი წყალი კაშხალს ჩახერგავდა. კიდევ ვიმეორებ, მეწყერის ჩამოწოლის წინასწარი პროგნოზირება ბუნებაში შეუძლებელია**. არსებობენ მცოცავი მეწყერები, რომელთაც თვალით ხედავ და მას წმენდენ გარკვეულ პერიოდში ერთხელ, მაგრამ **მოწყვეტითი მეწყერის პროგნოზირება პრაქტიკულად შეუძლებელია!** ამ ხეობისთვის მცოცავი მეწყერების ჩამოშლის პერიოდი არის თოვლის დნობის დრო მარტი-აპრილის დასაწყისი და არა ივნისის თვე, როცა ეს მოხდა. ცნობილია, რომ ერთ თვეში აქ შეიძლება მოვიდეს 150 მმ ნალექი, 189 მმ-იც მოსულა. ამჟამად აქ მოვიდა 80 მმ მთელ თვეში და არა ერთ დღეში, როგორც ხშირად ამბობენ.

— როგორ შეიძლება მომავალში ამ მიდამოს კვლავ აღდგენა ისე, რომ არ იყოს საშიში ეს ზონა?

— ამ საკითხს სერიოზული მიდგომა სჭირდება და არა ისეთი, რაც დღეს ხდება. ფაქტობრივად, ეს დღეები ტელევიზიით გამოდიოდნენ ის ხალხი, ვინც კრიმინალები არიან და სახელმწიფო ქონების დატაცებაში მხილებულნი — ეს დაუშვებელია!

ჩემი აზრით, ერთადერთი სწორი ვარიანტია ის, რომ უნდა აშენდეს კაშხალი იქ, სადაც იყო წლების წინ დაგეგმილი, დღევანდელი მაღლივი კორპუსისა და ბაგების ხიდის ცოტა ქვემოთ. ამ კაშხალმა უნდა იფუნქციონიროს გარკვეულ თვეებში მხოლოდ — ეს იქნება მარტი, აპრილი, მაისი და ივნისის ნახევარი. დანარჩენ პერიოდში კი მან წყალი ჩვეულებრივ უნდა გაატაროს, შემაკავებელი ფუნქცია არ უნდა ჰქონდეს.

— ბატონო ნოდარ, როდესაც ეს უბედურება მოხდა, ხელისუფლებამ აღმოაჩინა, რომ ჩვენს ქვეყანას გეოლოგები არ ჰყავს და ეს მოხდა მაშინ, როდესაც მათ უნივერსიტეტს და კერძოდ, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტს მარტყოფის სასწავლო ბაზა გაუყიდეს, ხოლო მეცნიერების ეს ფუნდამენტური მიმართულება დღემდე ქვეყნის პრიორიტეტულ მეცნიერებათა ნუსხაში არ შეიყვანეს. ამაზე რას იტყვით?

— მოგახსენებთ, ამ პროცესებში თავად ვარ ჩართული, როდესაც განათლების სამინისტრომ 14 პრიორიტეტული ფაკულტეტი დაასახელა, სადაც უფასო სწავლება, შეიძლება, უნივერსიტეტის შემდეგ დაუმატეს 7 სპეციალობა და გახდა 21, **ჩვენ ბატონი ლადო პაპავას თაოსნობით მივმართეთ განათლების სამინისტროს თხოვნით, რომ გეოგრაფია-გეოლოგიის მიმართულებაც ამ პრიორიტეტულ მეცნიერებათა ნუსხაში შეეტანათ, დღეს უკვე ყველამ თვალნათლივ დაინახა, ამ მეცნიერების საჭიროება. თუ ეროვნულ მეცნიერებებს დამისახელებთ, ეს გახლავთ ქართული ენა, ისტორია და გეოგრაფია — ეს არის ენა, მამული, სარწმუნოება**. თავის დროზე ეს მეცნიერებები კანონში იყო გაწერილი, როგორც უპირატესი დარგები. სააკაშვილის ხელისუფლებამ ეს ყველაფერი გაანადგურა, მაგრამ **ახლა რა ხდება, იცით?** დღევანდელი განათლების სამინისტროს წინაშე დავაყენეთ ეს საკითხი, მაგრამ უშედეგოდ. მეტსაც გეტყვით. ამჟამად სამინისტროში მიმდინარეობს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმების შემუშავება. **მე-5-მე-6 კლასებისათვის აქვთ გეგმა, რომელსაც ჰქვია „ჩვენი საქართველო“,** მასში გეოგრაფიის ნასახიც არ არის შეტანილი და რაც მთავარია, ის არ არის შედგენილი სპეციალისტების მიერ. ის გეგმა, რომელიც დღეს ამ სახით აქვთ, არის წინა ხელისუფლების მიერ შედგენილი, ამათ არაფერი არ შეუცვლიათ, ეს ტრაგედიაა1

— თქვენ, როგორც სპეციალისტსა და პროფესორს არ გქონდათ სურვილი, რომ დახმარებოდით მათ და შეგეთავაზებინათ თქვენი ვარიანტი?

— მე ჩემეული ვარიანტი მათ სიტყვიერად კი არ შევთავაზე, წერილობითაც გადავეცი. ძველს აღარ შევეხები, ორიოდე დღის წინაც, **18 ივნისს მიმიწვიეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჯგუფის სხდომაზე, ამ ტრაგედიის შემდეგ, კვლავ შევთავაზე მთელი უნივერსიტეტის თხოვნა სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით, მაგრამ კვლავ უგულებელყვეს ჩვენი აზრი, პასუხი ასეთია, რომ ამერიკაში ასე არ არის. რის შემდეგაც პროტესტის ნიშნად განათლების სამინისტროში სხდომა დავტოვე!** წარმოუდგენელია მათთან ერთად მუშაობა. ინტეგრირებული სწავლებაც სწორედ იმიტომ ჩავარდა, რომ აბსოლუტურ უგუნურებაზე იყო აგებული, 13 ივნისის ტრაგედიის შემდეგ, საქართველოს გეოგრაფიას რომ პრიორიტეტად არ აქცევს ქვეყანა, ეს სრული უგუნურებაა და მეტი არაფერი.

ეთერ კასრელიშვილი
599 110 200

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ომისთვის და სტიქიური უბედურებებისთვის მშვიდობიანობისას ემზადებიან!

ვერეს ხეობის კატასტროფას, სოციალურ ქსელში და სხვა მედიასაშუალებებში, უამრავი, — პოლიტიკოსი, პოლიტიკიდან წასული (თუ გაგდებული), პოლიტიკაში მოსვლის მსურველი, ე.წ. არასამთავრობოები და ვინ მოთვლის, ვინ არ გამოეხმაურა!

თავდაჯერებულ **„მწერალ-ექსპერტთა“** შორის, აშკარად გამორჩეული ფანტაზიით, ყველაზე შორს ბატონი თამაზ ჭეიშვილი წავიდა:

„შედით „იუთუბზე“ და ნახეთ, როგორ ოპერატიულად მოქმედებს ავიაცია და როგორ გამოჰყავთ შვეულმფრენებით დასაზრჩობად განწირული ადამიანები ევროპაში, ამერიკაში, რუსეთში!

ნახეთ, როგორ ეშვებიან ბაგირებით მაშველები და პირდაპირ ავტომობილის და წყალში ჩაძირული სახლების სახურავებიდან აყავთ განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანები.

უამრავი ზარი შედიოდა ვერეს ხეობიდან 112-ის ოპერატორებთან! რატომ არ მიიღეს ზომები, რატომ არ გამოიყენეს შვეულმფრენები ხალხის გადასარჩენად?

ვეკითხები ამ ხელისუფლებას, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს!

რატომ?! რატომ?!

თავმოყვარეობა რომ ჰქონდეთ, ბევრი მალალჩინოსანი უნდა გადადგეს თანამდებობიდან ამ ტრაგედიის შემდეგ! „ნაციონალურმა“ რეჟიმმა თავისი ცოდვებისთვის უნდა აგოს პასუხი, ამ ხელისუფლებამ კი დოყლაპიობისა და არაოპერატიულობისთვის!

ტალახში ღორებიც კი დააბოტებენ!

თამაზ ჭეიშვილი“

ბატონო თამაზ, არ გამიბრაზდეთ და შეურაცყოფად ნუ ჩამითვლით, რასაც ახლა გეტყვით:

—რატომ ერევით იმ საქმეში, რაზედაც წარმოდგენა არ გაქვთ?

სად ვერეს ხეობაში მომხდარი წყალდიდობით გამოწვეული სტიქია და სად უკუნ ღამეში შვეულმფრენის შესაძლებლობა?!.

—თუ ამ მთავრობის გაშავება გინდათ, სხვა, უფრო დამაჯერებელი ფაქტები შეგიძლიათ მათ გადმოულაგოთ, თუნდაც, რამდენიმე კვირის წინ, იმავე ვერეს ხეობაში, შედარებით მცირე მასშტაბის წყალდიდობა, რომელმაც ელიზბარაშვილების ცხოველთა თავშესაფარი დააზიანა!

რატომ არ ჰკითხავთ მათ, — რა ღონისძიებას მიმართეს ამ მცირე სტიქიის მიზეზების გამოსაკვლევად?

—იქნებ ეს უნდა გეკითხათ მთავრობისთვის და, — **არა შვეულმფრენები, რემბო და დევიდ ჰასსელჰოფი მოგეთხოვათ თავის „მაშველებიანათ“?!.**

—1989 წლის 19 აპრილს აჭარაში მომხდარ სტიქიას 42 ადამიანი შეეწირა. ხულოს რაიონის სოფელ წაბლანაში სოლგომანის მთა ჩამოიქცა, სამოცდაათი მეტრის სიღრმის ხეობა ამოავსო წარღვნამ და მთელი სოფელი ქვეშ მოიყოლია. მაშინდელი სტიქიის მასშტაბები გაცილებით დიდი იყო, ღმერთმა ყველა ძეხორციელს აშოროს მსგავსი!

საქართველოს ტელევიზიის **„სახალხო მეურნეობის გადაცემათა რედაქციის“** გადამღებმა ჯგუფმა ფეხით მოვიარეთ მაშინ მთიანი აჭარა (იხ. ჩემს ფეისგვერდზე **„აჭარა-ჯავახეთი“ დოკუმენტური მასალა რუბრიკიდან „ოღეს კაცსა დაეჭირვოს“** 1989წ.). მახსოვს, წაბლანის გარდა, ყველა, მეტ-ნაკლებად საშიში ადგილი გადავიღეთ და იგი საფუძვლიანი გამოკვლევის შემდეგ მივაწოდეთ ტელემაყურებელს!

—ეტყობა გული მიგრძნობდა, რაღაცა ცუდი უნდა მომხდარიყო, — 26 წლის შემდეგ, ვერეს ხეობის ტრაგედიამდე ორი დღით ადრე, 11 ივნისს გამოვიტანე, დღეისათვის ისტორიულ, დოკუმენტურ მასალად ქცეული ტელეგადაცემა ფეისგვერდზე!

ერთსულოვნება და თანადგომა იმას ჰქვია, მაშინ რომ გამოვლინდა საქართველოში!

ეს სხვა საუბრის თემაა და სხვა დროს მივუბრუნდები მას, მაგრამ, როცა წარმოვიდგენ იმ

სამაშველო ოპერაცია უცხოეთში

დღეებთან დაკავშირებულ ყველა წვრილმანს, არ მახსენდება, აჭარის რაიონების ხელმძღვანელებთან ერთად (რომლებიც მოსახლეობის დიდ ნდობასთან ერთად, ზედმიწევნით კარგად იცნობდნენ თავიანთ საგამგებლო ტერიტორიას), გეოლოგების და სეისმოლოგების გარდა, თავდაცვის, შსს-ს მინისტრი, პრემიერმინისტრი და მითუმეტეს ცეკას პირველი მდივანი (მაშინ პრეზიდენტი არ ჰყავდა საქართველოს) სადმე შეგვხვედროდეს!

—არა იმიტომ, რომ გული არ შესტკიოდათ მომხდარზე, — არა ბატონებო, მაშინ ყველა დარგს კომპეტენტური და პროფესიონალი ხელმძღვანელი ჰყავდა, გეოლოგის საქმეს გეოლოგი აკეთებდა, სეისმოლოგისას სეისმოლოგი, ექიმისას ექიმი... და ნდობა და გარანტია ერთმანეთის ადექვატური იყო!

სიტყვამ მოიტანა და არ შემიძლია ღრმა გულისტკივილი არ გამოვთქვა მიმდინარე წელს მომხდარი სტიქიური და სახანძრო კატასტროფების სიმრავლეთა გამო.

გერმანელებს, ასეთი შემთხვევებისადმი მიდგომის და თავიდან აცილების, ზედმიწევნით მისადაგი გამოთქმა აქვთ, — **„ომისთვის მშვიდობიანობისას ემზადებიან!“**

იგივე ითქმის, — **წყალდიდობაზე, ხანძარზე, მიწისძვრაზე და ზოგადად სტიქიურ უბედურებებზეც!**

წელს, კატატროფის პირველმა ზარმა ქობულეთში ჩამოჰკრა, სადაც — **„მშვიდობიანობისას დავიწყებული სამზადისის გამო“** სამი მოზარდის სიცოცხლე შეიწირა ხანძარმა!

როგორც ხანძრის მიზეზების შესწავლამ ცხადყო (იგი სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულ ვიდეოებზეც ნათლად ჩანს), ქობულეთის სახანძრო სამსახურს, თანამედროვე, ხანძარსაქრობი ტექნიკა რომ ჰყოლოდა, ჩვენი დროის უსახელო გმირები, — **„ქართველი მეხანძრეები“**, სტიქიას დაამარცხებდნენ და სამი მოზარდის სიცოცხლესაც იხსნიდნენ!

...სამწუხაროდ, მას შემდეგ, ხანძარმა, კიდევ რამდენიმე ათეული ადამიანი იმსხვერპლა, მათ შორის, ერთი მეხანძრეც!

გულმა ვერ მომითმინა და შარშანდელი სახანძრო შემთხვევების სტატისტიკა მოვიძიე ინტერნეტში.

—გაოგნებული დავრჩი შედეგით:

„2014 წელს საქართველოში ხანძრის შედეგად 68 ადამიანი დაიღუპა

საქართველოში გასულ წელს 11040 რეგისტრირებული ხანძარი დაფიქსირდა, რაც 2015 ხანძრით მეტია 2013 წელთან შედარებით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით ხანძრის შედეგად შარშან ქვეყანაში 68 ადამიანი დაიღუპა.

2013 წელს დაღუპულთა რიცხვი იყო — 48, ხოლო ტრავმირებული — 98.

2014 წელს ხანძრის შედეგად ტრავმირებული იყო 135 ადამიანი. განადგურდა 677 შენობა-ნაგებობა, ხოლო ხანძარს 82 მსხვილფეხა საქონელი ემსხვერპლა.“

იმავე წყაროზე დაყრდნობით, ისიც შევიტყვე, რომ, წელს, საქმე ***„უკეთესად“*** *მიდის, —* ***„6 თვეში ხანძარს 38 ადამიანი შეეწირა“*** *და დიდი შანსი აქვს ქვეყნის კატასტროფებისა და სახანძრო სამსახურს, შარშანდელი შედეგი* ***„გააუმჯობესოს“!***

— სიმწრის ხუმრობად ჩავთვალოთ ზემოთთქმული, მაგრამ, როგორც ვხედავთ მდგომარეობა მართლაც კატასტროფულია!

ბუნებრივია ისმის კითხვა:

— რატომ ხდება ასე?

სამწუხაროდ, დიდი ტვინის ჭყლეტა არ არის საჭირო სწორი პასუხის მისაღებად:

— უმწიფრობის, უვიცობის და ერთი ებრაული წყევლის, — ***„შენი არ იცოდე და სხვისი არ შეგესმინოსო!“*** *ქართველებზე ახდენის გამო ხდება ასე!*

აქ ვამთავრებ, ამ გულგასახეთქ, ქართულ გასაჭირზე საუბარს, როგორც ზემოთ ვახსენე, უფრო ვრცლად, უახლოეს ხანში მივუბრუნდები.

დავით ქობალია

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ნინო ჩხობაძე:

შესაძლებელია დადგეს ვერეს ხეობაში განთავსებული შენობების დემონტაჟის აუცილებლობა

„საერთო გაზეთს“ ესაუბრება მწვანეთა მოძრაობა „დედამიწის მეგობრების“ თანათავმჯდომარე, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ყოფილი მინისტრი ნინო ჩხობაძე:

— ყველა მდინარე, რომელიც თბილისში შემოდის და ისინი ბევრია თავისი შენაკადებით, საფრთხის მატარებელია, იმიტომ, რომ ესენი არიან წვიმით კვებაზე დამოკიდებული მთის მდინარეები. შესაბამისად, დიდი ოდენობით ნალექის მოსვლის დროს, ისინი დიდდებიან. მათ შორისაა კრწანისის ხევი, გლდანულა, დიღმულა, ვარაზისხევი და ა.შ. არა მარტო მდინარეები, ბევრი მშრალი ხეობაც გვაქვს, სადაც წყალი არ ჩანს და მერე უცებ ივსება.

— გამოდის, რომ მთელი თბილისი რისკის ზონას განეკუთვნება.

— რისკის ზონაშია ყველა ქალაქი, რომელსაც აქვს და თითქმის ყველა ქალაქს აქვს ასეთი პატარა შენაკადები. არ დაგვავიწყდეს, რომ მთიანი მხარე ვართ..

— რისი გაკეთებაა საჭირო, რომ მოსახლეობა ყოველი წვიმის დროს საფრთხის წინაშე არ დადგეს?

— კარგად არის შესასწავლი, რა ხდება და რა გეოდინამიკური პროცესები დაიწყო ვერის ხეობაში მდინარის შენაკადებზე, იმიტომ, რომ ბაგებშიც ჩამოწვა მეწყერი, სხვაგანაც.. შესაბამისად, უნდა შემოწმდეს ქალაქში არსებული ყველა მეწყრული ზონა, განსაკუთრებით ვერის ხეობასთან მიმართებაში. დასკვნების საფუძველზე უნდა დაიგეგმოს ინჟინრულად რას ვაკეთებთ და როგორ ვაკეთებთ.

— შესაძლებელია თუ არა, რომ დადგეს ვერეს ხეობაში განთავსებული შენობების დემონტაჟის აუცილებლობა?

— სრულიად შესაძლებელია, რომ დადგეს, იმდენად, რამდენადაც რისკები დიდია. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ ვაკეში არის ორი მეწყერსაშიში ზონა—ერთი ფალიაშვილის ქუჩაზე და მეორე ვერეს ხეობაში, ყოფილი მე-9 საავადმყოფოს ქვედა მხარეს, სადაც ამჟამად კორპუსია აშენებული და კიდევ შენდება. ვაკეში გადის ვარაზისხევიც, ვარაზისხევის სათავეში კი დგას ახალი საცხოვრებელი კორპუსი. აუცილებლად უნდა შემოწმდეს რა

მდგომარეობაშია ორივე მეწერსაშიში უბანი. უნდა დადგინდეს, როგორ მოქმედებს მშენებლობა არსებულ მდგომარეობაზე და შეფასდეს არსებობს თუ არა მოსახლეობისთვის საფრთხე.

— 13 ივნისის ტრაგედიის შემდეგ, ჭავჭავაძისა და მელიქიშვილის ქუჩებზე უზარმაზარი ორმოები გაჩნდა. ორიოდე დღის წინ, იგივე მოხდა ბარათაშვილის ქუჩაზე. ფაქტიურად, თბილისის ცენტრალური უბნების მაცხოვრებლები ყოველ დღე ახალ-ახალ ორმოებს და ჩამოშლილი გზის მონაკვეთებს აწყდებიან.

— ეს იმის მანიშნებელია, რომ ასფალტის საფარის ქვეშ მოხდა გრუნტის გამორეცხვა. მარტო ვაკის ნაწილში 42 თუ 47 მდინარე და ღელე ჩაედინება, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ, მაგრამ ეს რეალურად არსებობს. ქალაქში მაცხოვრებელი ნებისმიერი ადამიანი გარკვეული რისკის ქვეშ იმყოფება, მაგრამ გარემოს დაცვითი პროცედურები სწორედ იმისთვის არსებობს, რომ ეს რისკები მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. როცა საცხოვრებელი სახლების თუ სხვა ტიპის მშენებლობა ამ რისკების გათვალისწინების გარეშე მიმდინარეობს, ყოველთვის არის ძალიან დიდი საფრთხე.

— რა პრევენციული ზომების გატარებაა აუცილებელი მომავალში მსგავსი კატასტროფების თავიდან ასაცილებლად?

— სტიქიური უბედურებების თავიდან აცილება ნებისმიერი ქვეყნისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, მაგრამ განვითარებულ ქვეყნებში არსებობს ადრეული შეტყობინების სისტემები, რომლებსაც შეუძლიათ, რომ მოსახლეობას სტიქიის მოახლოება ამცნონ. ასეთ შემთხვევაში, ტრაგედიის თავიდან აცილება თუ არა, მასშტაბების შემცირება ნამდვილად არის შესაძლებელი. ასეთი ოდენობის და სიძლიერის მეწყერის ჩამოწოლა, რისი მომსწრეც გავხდით, ძალიან იშვიათი შემთხვევაა. ამას თან დაერთო წვიმები და კომპლექსში ურთულესი მდგომარეობა შექმნა. ალბათ, გზაზე ხალხი რომ არ ყოფილიყო, ამხელა მსხვერლი არ იქნებოდა, მაგრამ ადრეული შეტყობინების ან საგანგაშო სისტემების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა გზის გადაკეტვა და მოსახლეობის ინფორმირება, როგორც შარშან, დარიალის ხეობაში დიდი ზვავის ჩამოწოლის დროს მოხდა. ჩვენს ინსტიტუტს ყოველთვის ჰქონდა ეს წინადადება, რომ ასეთი სისტემები შექმნას?

— ჩვენ ვმუშაობთ ამაზე და ვაპირებთ ამის გაკეთებას ყვარელთან, მდინარე დურუჯის ხეობაში. მოგეხსენებათ, რომ მდინარე დურუჯი ყოველწლიურად ძალიან დიდ საშიშროებას უქმნის ყვარლის რაიონს. 10 წლის წინ ჩვენ გავაკეთეთ ადრეული შეტყობინების ხელსაწყოები და იმდროინდელ ხელისუფლებას შევთავაზეთ, რომ მომხდარიყო მისი სრულყოფა და დაფინანსება, რადგან ჩვენ ძალიან მცირე საერთაშორისო გრანტი გვქონდა, მაგრამ რატომღაც არ ისურვეს. ახლა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვთავაზობთ, რომ მოხდეს ხელსაწყოების სრულყოფა და განთავსება მეწყერსაშიშ ტერიტორიებზე. იაფფასიანი ხელსაწყოების შემთხვევაში ამის გაკეთება სრულიად შესაძლებელია. ჩვენ ერთეულ მოდელს შევქმნით და შემდეგ ამის სერიული წარმოება შესაძლებელიიქნება „დელტასთან“ ან რომელიმე სხვა ორგანიზაციასთან. ვფიქრობ, ამის განხორციელება ერთი წლის განმავლობაში სრულიად შესაძლებელია.

— „ვარდისფერი რეფორმების“ შედეგად ლიკვიდირებული რომელიმე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თუ მუშაობდა ეკოლოგიური კატასტროფების პრევენციის მიმართულებით?

— სანამ ინსტიტუტების თემას შევეხებოდე, გეტყვით, რომ დაახლოებით 20 წლის წინ ვერეს ხეობაში ყოველწლიურად ტარდებოდა მონიტორინგი. გარემოს დაცვის სამინისტროსთან იყო გეოლოგიური სამსახური, რომელიც ამოწმებდა რა მდგომარეობაში იყო ნაპირები, ჩამოშლილი იყო თუ არა, კალაპოტი ხომ არ იყო შევსებული ჩამონადენი მასისაგან და ა.შ. ეს მონიტორინგი გარკვეულ სურათს გვაძლევდა. სამწუხაროდ, ბოლო 20 წლის განმვლობაში ასეთი მონიტორინგი აღარ ჩატარებულა. ამასწინათ, საუბარი მქონდა მეწყერების დარგის სპეციალისტთან, პროფესორ ემილ წერეთელთან, რომელმაც მითხრა, რომ მონიტორინგის მოშლის შემდეგ ვერეს ხეობაზე არავითარი კონტროლი აღარ არსებობს. ეს არის ერთ ერთი მიზეზი იმისა, რომ ამხელა მსხვერპლი მივიღეთ. ვერეს ნაპირები თითქოს ემზადებოდა იმისთვის, რომ დღეს თუ არა, ხვალ ჩამოშლილიყო, ამიტომ წინასწარ უნდა მოხდეს შემოწმება, ემუქრება თუ არა ნაპირებს ჩამოშლა, დახვდება თუ არა მოსალოდნელ წვიმას ზედმეტი მასა, რომელმაც შეიძლება მდინარის დატბორვა გამოიწვიოს და ა.შ.

— სავარაუდოდ, მონიტორინგის აღდგენასაც ფული ჭირდება, მაგრამ როცა სტიქიის შედეგად ადამიანები იღუპებიან და ზარალი 100 მილიონს აჭარბებს, მაინც პრევენციაზე ფულის დახარჯვა ჯობია.

— რა თქმა უნდა, გეთანხმებით. რამდენიმე დღის წინ გვქონდა შეხვედრა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში, სადაც სწორედ ეს საკითხი დაისვა. მონიტორინგის აღდგენა ალბათ ერთ-ერთ პუნქტად შევა იმ ღონისძიებებში, რომელთა ჩატარებაც უნდა დაიწყოს. ამის გარეშე შეუძლებელია ვერეს ხეობის მოთვინიერება-გაკონტროლება და მოსახლეობის უბედური შემთხვევებისგან დაცვა. ეს საკითხი დასმულია და იმედი მაქვს, რომ მთავრობა მეცნიერების რჩევა-დარიგებას გაითვალისწინებს. რაც შეეხება ინსტიტუტების გაუქმებას, შეიძლება ამასთან კავშირში არ იყოს, მაგრამ ჩვენ გვქონდა სეისმომედეგობის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც სწავლობდა შენობა-ნაგებობების მდგრადობას. მიმაჩნია, რომ ასეთი ინსტიტუტის გაუქმება ისეთ სეისმურად აქტიურ ზონაში, როგორშიც ჩვენ ვცხოვრობთ, დანაშაულია. ჩვენ მონათესავე სპეციალობის ხალხი ვართ, ეს ინსტიტუტი ჩვენს გვერდით იყო და ვხედავდით, როგორ იფანტებოდნენ ინსტიტუტის საუკეთესო სპეციალისტები და როგორ იკარგებოდა აპარატურა. მიუხედავად იმისა, რომ რაღაც ნაწილი სამხარაულის ექსპერტიზის ეროვულ ბიუროში გადაიყვანეს, სპეციალისტების ძირითადი მასა დაკარგულია. ახალი თაობის სპეციალისტებისა და ახალი აპარატურის მოძიება კი საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მე მოვახერხე, რომ ორი ადამიანი ჩვენს ინსტიტუტში მიმეღო და ვცდილობ მესამესთვის გამოვნახო ადგილი. გვინდა, რომ რაღაცნაირად დავიწყოთ ამ დარგის აღორძინება, რომ ეს აუცილებელი და საჭირო საქმე არსებობდეს და ფუნქციონირებდეს.

13 ივნისის კატასტროფიდან კვირაზე მეტი გავიდა, თუმცა ქალაქის სხვადასხვა უბნებიდან ისევ მოდის საგანგაშო ინფორმაცია ჩამოშლილი გზებისა თუ ჩამონგრეული სახლების შესახებ. ბოლო ინფორმაციით, დიღომში ჩამოინგრა 13 ივნისს მდინარე დიღმურას ადიდების შედეგად დატბორილი სახლები.

ნელი თორდია
571 35 36 88

მსოფლიო ჯრჯასის მიხედვით

რატომ არის საბერძნეთის ერახი ევროკავშირის ერახიც?

თუკი ათენი საერთაშორისო კრედიტორებთან შეთანხმებას ვერ მოახერხებს, ქვეყანას ემუქრება სრული დეფოლტი და მისი თანამდევი პრობლემების სრული სპექტრი, ევროზე უარის თქმა, ევროკავშირიდან გამოსვლა. ეს იქნება არა მარტო ევროპული იდეის კატასტროფა, არამედ მთელი ევროპული ეკონომიკის კოლაფსი.

რამდენიმეთვიანი მოლაპარაკება და კამათი საბერძნეთსა და მის ევროპელ კრედიტორებს შორის ჩიხში მოექცა. საბერძნეთი უარს ამბობს, დააკმაყოფილოს კრედიტორთა მოთხოვნები, რომლებიც პენსიონერებისთვის – პენსიის, საჯარო მოხელეებისთვის ხელფასების შემცირებას, სამედიცინო მომსახურებასა და ელექტროენერგიაზე დღგ-ს გაზრდას მოითხოვს

ევროპის მოთხოვნები, რომლებიც თითქოს გარანტია იქნება იმისა, რომ საბერძნეთმა შეძლოს მოემსახუროს თავის საგარეო ვალებს, თავხედური და გულუბრყვილოა და თავისი შინაარსით – დამანგრეველიც, – აცხადებენ ექსპერტები. ბერძნები ამ მოთხოვნების უარყოფით კი არ თამაშობენ, ცდილობენ, თავი გადაირჩინონ, – აცხადებს კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯეფრი საქსი. ახლა ბევრს ლაპარაკობენ წარსულში საბერძნეთის ეკონომიკური პოლიტიკის, მისი ეკონომიკის არაკონკურენტუნარიანობის, ევროზონაში შესვლის გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმ შეცდომებზე, რომლებიც ევროპულმა ბანკებმა მისი მთავრობის ჭარბი კრედიტების გაცემით დაუშვეს. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა მართლაც სავალალოა: 2009 წლიდან, ანუ კრიზისის დაწყებიდან, საბერძნეთის მთლიანი შიდა პროდუქტი 25 პროცენტით შემცირდა, ასეთივე მაჩვენებელია ზოგადი უმუშევრობისა, ხოლო ახალგაზრდებს შორის – 50 პროცენტი. ხელისუფლება გადახდისუუნაროა, ხალხი შიმშილობს. ასეთ სიტუაციაში **ევროკავშირს უნდა აშინებდეს სიღატაკე მის ტერიტორიაზე, მისი შესაძლო მომაკვდინებელი შედეგები და გავლენა როგორც პოლიტიკაზე, ისე მთელს კონტინენტზე.**

სამწუხაროდ, კონტინენტი ძველებურად დაყოფილია თემობრივი საზღვრებით. მაგალითად, გერმანელებს, სლოვაკებს ან ჰოლანდიელებს სულაც არ ანაღვლებთ ბერძნების გასაჭირი. მათი პოლიტიკური ლიდერები მიისწრაფვიან თავიანთი ეროვნული ინტერესების რეალიზაციისკენ და არა საერთოევროპულისკენ. რასაკვირველია, ევროპელი პოლიტიკოსები ბრძები არ არიან და მშვენივრად ხედავენ, თუ რა ხდება საბერძნეთში. როცა ეს კრიზისი დაიწყო, საბერძნეთის ევროპელმა კრედიტორებმა უარი თქვეს ჩამოეწერათ ვალები და მაღალი პროცენტები დაუწესეს იმ თანხებზე, რომლებიც ქვეყნის დასახმარებლად გამოიყო. ამით საბერძნეთს პრობლემები მოუმრავლდა, რადგან პოლიტიკოსების წნეხის ქვეშ მოექცნენ როგორც კერძო ბანკები, ისე ობლიგაციების სხვა მფლობელები, რომლებსაც მოთხოვნების დიდი ნაწილის ჩამოწერა მოსთხოვეს. კრიზისის თითოეულ ეტაპზე პოლიტიკოსები აკეთებდნენ მხოლოდ იმას, რაც მათ კონკრეტულ შიდაპოლიტიკურ სიტუაციაში შეეძლოთ და მეტს არაფერს.

იმის ნაცვლად, რომ პოლიტიკური წინააღმდეგობანი დაეძლიათ, ევროპის ლიდერები პატივმოყვარულ, უაზრო რიტორიკას ამოეფარნენ. ერთნი დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ საბერძნეთმა ყველა საგადასახადო ვალდებულება შეასრულოს, მისი ჰუმანიტარული და ეკონომიკური შედეგების მიუხედავად. სხვები თავს ისე აჩვენებენ, თითქოს ადარდებთ ვალების ჩამოწერის მორალური შედეგები. არადა, ევროკავშირის დაჟინებული მოთხოვნით, ქვეყნის კერძო სექტორს უკვე ჩამოაწერეს ვალები და გადახდისუუნარო ქვეყნებისთვის ვალების რესტრუქტურიზაციის ათეულობით მაგალითიც არსებობს.

როგორც ჩანს, ევროპის ზოგიერთი ქვეყანა აპირებს საბერძნეთის აშკარა დეფოლტამდე მიყვანას და ევროს ზონიდან მისი გამოსვლის პროვოცირებასაც ახდენს. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ამით შეძლებენ სიტუაციის გაკონტროლებას, არ შეიქმნება პანიკა და პრობლემაც ლოკალიზებული იქნება. არადა, არსებობს იმის მაგალითებიც, თუ რა სავალალო შედეგები გამოიწვია „საჩვენებელმა გაკვეთილმა“ ბაზრისთვის – ასეთი უგუნურების მაგალითია ამერიკის ფინანსთა მინისტრ ჰენკ პოლსონის 2008 წელს მიღებული გადაწყვეტილება ბანკ **Lehman Brothers**-ის ბანკროტად გამოცხადების შესახებ. ეს მართლაც იყო გაკვეთილი, ოღონდ პოლსონის მონუმენტური შეცდომის ნანგრევებიდან ამოსვლა დღემდე ვერ ხერხდება.

იმისათვის, რომ საბერძნეთის პენსიონერებს რაღაც წაართვან, საბერძნეთის **ევროპელი კრედიტორები დღეს თითქოს მზად არიან უარყონ თავიანთი საზეიმო ფიცი იმის შესახებ, რომ ევრო შეუცვლელი ვალუტაა და მისი გაუქმება – წარმოუდგენელი. თუ ისინი აიძულებენ საბერძნეთს გამოვიდეს ევროზონიდან, მსოფლიო აღარასოდეს დაიჯერებს ევროს სამომავლო სტაბილურობას.** ევროზონის სუსტი წევრები, სულ მცირე, ბაზრის გაძლიერებულ წნეხს იგრძნობენ; უარეს შემთხვევაში კი მათ მოცელავს პანიკა, ბანკებიდან გაქცევა, მოხვედრა ახალ მანკიერ წრეში, რომელიც აღდგენის გზაზე დამდგარ ევროპულ ეკონომიკას დაანგრევს. ისეთ დროს, როცა **რუსეთი გამოცდას უწყობს ევროპის აღმოსავლეთით გაფართოების გეგმებს, ძნელია მოიფიქრო ყველაზე ცუდი მომენტი ასეთი სახიფათო თამაშისთვის.**

რუსეთი და საბერძნეთი შეესაძლოა გაერთიანდნენ იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ დასავლეთის სანქციები. ორივე ქვეყნის ლიდერები ფიქრობენ იმ ერთობლივ ღონისძიებებზე, რომლებიც თავს დააღწევენ სანქციებსა და მეზობლების საყვედურებს. გასულ კვირას რუსეთს საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი სტუმრობდა, რათა ხელი მოეწერა გაზსადენის მშენებლობის ხელსაყრელი შეთანხმებისთვის; სავარაუდოდ, ემსჯელათ იმაზეც, რა შეუძლია გააკეთოს საბერძნეთმა, როგორც ევროკავშირის წევრმა, რუსეთის წინააღმდეგ გამოცხადებული სანქციების შესარბილებლად.

პეტერბურგში, საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე გამოსვლისას ალექსის ციპრასმა განაცხადა: „ახლა ჩვენ ვიმყოფებით შტორმის შუაგულში. თუმცა ჩვენ ვართ ზღვაოსანთა ერი, რომელმაც იცის და რომელსაც შესწევს კიდეც ძალა გაუმკლავდეს შტორმს, არ შეშინდეს და გაემგზავროს ახალი ზღვებისა და ახალი ნავსაყუდელებისკენ“.

ბევრი ექსპერტის შეფასებით, ეს გამოსვლა იყო თხოვნა რუსული კრედიტის შესახებ, რომლითაც ათენი გადაიხდიდა ვალის პროცენტებს. თუმცა რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განაცხადეს, რომ პუტინთან შეხვედრისას ციპრასს არ უთხოვია პირდაპირი ფინანსური დახმარება.

მიუხედავად ამისა, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა შინ გაიყოლა 2,77-მილიარდიანი შეთანხმება რუსეთის მეგაპროექტთან მიერთების შესახებ. იგულისხმება გაზის ნაკადის ახალი გზა თურქეთის გავლით – უკრაინის გვერდის ავლით.

ორშაბათს გაიმართა ევროკავშირის რიგგარეშე სამიტი, რომელზედაც იმსჯელეს საბერძნეთის ფისკალური კრახის თავიდან აცილების საშუალებებზე და, თუ საბერძნეთი უარს იტყვის ევროზე, ევროზონის სხვა ქვეყნების ეკონომიკების დამცავ ღონისძიებებზეც.

თუკი რუსეთი საბერძნეთს რამენაირად დაეხმარება, კრემლს ეს სარგებელს მოუტანს: შესაძლოა, ათენმა შეძლოს და დაარწმუნოს ევროპის საფინანსო ინსტიტუტები, ხმა არ მისცენ სანქციების გაგრძელებას, რომლის ვადა ივლისში იწურება. ციპრასმა უკვე მკვეთრად გააკრიტიკა ის სანქციები, რომლის საპასუხოდაც რუსეთმა ევროპულ სურსათზე ემბარგო გამოაცხადა.

ბევრი ექსპერტის შეფასებით, შესაძლოა, საბერძნეთი ამ სიტუაციისთვის ყველაზე შესაფერის გადაწყვეტილებას იღებს, რადგან მას პასუხისმგებლობა აკისრია საკუთარი მოქალაქეების წინაშე. საბოლოო შედეგით კი, არჩევანს აკეთებს არა საბერძნეთი, არამედ – ევროპა.

ვაშინგტონს ეშინია, რომ ათენი მოსკოვის ბანაკში აღმოჩნდება. ვიდრე საბერძნეთის მთავრობა თავის კრედიტორებთან კინკლაობდა, ობამას ადმინისტრაცია ყველაფერ ამას ძირითადად თვალს ადევნებდა. აახლა კი, როცა ათენი გაბანკროტების რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, ამერიკის შეერთებული შტატებიც ღელავს კრიზისის გამძაფრების პოლიტიკური შედეგების გამო და იმიტომაც, რომ რუსეთმა შესაძლოა გააძლიეროს თავისი გავლენა ქვეყანაზე, რომელიც ნატოს წევრია.

ისეთ დროს, როცა ვაშინგტონი ცდილობს, დასავლეთში შეინარჩუნოს ერთიანობა რუსეთის მიმართ სანქციების გამო, საბერძნეთის დეფოლტი შანსს აძლევს მოსკოვს, წამოიწყოს ახალი პროვოკაციები განხეთქილების ჩამოსაგდებად ამერიკის ევროპელ მოკავშირეებს შორის.

სასურველი არ არის, ევროპამ საქმე იქონიოს ნატოს წევრ საბერძნეთთან, რომელმაც უცებ მოიძულა დასავლეთი და ახლა რუსეთის გულის მოგებას ცდილობს. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ეს იქნება საჩუქარი რუსეთისთვის, – აცხადებს **Council on Foreign Relations**-ის ექსპერტი სებასტიან მოლები.

უკვე რამდენიმე თვეა, ობამას ადმინისტრაცია ცდილობს დაიყოლიოს გერმანია და ევროკავშირის სხვა ქვეყნები, გამონახონ გადაწყვეტილება საბერძნეთთან კამათის დასამთავრებლად. მართალია, ამ მოლაპარაკებებში უმთავრესია ეკონომიკური მოსაზრებები, მაგრამ დიპლომატთა თქმით, ამ შეხვედრებისას აქცენტი კეთდება ევროკავშირის პოზიციაზეც უკრაინასთან დაკავშირებით.

ალექსის ციპრასის ახლანდელმა ვიზიტმა ყველას შეახსენა საბერძნეთის ამჟამინდელი მთავრობისა და რუსეთის კავშირები, აგრეთვე გაამძაფრა ვარაუდი იმისა, რომ მოსკოვი მზად არის ათენს სერიოზული ფინანსური დახმარება გაუწიოს.

არ არის გამორიცხული, დეფოლტის შემთხვევაში, გაჭიანურებულმა ეკონომიკურმა არასტაბილურობამ გააძლიეროს ბერძნული ელექტორატის მტრული დამოკიდებულება დანარჩენი ევროპის მიმართ. ეს კი საბერძნეთზე რუსეთის გავლენის გაძლიერებას ნიშნავს.

ათენს სულ ერთი კვირა რჩება იმისათვის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდს მორიგი საკრედიტო ტრანში – 1,6 მილიარდი ევრო გადაუხადოს. სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებლის განცხადებით, საბერძნეთს გადასახადებს არ გადაუვადებენ. თუ ქვეყნის ხელისუფლება 30 ივნისამდე ამას ვერ მოახერხებს, საბერძნეთს დეფოლტი არ ასცდება.

საბერძნეთის ხელისუფლება მოლაპარაკებებს მართავს ევროკომისიასა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თავის საგარეო ვალთან დაკავშირებით, რაც დღესდღეობით 240 მილიარდ ევროს შეადგენს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №22


სტალინი

სტალინი – მაგია, ოკულტიზმი და ლურჯი ზეცა

კიროვის სიკვდილის შემდეგ გურჯიევი ჩამოვიდ და. სტალინს თავისი ახალი გამოცემული წიგნი აჩუქა. მან მეგობარს უთხრა, რომ პარიზთან ახლოს დააარსა „ადამიანთა ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტი“. წევრები ეწეოდნენ გაუსაძლის შრომას, ეძინათ მხოლოდ 3-4 საათი. ბევრმა ვერ გაუძლო და დაიღუპა. ვინც გადარჩა, უსიტყვოდ, უპირობოდ ემორჩილებოდნენ მას. ინიციაციაც გაიარეს. ასევე უთხრა, რომ სახელმწიფოს მხოლოდ ერთი კაცი უნდა მართავდეს, აკონტროლებდეს, დანარჩენი მხოლოდ შემსრულებლები უნდა იყვნენ და უპირობოდ ემორჩილებოდნენ ხელმძღვანელს. სტალინმა ეს მოდელი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისთვის გამოიყენა.

სტალინს ოკულტური პრაქტიკის ახალი ინტერესი გაუჩნდა, რა დოზით შეიძლებოდა ფოტოთი ადამიანებზე ზემოქმედება. იმის დადგენაც, ცოცხალი იყო თუ არა პიროვნება და სხვა საკითხები, რომელიც ფოტოებთან იყო კავშირში. ჩეკისტებმა მოიძიეს სპეციალისტები და დაიწყეს საიდუმლო ლაბორატორიაში კვლევა. ლაბორატორიაში ათასობით ფოტო გამოიკვლიეს. დასკვნებიც დაიდო, მაგრამ სტალინი ერთით დაინტერესდა – ლენინის ფოტოზე, რომელიც სიკვდილამდე ერთი წლით ადრე იყო გადაღებული, უცნაური შავი ლაქა ჩანდა, რომელიც ადამიანს წააგავდა, სტალინმა სახის ამოცნობა და ფოტოს დამუშავება მოითხოვა, შედეგმა ყველა გააოგნა. ლენინის ფოტოზე ასტრალური ორეულის სახე გამოიკვეთა. სტალინი დარწმუნდა, რომ ფაქიზ სამყაროში არსებობდა „მაკონტროლებელი“, რომლის ძალასაც ვერ გააკონტროლებდა, მხოლოდ მინიშნებების მიღება და გაშიფვრა იყო შესაძლებელი. ასტრალური ორეული ლენინს ერთი წლით ადრე სიკვდილის მოახლოებას „უპატაკებდა“. ლაბორატორია დაიხურა და კვლევის მონაწილეებიც ფიზიკურად განადგურდნენ.

1939 წელს სტალინის „დაცვის“ ესტაფეტა მსოფლიოში ცნობილი, გიპნოზიორი და წინასწარმეტყველი ვოლფ მესინგის ხელში გადავიდა. ჰიტლერისგან უკვე შერისხული მესინგი რუსეთის ტერიტორიაზე გასტროლებით ირჩენდა თავს. მის შესახებ, რაღა თქმა უნდა, ბელადს მოახსენეს. სანამ შეხვდებოდა, ჩეკამ გამოსცადა. მესინგი შევიდა ბანკში, მოლარეს ცარიელი ფურცელი მიაწოდა, ამ უკანასკნელმა სეიფიდან მსხვილი კუპიურების რამდენიმე შეკვრა გადასცა. სპეცსამსახურის თანამშრომლები გაოგნდნენ. მესინგმა მოლარეს თანხა უკან დაუბრუნა და როცა „ჩეკს“ დახედა, გულის შეტევით საავადმყოფოში გადაიყვანეს. სტალინთან აუდიენციაზე მიყვანილ მესინგს დაცვამ სთხოვა, სანამ საშვს გამოწერდნენ, მანქანაში დარჩენილიყო. მესინგმა კი უპასუხა, რომ საშვის გარეშეც შეეძლო მოხვედრილიყო სტალინთან. მან უპრობლემოდ გაიარა დაცვის პუნქტები და სახელმწიფო აგარაკზე მყოფ მასპინძელთან უპრობლემოდ აღმოჩნდა სამუშაო ოთახში – დაცვა, გიპნოზის საშუალებით დავარწმუნე,რომ ბერია ვიყავი, – უთხრა მესინგმა. სტალინი ცდილობდა, არ შეემჩნია გაოცება, ენერგოზემოქმედებასაც შეეცადა, თუმცა თავი მომენტალურად ასტკივდა, მიხვდა ტელეპატიაში და გიპნოზში მესინგთან ბრძოლას აზრი არ ქონდა. მესინგმა უთხრა, 22ივნისს გერმანიასთან ომი დაიწყებოდა და ამ ომში სსრკ გაიმარჯვებდა. ბელადმა საუბარი მალე დაასრულა. დაცვა გაოფრთხილა, საშვის გარეშე არავინ გაეშვათ, აივნიდან ადევნებდა თვალს, როგორ აცილებდნენ მხედრული სალმით მესინგს მისი დაცვის წევრები. მათი ურთიერთობა შედგა. სტალინს ესმოდა, რომ ომის მოგება არ იქნებოდა იოლი. მესინგი, ჰიტლერის მტერი იყო სტალინი. თავისი მტრის მტერთან დამეგობრების აუცილებლობა მინიშნებათ ჩათვალა და არა მარტო ომის საკითხებს განიხილავდა მასთან ერთად... მესინგი არა მხოლოდ სულიერ დახმარებას უწევდა, ომის მსვლელობის დროს თავისი დანაზოგით შეიძინა და წითელ არმიას გადასცა იაკ–9, რომელსაც მისი სახელი და გვარი ეწერა და მაგიურად დამუხტული თვითმფრინავის გამოჩენა შიშის ზარს სცემდა მტრის დანაყოფებს, მას სსრ კავშირის

სპირიტული სეანსი

გმირი კოვალიოვი მართავდა... მესინგმა ზუსტად იწინასწარმეტყველა ომის დასრულების თარიღიც. გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ თვითშეფასების უნარი დაკარგა სტალინმა და ჩათვალა, რომ ყოვლისშემძლე იყო... ამპარტავნობას კი უზენაესი ძალები არ პატიობენ. მესინგთან შეხვედრა ყოველთვის მისი ინიციატივით ხდებოდა,1948 წელს მოახსენეს, რომ მასთან სასწრაფო აუდიენციას ითხოვდა ვოლფი – შენი შვილი ხვალ ხოკეის ამხანაგურ მატჩზე მიფრინავს, სვერდლოვსკში. უთხარი, რომ მატარებლით წავიდეს, თითქმის ბრძანების ტონით უთხრა მესინგმა. ბელადი ამ ტონმა გააღიზიანა და პირველი ბზარიც გაჩნდა... მეორე დღეს აღნიშნულმა თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა.ყველა დაიღუპა. ვასილი კი რამდენიმე გუნდის წევრთან ერთად, რომლებიც მასთან ერთად მატარებლით მგზავრობდნენ, გადარჩნენ... მესინგის ძალას სტალინი დიდ პატივს სცემდა, მაგრამ, სხვადასხვა წყაროების ცნობით, მას ურთიერთობა დაეძაბა გურჯიევთან, რომელმაც ყველაფერი ასწავლა „ხეზე ასვლის გარდა“. სარწმუნო წყაროებით, მან გურჯიევს ავარიაც კი „მოუწყო“. გიორგის ასამდე მოტეხილობის მიუხედავად, გონება არ დაუკარგავს თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობას დიდხანს ასწორებდა. მესინგის რჩევებსაც აღარ ითვალისწინებდა ამპარტავნობის სენით შეპყრობილი სტალინი. ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ მისი გონების დასაბინდად სერიოზული შავი ძალები იყვნენ დაკავებულები. ლვოვაც ევროპაში იყო გაქცეული, მან კი მისი ისეთი დეტალები იცოდა, რომელიც ამარტივებდა მაგიური რიტუალით სტალინის განადგურებას. 1953 წელს, როდესაც სამთავრობო აგარაკზე ფოსტას არჩევდა, მატერიაში გახვეული გზავნილი მიუტანეს. გახსნა. იქ გურჯიევის წერილი და კავკასიური ხანჯალი იდო. არადა, გიორგი 4 წლის გარდაცვლილი იყო უკვე.


ვოლფ მესინგი

„მშვიდობით, შენ მიაღწიე დიდ წარმატებას, მაგრამ ვერ გახდი ზეადამიანი“, –წერდა მეგობარი და მასწავლებელი. მიხვდა, ყველაფერი დასასრულს უახლოვდებოდა, ეს პირდაპირი მინიშნება იყო. წერილი სიცოცხლეში ჰქონდა დაწერილი და აღნიშნულ დროს მივიდა ადრესატამდე. ნანობდა თუ არა რამეს, ან რას ფიქრობდა სტალინი იმ დროს, ძნელი სათქმელია. მისი ფიქრი ისევ დაუპატიჟებლად მოსულმა სტუმარმა გაფანტა. მესინგი იყო, გაბრაზებული ეკითხებოდა, რატომ არ მობეზრდა „კუდიანებზე ნადირობა“. მიზეზი ცნობილი ”ექიმების საქმე იყო“. ვოლფი რამდენიმე ექიმის სასჯელიდან გათავისუფლებას სთხოვდა. სტალინი კი ჯერ ისევ გურჯიევის გზავნილის ელდიდან არ იყო გამოსული და შეცდომას შეცდომა დაამატა:

„შენიანები არიან, ებრაელები, ამიტომ წუხხარ, მათ ბედს შენც გაიზიარებ, თუმცა შენ ხომ წინასწარმეტყველი ხარ და ალბათ იცი, როდის მოკვდები“.

„შენს შემდეგ“, – უპასუხა მესინგმა.

– მე როდის მოკვდები? – ძალიან მალე, ებრაელების დღესასწაულის დასრულებამდე.

სტალინი წამოიწია და მოცელილი დავარდა...

ისტორიკოსები დღემდე დაობენ, მოკლეს თუ მოკვდა. ყველა ვერსიას აქვს არსებობის უფლება, ხრუშჩოვსაც ბრალდებოდა, ბერიასაც, თითქოს საიდუმლო ლაბორატორიაში, რომელიც მაშინ მოქმედებდა, იყო ის საწამლავი დამზადებული, საეჭვოდ მიიღო ბელადის გარდაცვალებიდან ორ კვირაში ჩერჩილმა რაინდის წოდებაც... 1974 წელს მესინგს ბიოგრაფი ალექსანდრე ხარკოვსკი ესტუმრა. კითხვაზე, დააჩქარა თუ არა სტალინის სიკვდილი მისმა ვიზიტმა სამთავრობო აგარაკზე, მესინგმა უპასუხა: –შესაძლოა, თუმცა ამას ახლა არავინ დაიჯერებს. აქტუალობა სტალინის გარდაცვალების საკითხს დღესაც არ დაუკარგავს. რუსეთში ხშირად იმართება სატელევიზიო დისკუსიები. ყველა ვერსიას აქვს არსებობის უფლება, თუმცა პრივატულ საუბარში ეზოთერიკის ერთმა სპეციალისტმა, ეროვნებით რუსმა მითხრა: ერთი მიზნის გარშემო გაერთიანებული ძალებით, სხვადასხვა მაგიური ორდენების დახმარებით, წერტილოვანი, ზუსტი ენერგეტიკული დარტყმების საშუალებით გაანადგურეს.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

(გაგრძელება იქნება)

ციურიხის გენეალოგიური ცენტრის სენსაციური დასკვნა:

ტუტანჰამონი და სხვა ეგვიპტელი ფარაონები კოლხები იყვნენ?!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №8-21

კარტოგრაფია და კოლხები

კარტოგრაფია არის მეცნიერება ობიექტური სინამდვილის საგნებისა და მოვლენების კონკრეტული სივრცის და მისი დროის მიხედვით ცვალებადობის შესახებ. მისი სახისთვის კარტოგრაფია იყენებს სპეციფიკურ ხელოვნურ ნიშნობრივ სისტემას „რუკის ენას“ და სპეციფიკურ მეთოდს – კარტოგრაფიულ მოდელირებას.

რა ინფორმაციაც ჩვენამდეა მოღწეული, მისი მიხედვით, პირველი გეოგრაფიული რუკა და კოსმოსის გეოცენტრული მოდელი შექმნა-შეადგინა თალეს მილეთელის მოწაფემ ანაქსიმანდრემ (ძვ. წ. 610-546). ყველა ძველ ხალხებს ჰქონდათ რუკის მსგავსი ჩანახაზები, მაგრამ ეს რუკები მოკლებული იყო მეცნიერულ საფუძველს, რადგან რუკა რომ გამოიხატოს, როგორც რეალობის სწორი ამსახველი დოკუმენტი, იგი აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს მათემატიკურ მეთოდებს. ამდენად, გეოგრაფიაში მათემატიკურ-კარტოგრაფიული მიმდინარეობის პირველი შემქმნელია ერასტოსტენე კირენელი (ძვ. წ 276-194), რომელიც გეოგრაფიული მათემატიკის ფუძემდებელია, მან პირველმა გაზომა დედამიწის მერიდიანის სიგრძე.

კარტოგრაფიული აზროვნების მწვერვალს წარმოადგენს კლავდიოს პტოლემეს (დაახლ. 90-168 წწ) შრომები. მისი მთავარი გეოგრაფიული შრომაა „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“ 8 წიგნად. ერთის მხრივ, პტოლემე გეოგრაფიას ასტრონომიული თვალსაზრისით მიუდგა, მეორე მხრივ, ცდილობდა მისთვის ცნობილი სამყარო დაეტანა რუკაზე. ნაშრომს ახლავს დედამიწის ზედაპირის 27 რუკა. ცხადია, პტოლემე კლავდიოსის შედგენილ რუკაზე კარგად ჩანს კოლხეთი...

პირველი აერო-გადაღება დაფიქსირდა 1858 წელს დიდი ფრანგი გამოგონებლისა და „ფოტომემატიანის“ სახელით ცნობილი გასპარ ფელიქს ტურნაშონის (ფსევდონიმი „ნადარი“) მიერ. მან პირველი აერო-ფოტო გადაიღო საჰაერო ბურთიდან და აღბეჭდა პარიზი.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, რომ კოლხები მამაცი ზღვაოსანი, გემთმშენებლები და კარტოგრაფები იყვნენ. მათ კაცობრიობის ისტორიაში პირველებმა დაიწყეს ვეშაპზე ნადირობა და მისი ხორცისა თუ ქონის გამოყენება. კოლხების ხომალდები დიდი არ იყო, მაგრამ სწრაფმავალები იყო და თავისუფლად დაცურავდნენ ზღვებსა და ოკეანეებზე. კოლხები შესანიშნავად ფლობდნენ ასტრონომიას, იცოდნენ ციური სხეულების გადაადგილების ურთულესი კანონები და მათი საშუალებით კარგად იკვლევდნენ გზებს წყალზე.

ცნობილი გერმანელი გეოგრაფი კარლ რიხტერი (რიტერი) წერს: კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პატივდება სრულებით არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს, ვინაიდან ბევრად უფრო დიდი ხნით ადრე ხმარებაში იყო კოლხ მოგზაურთა შორის.“

თეოლოგიური მითოლოგიის მიხედვით, კოლხეთი მზის ღმერთის ჰელიოსის შვილის სამეფოა. ამ ჯაჭვის მიხედვით, კოლხეთის მეფის, აიეტის მამა ჰელიოსია, რომელიც მსოფლიოს ანათებს...

კოლხურ კოსმოგენურ ეპოსს ათასწლეულებია საიდანღაც მოაქვს, რომ ციური მნათობები, მზე და მთვარე მათი დედ-მამაა, ვარსკვლავები კი მათი და-ძმა, რამაც გააჩინა ჰიპოთეზა (სხვა ყველაფერ ზემოთთქმულთან ერთად), თვით კოლხები ხომ არ იყვნენ იმ ხალხის პირდაპირი შთამომავლები რომლებიც „ციდან ჩამოვიდნენ“?

ბოლივია – პუმა-პუნკუ

აამერიკელი უფოლოგები ამტკიცებენ, რომ კაცობრიობამ „ცხოვრება ისწავლა“ ძველი შუმერებისგან, რომლებიც ჩვ. წ.აღ-მდე 5500 წლის წინ ცხოვრობდნენ; რომ მათ თიხის ფირფიტებზე ყველაფერი წერია ჩვენი წარმოშობის შესახებ და ისინი ყველაფერზე ამომწურავ ცნობებს ფლობდნენ; რომ შემერთა ნახატებში ჩანს ობიექტი, რომელიც უცხოპლანეტელთა ხომალდია და სწორედ ეს უცხოპლანეტელები მართავდნენ შუმერს; სწორედ მათი ასო-ნახატებისგან ირკვევა ის „ამბავი“, რომ შუმერებმა „აუნაკის“, „ანუ ნაკის“ – „ციდან დაშვებულ(ებ)ისგან“ ისწავლეს ყველაფერი და მთელ მსოფლიოს გაუზიარეს; რომ სწორედ ქალაქ ერედუში დაეშვა ციდან პირველი სამეფო ხელისუფლება...

ბადია სოფია: – „სწორედ იმ პერიოდში, 5500 წლის წინ და კიდევ უფრო ადრეც, აღნიშნულ ტერიტორიებზე მეგრულ-ლაზურ (ქართულ) ენაზე მოლაპარაკე ხალხები ცხოვრობდნენ. სწორედ ქალაქ ურისთან მდებარეობს მსოფლიოს უძველესი ძეგლი მთვარის ღმერთის „ნანას“ (მეგრელთა ღმერთის) ტაძარი, რომელიც აგებულია ჩვ. წ. აღ-მდე ოცი საუკუნით ადრე...“

პუმაპუნკუ

კომპლექსი ანდებში, ტიტიკაკას ტბის მახლობლად, გრანიტისა და ანდეზიტის მეგალითებისგან არის აგებული „რაღაც“, რასაც ვერანაირ დანიშნულებას ვერ აწერენ. ის სასწაული სიზუსტითაა ნაგები და დამუშავებული, რაც მხოლოდ მანქანური წესითაა შესაძლებელი – მეგალითების ზედაპირი ისეთი გლუვია, ისეთი ნიშები და ნახვრეტები აქვს გაკეთებული, სხვაგვარად წარმოუდგენელია. ვინ ან რა ძალამ ააგო კომპლექსი, რატომ, რა დანიშნულებისთვის, პასუხი არ არის მოძებნილი, მხოლოდ ის არის დადგენილი რომ იგი ჩვ.წ.აღ-მდე 17 000 წელს იქნა აგებული. ბოლივიელმა მეცნიერმა არტურ პოზნანსკიმ გამოთქვა ვარაუდი, რომ პუმაპუნკუ საკულტო ნაგებობა იყო და თავისი თეორიის დასამტკიცებლად ასტრონომიული მოწყობილობები გამოიყენა. მართლაც, გაზაფხულის პირველ დღეს მზე ზუსტად დგება კომპლექსის ცენტრის თავზე და მისი სხივები ქვის თაღში გადის. პოზნანსკიმ გამოთვალა მზის ამოსვლის წერტილები ჩვ.წ.აღ-მდე 17 000 წლის წინ ბუნიობის დღეებში და ეს ზუსტად დაემთხვა კომლექსის კუთხეებს.

პუმაპუნკუ 8-10 მეტრიანი, ასობით ტონიანი ბლოკებით არის აგებული და მეგალითებში გაკეთებულია ნახვრეტები. აქვეა „ჰ-ის“ ფორმის სამაგრები, დამზადებული ბრინჯაოს, ნიკელისა და თუთიის უნიკალური შენაერთიგან, რომლითაც ეს ბლოკები ერთმანეთთან ისე იყო მიერთებული, რომ ფურცელი ვერ შეცურდებოდა. თვალსაჩინოა, რომ ვინც ეს კომპლექსი ააგო, იცოდა რა არის ნახაზი, ლოჯისტიკა და და ზოგადად, მაღალ ტექნოლოგიებზე ჰქონდა წვდომა. კომპლექსი ზღვის დონიდან 3900 მეტრზე მდებარეობს. კარიერი, სადაც გრანიტი მოიპოვება, ამ ადგილიდან 100 კმ-ის დაშორებითაა და ახლომახლო ხე არ ხარობს. როგორ მოიტანეს მშენებლებმა ქვები? – ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს.

პუმაპუნკუს ქვებზე არანაირი წარწერა არ არის, თუმცა გასული საუკუნის 50-იან წლებში იპოვეს ე.წ „უადგილო არტეფაქტი“, კერამიკული თასი, ფუენტე მაგნა („დიდი თასი“-ესპ), რომელზეც ორენოვანი წარწერაა გაკეთებული, მათგან ერთი შუმერულია, მეორე უცნობი ენაა. (ლა-პასის მუზეუმი). თასი დიდი ზომის კერამიკული ჭურჭელია, 1 მეტრამდე დიამეტრის, ნახატები ზოოლოგიური მოტივებითა და ანტრომორფული ფიგურებით. წარწერა გაშიფრეს. (თასი ადგილობრივმა გლეხმა იპოვა და რადგან დიდი და მოსახერხებელი იყო ღორებს მასზე აჭმავდა სალაფავს)

თასი შუმერული ქალი-ღვთაების (ნი-აში, ნამუ, ან ნია) შესახებ მოგვითხრობს, რომელმაც შექმნა ცა და დედამიწა. ჯერ კიდევ ეჭვი ეპარებოდათ თასის ავთენტურობაში, რომ სხვა არტეფაქტიც იპოვეს, ე.წ პოკოთიას მონოლითი, ორმეტრიანი ქანდაკება, რომლის ავთენტურობაში ეჭვი არავის შეუტანია. ასე აღმოჩინეს წარწერები და ისინი ძველშუმერულადაა შესრულებული...

აღსანიშნავია პუმაპუნკუში ირიგაციული და წყალსადენი სისტემების არსებობა. სეისმური კვლევა და მაგნიტომეტრია აჩვენებს, რომ მიწის ქვეშ კიდევ არის სხვადასხვა ნაგებობები, მათ შორის წყალსადენი.

ვინ იყო ის ხალხი, ვინ პუმაპუნკუ ააგო, ძველი შუმერები თუ კვლავ ისინი, ვინც შუმერებს და ზოგადად, კაცობრიობას „ასწავლა ცხოვრება“? ან სად გაქრა ის ხალხი, რა მოხდა, თვითონ წავიდნენ, ისევე, როგორც მოვიდნენ და წასვლისას დაანგრიეს თუ ბუნებრივი ან ხელოვნური კატასტროფის შედეგია დარჩენილი? კითხვები უამრავია, დაბეჯითებული პასუხი – არც ერთი...

(გაგრძელება იქნება)

ფუენტე მაგნა

„საერთო გაზეთის“ რედაქციას!

გწერთ ქსნის ხეობის, ახალგორის რაიონის მკვიდრი მოსახლეობის სახელით.

მოგეხსენებათ, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ იქაური ძირძველი მკვიდრი მოსახლეობა დევნილებად ვიქეცით. მათ შორის, პენსიონერი, ასაკოვანი ადამიანები. სიბერეში წაგვერთვა უფლება, გვეცხოვრა ჩვენს სახლ-კარში.

კარგად მოგეხსენებათ, რომ სერგო ორჯონიკიძის მიერ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნის დროს ცხინვალში მხოლოდ სამი ოსური ოჯახი ცხოვრობდა. გასაბჭოების შემდეგ გაიზარდა მათი რაოდენობა. მიუხედავად ყველაფრისა, ქართველები და ოსები შეხმატკბილებულად ვცხოვრობდით, იქმნებოდა შერეული ოჯახები, ნათესაური კავშირები მყარდებოდა.

ზვიად გამსახურდია ამბობდა: „ჩვენ რუსეთს კალმით უნდა ვებრძოლოთო“. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მან გააუქმა ავტონომიური ოლქი და ახალგორის რაიონი, ქსნის ხეობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონს მიუერთა. გიჟმა მიშა სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ ქართველ ხალხს კვლავ უღალატა. ჯერ იყო და აღადგინა გაუქმებული ავტონომია ძველ საზღვრებში, ხოლო 2008 წლის აგვისტოში კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – ომი დაიწყო და სამ დღეში ჩაბარა ხეობა მტერს! ამის გარდა, იქაური მაცხოვრებლები დაშინებით, მოტყუებით გამოიყვანეს. ყველანაირ დახმარებას შეჰპირდნენ, მაგრამ რით და როგორ ეხმარებოდნენ დევნილებს, კარგად იცის ხალხმა.

ამისთვისაც უნდა გასამართლდეს სააკაშვილი და მისი ხროვა! მათ ქართველი ხალხის წინაშეც უნდა აგონ პასუხი!

პატივცემულო რედაქციავ!

ჩვენ, ქსნის ხეობის დევნილები, მოგმართავთ დახმარებისთვის. იქნებ თქვენ მაინც მიაწვდინოთ ხმა ხელისუფლებას, რათა დაიწყონ მოლაპარაკებები თუნდაც რუსეთთან, დაგვაბრუნონ ჩვენს სახლ-კარში, იმის უფლება მაინც მოგვცენ ჩვენი წინაპრების საფლავებზე გავიდეთ. დრო გადის, მაგრამ ჩვენზე აღარავინ ფიქრობს. ბოლოს ერთსაც ვიტყვით – რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას ქვეყნის შვილებს უნდა გვქონდეს, შეგვწევდეს უნარი, ჩვენვე ვმართოთ საკუთარი ქვეყანა უცხოელების ჩარევის და დახმარების გარეშე.

ვალიკო ცხავატელი

„საქართველო არის ესე!“

რამდენიმე ხნის წინ დოკუმენტური ნაშრომი „საქართველო არის ესე“ გამოვიდა.

ნაშრომის ავტორი საზოგადოებაში ცნობილი, ეროვნულად და სელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი, ბატონი **ანზორ ბაბუხადია** გახლავთ. ის პროფესიით ეკონომისტია, თუმცა მხოლოდ ეკონომიკის საკითხებით არასდროს არ შემოფარგლულა მისი მოღვაწეობა. ის საქართველოს მთავრობის მთავარი სახელმწიფო მრჩეველიც გახლდათ გარკვეულ ხანს.

ბატონი ანზორის ახლანდელი ინიციატივა კვლავ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას ეხება — უნდა ეწოდოს თუ არა საქართველოს ყველა ენაზე საქართველო.

სწორედ ამას ეძღვნება ეს წიგნი-დოკუმენტიც. ბატონ ანზორს ეს მოსაზრება მხოლოდ ინიციატივის დონეზე არ დაუტოვებია. მან ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების, საგვარეულოების და ცნობილი პირების ას ერთეულზე მეტი წერილობითი დოკუმენტი შეაგროვა ამ იდეის მხარდამჭერთა სახელებითა და გვარებით.

დოკუმენტმა ისეთი სახე მიიღო, რომ ის იქცა ერთგვარ სახელმძღვანელო საბუთად, ჩემი აზრით, ახალი ლიტერატურული ჟანრის დასაწყისად...

მე, როგორც მისი იდეის ერთ-ერთ მხარდამჭერს, მიმაჩნია, რომ პრობლემის განხილვაში ტელევიზიებმა და ბეჭდურმა მედიამაც უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა, რათა შემდეგ ჩაერთოს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო და საქართველოს მთავრობა და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღოს.

ლევან პირველი

ქირავდება ერთოთახიანი ბინა აივნით, ყაზბეგის 47ბ, მეოთხე სართული, ყველანაირი ავეჯით, მაცივრით, სარეცხი მანქანით, ბუნებრივი ცხელი წყლით.
ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 555 410 180

`saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი
მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

-რა ითვლება კომერციულ საიდუმლოებად?

-საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 272-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, კომერციული საიდუმლოება გახლავთ ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. თუ ინფორმაციის წარდგენისას საჯარო დაწესებულება არ მიიჩნევს ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებაცაა ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით – სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო დაწესებულებას.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით – სასამართლოში გაასაჩივროს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი.

ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის, მოთხოვნის თარიღის, მომთხოვნის ვინაობისა და მისამართის შესახებ.

* * *

- როგორ ხდება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა?

- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. სხვისი კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიეხდვით, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, საჯარო დაწესებულების ელექტრონული რესურსების საშუალებით.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი მტკიცდება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

ავეჯის გადაზიდვა

593 20 46 87

ორი სამშობლო

დიდი ტრაგედია დატრიალდა საქართველოში 2015 წლის 13 ივნისს. „სახალხო დიპლომატიის“ სახელით სამძიმარს ვუცხადებთ სტიქიის დროს დაღუპულთა ოჯახებს...

„ჭირში არ დაგაგდებს ებრაელი, მოვა და მარჯვენას მოგაშველებს“, – სწორედ ასეთი შეშველებაა ის ქველმოქმედება, რომელიც გაიღეს ებრაელმა ბიზნესმენებმა დაზარალებულთათვის. დიდი მადლობა მათ.

2014 წელი გამოცხადდა ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის 26 საუკუნის განმავლობაში ნაწრთობი მეგობრობის წლად. 26 საუკუნე – ჟამი ერთობისა.

2015 წელს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ მხარდაჭერით შეიქმნა დოკუმენტური ფილმი „ორი სამშობლო“. ფილმში ასახულია ებრაელი ერის ისტორია, მისი წარსული. ასევე ქართველი და ებრაელი ერის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორია საქართველოში. 26 საუკუნის წინ, მტრისაგან დევნილნი და სასოწარკვეთილნი მოვიდნენ საქართველოში, მოვიდნენ და მიიღეს მთავარი–სიცოცხლისა და შრომის უფლება, ისევე ცხოვრობდნენ როგორც ქართველები, საქართველო მათთვის თავშესაფარი არ ყოფილა, შემოსეული მტერი ორივეს თანაბარი გამეტებით უყრიდა მახვილს, რადგან ებრაელიც მათთვის ქართველი იყო. გამჭვირვალე სიყვარული და ურთიერთპატივისცემა, თუნდაც მადლიერება იშვიათად გამოუხატავთ ჩვენს მიმართ. ეს შეძლო ებრაელმა ხალხმა, რომელნიც ისრაელში წასვლის შემდეგ კიდევ უფრო მეტად გამოხატავენ ამ სიყვარულს. თავიანთ შვილებს ქართულ ენას, ცეკვას, სიმღერას და ქართულ ადათწესებს აზიარებენ.

რეჟისორი ნინო ყოლანდარია

ფილმში არაჩვეულებრივად სჩანს ქართველ და ქართველ ებრაელთა მეგობრობის ისტორია დასაბამიდან დღემდე.

ფილმის ჩვენებამ წარმატებით ჩაიარა საქართველოსა და ისრაელში. თბილისში პრემიერა შედგა კინოთეატრ „ამირანში“ დიასპორის სამინისტროს მხარდაჭერით. ჩვენებას ესწრებოდნენ ეკლესიის წარმომადგენლები, სხვადასხვა ქვეყნის ელჩები, მთავრობის წევრები, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები. ფილმმა დიდი მოწონება დაიმსახურა, გაშუქდა რადიოსა და ტელევიზიის სხვადასხვა არხებზე.

ფილმის წარმატებამ განაპირობა განმეორებითი ჩვენება დავით ბააზოვის ებრაელთა ისტორიის მუზეუმში, სადაც მოწვეულ სტუმრებთან ერთად ჩვენებას ესწრებოდნენ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე და ბატონი ბიძინა ივანიშვილი. უწმინდესმა უმაღლესი შეფასება მისცა ფილმს და ბრძანა: ეს ფილმი ყველა ოჯახში უნდა იყოს, საქართველოშიც და ისრაელშიცო.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა დოკუმენტურ-შემეცნებით ფილმზე „ქართულ-ბერძნული ურთიერთობების ათასწლეულები“.

თითქმის ოთხი ათასწლეულის მომცველ ქართულ-ბერძნულ ურთერთობებს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო ისტორიაში, რომლებიც იწყება ძვ.წ მეორე ათასწლეულიდან და გრძელდება დღემდე. ამ ხნის განმავლობაში ევროპული ცივილიზაციის აკვანთან ჩვენ ძალზე საინტერესო და მრავალფეროვანი კულტურული კავშირები გვქონდა.

ფილმი მოიცავს არგონავტების ლეგენდარული პერიოდიდან კლასიკური, ელინისტური, ბიზანტიური ეპოქების და თანამედროვეობის ურთიერთობათა ამსახველ შთამბეჭდავ ეტაპებს.

გადაღება იწარმოებს საქართველოში, საბერძნეთსა და თურქეთში. ფილმის კონცეფცია ფაქტობრივად შემუშავებულია. მის ფორმირებაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსმა რისმაგ გორდეზიანმა და სხვა ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა.

ამ ფილმის მნიშვნელობისა და მისდამი მოსალოდნელი ინტერესების გათვალისწინებით გვინდა მოვიძიოთ და მოვიზიდოთ სპონსორები, მხარდამჭერები, იმედი გვაქვს ბევრი შეგვეხმიანება და დაგვიდგება ამ დიდ წამოწყებაში.

დაბოლოს, ყველაზე მთავარი – ფილმის ავტორი და რეჟისორი გახლავთ **ნინო ყოლანდარია,** ნიჭიერი ხელოვანი, რომელიც დიდი თავგანწირვის ფასად ქმნის ამ ფილმებს, რომლებიც დარჩება ისტორიას და შთამომავლობას.

ნინო ანდრონიკაშვილი
„სახალხო დიპლომატიის“ პრეზიდენტი,
ფილმების პროდიუსერი

29 ივნისს, 19.00 საათზე „სეზანის“ საგამომცემლო ჯგუფი „ეროვნულ ბიბლიოთეკაში“ უმასპინძლებს ბალეტის სახელგანთქმულ არტისტს, რუსული საბალეტო აკადემიის რექტორს **ნიკა ცისკარიძეს**. წარმოდგენილი იქნება მისი სასცენო მოღვაწეობის შემაჯამებელი ფოტოალბომი.

ბალეტის მოყვარულები და ნიკა ცისკარიძის თაყვანისმცემლები დიდი ხანია ელოდებიან საგანგებო ფასდაკლებას, რომელიც ამ დღეს ექნება ძვირადღირებულ გამოცემას.

წიგნის გაყიდვით შემოსული თანხა მთლიანად ფონდ „სოლიდარობის“ ანგარიშზე გადაირიცხება. ჩვენი სახელოვანი თანამემამულე სოლიკო ვირსალაძის მიერ შექმნილ პრინც დეზირეს კოსტიუმს, სპექტაკლისათვის „მძინარე მზეთუნახავი“, „ხელოვნების სასახლეს“ გადასცემს საჩუქრად. ნიკა თავისი მდიდარი საარქივო ჩანაწერებიდან ჩვენთვის სასურველი სპექტაკლის ჩვენებას გვპირდება და ჩვეული პირდაპირობით გვიპასუხებს შეკითხვებზე.

მემუარული ფოტოალბომი საჩუქრად გადაეცემა ყველა მუზეუმსა და ბიბლიოთეკას, რომელიც ამის სურვილს გამოთქვამს.

„სეზანის“ საგამომცემლო ჯგუფი